

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი და მესამე პირთა დაცვა

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორი: ხატია პაპიძე

თემი ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

შემოკლებანი.....	5
I. შესავალი.....	6
1.1. ნაშრომის პრობლემატიკა.....	6
1.2. ნაშრომის სტრუქტურა.....	8
II. წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები.....	9
2.1. წარმომადგენლობის პრინციპი	9
ა. ზოგადი შინაარსი.....	9
ბ. წარმოდგენილის ცოდნის შერაცხვა წარმომადგენელზე	9
2.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამჟღავნების პრინციპი და სამართლებრივი შედეგები	11
ა. გამონაკლისები წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპიდან	12
ბ. Undisclosed Agency წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპის საწინააღმდეგოდ.....	12
2.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამოუკიდებლობის (აბსტრაქციის) პრინციპი	15
ა. გამონაკლისი აბსტრაქციის პრინციპიდან.....	17
აა. ფარული პირის შეკვრა წარმოდგენილისთვის ზიანის მიყენების მიზნით	17
ბბ. უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მესამე პირის ცოდნა.....	18
III. წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობები	19
3.1. წარმომადგენლობის დასაშვებობა.....	19
3.2. წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენა სხვა პირის სახელით. 20	
3.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა	21
IV. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.....	21
4.1. უფლებამოსილების მინიჭება.....	21
4.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფორმა	22
4.3. რწმუნებულების შეცილების დასაშვებობა.....	23
ა. გამოუყენებელი რწმუნებულების შეცილება.....	23
ბ. გამოყენებული რწმუნებულების შეცილება და მისი გავლენა მესამე პირის ინტერესებზე.....	24
4.4. უფლებამოსილების ნავარაუდევი მინიჭება.....	25
ა) აშკარა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	25
ბ) თმენითი და მოჩვენებითი უფლებამოსილება (წარმომადგენლობა).....	30

გ) უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდის შექმნა და Estoppel-ის დოქტრინა წარმომადგენლობაში.....	34
4.5. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის გამოკვლევის ვალდებულება.....	37
V. არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის შემთხვევები	38
5.1. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი ბედი	39
ა) მოწონება/დადასტურება	39
ბ) მოწონების/დადასტურების ფორმა.....	41
გ) მესამე პირის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება და წარმოდგენილისაგან მოწონების განცხადების მოთხოვნა	43
5.2. Falsus procurator-ის პასუხისმგებლობა	45
ა) პასუხისმგებლობის წინაპირობები	45
აა) უფლებამოსილების ნაკლი.....	46
ბბ) გარიგების დადება.....	46
გგ) წარმოდგენილი პირის მოწონების არარსებობა.....	46
ბ) პასუხისმგებლობის სამართლებრივი შედეგები	47
აა) სპეციალური შესრულება	48
ბბ) ზიანის ანაზღაურება პოზიტიური ინტერესის ფარგლებში	48
გგ) შეზღუდული პასუხისმგებლობა - ზიანის ანაზღაურება ნეგატიური ინტერესის ფარგლებში.....	49
5.3. დელიქტურ პასუხისმგებლობასთან კონკურენცია.....	49
5.4. Culpa in contrahendo-ს საფუძვლები წარმომადგენლობაში	50
5.5. არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მინიჭება და სამართლებრივი შედეგები	53
5.6. ცალმხრივ გარიგებებში არაუფლებამოსილი წარმომადგენლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება.....	54
ა) ცალმხრივ გარიგებებში არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის დასაშვებობა.....	54
ბ) პასუხისმგებლობის დაკისრების საგამონაკლისო შემთხვევები	57
5.7. საკუთარ თავთან დადებული გარიგება	58
ა) ინტერესთა კონფლიქტი და მისი ამოცნობადობა	59
აა) პირის იდენტიფიკაცია ინტერესთა კონფლიქტის გარეშე	61
ბბ) ინტერესთა კონფლიქტი პირის იდენტიფიკაციის გარეშე.....	61
5.8. არარსებული სუბიექტის წარმომადგენლობა.....	61

5.9.	შემდგომში დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების თანხმობა/მოწონება	63
5.10.	არასრულწლოვანის წარმომადგენლობის დასაშვებობა და პრობლემური ასპექტები.....	64
	ა) არასრულწლოვანის წარმომადგენლობის დასაშვებობის გონივრულობა.....	64
	ბ) უფლებამოსილების გარეშე მოქმედი არასრულწლოვანი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა.....	65
VI.	წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და მათ მიმართ არსებული პრეზუმფცია.....	66
6.1.	სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილებები	66
	ა) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები.....	66
	ბ) პროკურა.....	68
6.2.	საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის მიმართება მინდობილობის ნამდვილობის ვარაუდთან	70
6.3.	მომრავი ნივთს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია და წარმომადგებლობითი უფლებამოსილებისადმი ნდობა	71
6.4.	სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის ნამდვილობის პრეზუმფციის გონივრულობა მესამე პირთა დაცვის კონტექსტში.....	72
VII.	წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა	74
7.1.	ზოგადი საფუძვლები.....	74
7.2.	წერილობით გაცემული მინდობილობის გაუქმების/შეწყვეტის წესი.....	77
7.3.	გარდაცვალება, როგორც მინდობილობის შეწყვეტის საფუძველი.....	78
	ა) წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური შეწყვეტის კრიტიკა.....	78
	ბ) მესამე პირის პოზიტიური ცოდნა	80
	გ) გარდაცვლილი პირის ნების გამოვლენის პრობლემა	82
VIII.	დასკვნა.....	85
	ბიბლიოგრაფია.....	89

შემოკლებანი

იხ.	იხილეთ
შდრ.	შეადარეთ
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ე.ი.	ესეიგი
სკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
DCFR	Draft Common Frame of Reference

I. შესავალი

1.1. ნაშრომის პრობლემატიკა

ეკონომიკურ სისტემაში წარმომადგენლობა შრომის დანაწილების ერთ-ერთი ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია,¹ რომლის გარეშეც თანამედროვე მსოფლიო მზარდ ეკონომიკურ პირობებში უბრალოდ წარმოუდგენელია. ბიზნესისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ წარმოშვა მუშახელისა და დამხმარე პირთა საჭიროება. ერთი მხრივ, ვერავინ იქნება მრავალ ადგილზე ერთდროულად, მეორე მხრივ კი ბიზნესისა და თანამედროვე სამყაროს მოთხოვნაა იყო ერთი, მაგრამ იმყოფებოდე ბევრგან. წარმომადგენლობა სწორედ ის სამართლებრივი ფიგურაა, რომელიც ქმნის ამგვარ შესაძლებლობას. ამიტომ, ის თანაბრად მნიშვნელოვანი და საჭირო გახდა ყველა მართლწესრიგისათვის. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობის გამოჩენა უკვე სამ საუკუნეს ითვლის და მისი ჩანასახები რომის სამართლის წიაღშიც გვხვდება, სხვა ინსტიტუტებთან შედარებით სამართლებრივი სამყაროსთვის იგი მაინც ახალი მონაპოვარია.²

წარმომადგენლობის სამართალი ნაკრებია, როგორც სახელშეკრულებო ისე დელიქტური სამართლის პრინციპებისა და, ხშირ შემთხვევაში, ავლენს როგორც ერთის, ისე მეორის ნიშან-თვისებებს. იგი თავის თავში აერთიანებს ორი ურთიერთობის სხვადასხვა მხარეს და ქმნის სამხრივ ურთიერთობათა ლაბირინთებს. სწორედ ამიტომ, წარმომადგენლობის სამართალში ძირითადი პრობლემა მის მონაწილეთა ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსს ეხება, ვინაიდან თითოეულ მხარეს დაცვის ღირსი ინტერესი აქვს.³ ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმების მთავარი არეალი შეეხება წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის ურთიერთობასა და კონტროლის სფეროებს, მესამე პირის ნდობას, წარმოდგენილი პირისა და წარმომადგენლის პასუხისმგებლობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამოუკიდებლობას.⁴ დასახელებული პრობლემები წარმომადგენლობის ინსტიტუტის შესწავლას სამართლის დოგმატიკის კუთხით განსაკუთრებით მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

¹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 101.

² *Muller-Freientfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 193, ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი შეხედვით უცნაურია ის ფაქტი, რომ რომის სამართალი, თავისი მაღალი სამეცნიერო დონის მიუხედავად, არ აღიარებდა წარმომადგენლობის ინსტიტუტს, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ რომის სამართალი არ ცნობდა მესამე პირს, შუამავალს ხელშეკრულებაში.

³ *ცვაიგერტი, კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 120. ასევე იხ. *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 102.

⁴ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 103.

ზემოთხსენებული მიზეზი და, უფრო მეტად, სამხრივ ურთიერთობაში წარმოშობილ პრობლემათა მთელი ჯაჭვი უნდა იყოს ამ თემაზე უცხოურ ნაშრომთა სიუხვის განმაპირობებელი. სამწუხაროდ ქართული სამართლებრივი ლიტერატურა წარმომადგენლობის ინსტიტუტზე კვლევათა სიმწირით გამოირჩევა, რაც, ზემოთქმულთან ერთად, ასევე გახდა წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრის საფუძველი.

საყურადღებოა ზოგადად სასამართლოს როლი წარმომადგენლობის სამართლის განვითარებაში, რასაც მოწმობს გერმანულ, ფრანგულ და ანგლოამერიკულ სამართალში სასამართლო პრაქტიკის, სამოსამართლო სამართლით ჩამოყალიბებული სამართლებრივი დოქტრინები თუ კონცეპტი. ამისგან განსხვავებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებით არ გამოირჩევა. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა გადაწყვეტილება/განჩინება, რომელთა ანალიზიც მიმდინარეობს წარმომადგენლობის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის ფონზე. სასამართლო პრაქტიკა ასევე არათანმიმდევრულია წარმომადგენლობისა და მისი მსგავსი ინსტიტუტების გამიჯვნისა და მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების თვალსაზრისით, რაც რიგ შემთხვევებში სამართლის დოგმატიკასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებებს იწვევს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მოქმედებათა ანალიზი და მესამე პირთა ნდობისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების შესწავლაა, რაც წარმომადგენლობის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ ამ დროს დგება ინტერესთა შეპირისპირებისა და სამართლიანი ბალანსის მიღწევის პრობლემაც და საჭიროებაც.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც კარგად წარმოაჩენს, როგორც ქართული კანონმდებლობის ღირსებასა თუ ნაკლს, ისე სხვა სამართლებრივ სისტემებში ფუნქციურად მსგავს ინსტიტუტებს - არაუფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებსა და ფარგლებს და მესამე პირთა ნდობისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მართლწესრიგში, მიუხედავად წარმომადგენლობის ინსტიტუტის განსხვავებული გაგებისა, სამხრივ ურთიერთობაში ბალანსის დაცვა მთავარი ამოსავალი წერტილია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის გადაწყვეტა თავისებური, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ერთნაირია. განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, შედეგობრივად შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა იყოს არსებითად სწორი და თანაბრად გონივრული.⁵

⁵ *Muller-Freientfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 202.

1.2. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის მეორე და მესამე თავი ეხება წარმომადგენლობის ძირითად პრინციპებსა და დასაშვებობის წინაპირობებს, რომლებიც ცხადყოფს ამ ინსტიტუტის მთავარ იდეასა და მიმართულებებს. სწორედ მათზე დგას მთლიანად წარმომადგენლობის სამართალი, რომელთა სწორად გაგებისა და აღქმის შემთხვევაში ნათელი გახდება იმ ნორმათა ფუნქციები და მიზნები, რაც ქართულ სამოქალაქო კოდექსში გვხვდება.

ნაშრომის მეოთხე თავი იკვლევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რაობას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და, ამავდროულად, საინტერესო საკითხია იმდენად, რამდენადაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ არსებული დამოუკიდებლობის პრინციპი აბსტრაქტიზმს ხდის შიდა და გარე ურთიერთობას, რის გამოც პირველის ნაკლი მეორეზე არ მოქმედებს.⁶ აბსტრაქციის პრინციპის მიზანი კი სწორედ მესამე პირთა დაცვაა. წარმომადგენლობის უფლებამოსილების კონტექსტში განხილული იქნება ამკარა უფლებამოსილების დოქტრინა და გერმანულ სამართალში ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოდიფიცირებული საფუძვლები, თმენითი და მოჩვენებითი წარმომადგენლობის შემთხვევები.

ნაშრომის მეხუთე თავი არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის შემთხვევებსა და პასუხისმგებლობის ფარგლებს ეხება, რა დროსაც განხილული იქნება სამართლებრივი მოწესრიგების პირობებში მესამე პირთა ნდობის დაცვის საკითხი და პრობლემატიკა. ასევე გამოიკვეთება *falsus procurator*⁷-ის პასუხისმგებლობის კავშირი *culpa in contrahendo*-ს პრინციპთან და დელიქტური სამართლის ნორმებთან.

ნაშრომის მეექვსე თავი მოიცავს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილებების სამართლებრივ ბუნებასა და მათი მოქმედების ფარგლებს, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ არსებულ ნამდვილობის ვარაუდსა და მათ კავშირს სხვადასხვა პრეზუმფციასთან, რომელიც ასევე საინტერესოა მესამე პირთა დაცვის კონტექსტში.

ნაშრომის მეშვიდე თავი შეეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ზოგად საფუძვლებსა და მესამე პირთა ცოდნის მნიშვნელობას ამგვარი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატურად შეწყვეტის გონივრულობასა და მისი დროებითი გაგრძელების შესაძლებლობის საკითხს, რაც ასევე განხილულია მესამე პირთა ინტერესებისა და ნდობის დაცვის პრინციპის ფონზე.

⁶ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 202.

⁷ ლათ: არაუფლებამოსილი წარმომადგენელი.

ნაშრომის მერვე თავი არის დასკვნა, რომელშიც მიღწეული და შეჯამებული იქნება კვლევის მიზანი და შედეგები.

II. წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები

გერმანული სამართლის მიხედვით არსებობს წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პრინციპი: 1. წარმომადგენლობის პრინციპი 2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამჟღავნების/ღიაობის პრინციპი; 3. რწმუნებულების დამოუკიდებლობის პრინციპი.⁸

2.1. წარმომადგენლობის პრინციპი

ა. ზოგადი შინაარსი

წარმომადგენელი სხვისი სახელითა და საკუთარი ნებით მოქმედი სუბიექტია, რომელიც თავისი ქმედებებით სამართლებრივ შედეგებს წარმოდგენილის მიმართ იწვევს. სწორედ სხვის მიერ სამართლებრივი პოზიციების მოპოვება წარმოადგენს წარმომადგენლობის ძირითად პრინციპს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ წარმომადგენელი წარმოადგენს მარწმუნებელს იმ მოსაზრებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც წარმომადგენელი წარმოდგენილის ორგანოა.⁹ წარმომადგენლობის პრინციპის განვითარება მნიშვნელოვნად უკავშირდება შრომის დანაწილების პროცესში საჭიროებათა ცვლილებას, რომელმაც განაპირობა უფლებამოსილებებისა და სხვადასხვა ფუნქციის დაყოფა-განაწილება მენეჯერებსა და მუშახელს შორის. ამგვარად, ხელშეკრულებისთვის უცხო პირი შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების დადების მონაწილე,¹⁰ მაგრამ არა მხარე.

ბ. წარმოდგენილის ცოდნის შერაცხვა წარმომადგენელზე

წარმომადგენლობის პრინციპის ამოსავალ წერტილს წარმომადგენლის ფიგურის განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოადგენს, რის გამოც ნების ნაკლიცა და მისი განმარტებაც სწორედ წარმომადგენლის პიროვნების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 103.

⁹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 103.

¹⁰ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 193

გსკ-ის 166-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის მიხედვით თუ გარიგებით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემთხვევაში, წარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებლის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად, მაშინ წარმოდგენილს არ შეუძლია მიუთითოს წარმომადგენლის მიერ ისეთი გარემოებების/ფაქტის არცოდნაზე, რომელთა შესახებაც მან თავად იცოდა. იგივე წესი მოქმედებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ამათუიმ გარემოების შესახებ მარწმუნებელს უნდა სცოდნოდა, რა დროსაც სავარაუდო ცოდნა ტოლფასია პოზიტიური ცოდნისა.

ქართული სამოქალაქო კოდექსი ხსენებული ნორმის ცუდ ანალოგს იცნობს, რის გამოც, გერმანულ კოდექსთან შედარების გარეშე მისი აღქმა და ნამდვილი შინაარსის დადგენა რთული ან თითქმის შეუძლებელია. სკ-ის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „თუ ნების ნაკლი შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, აღნიშნული ნაკლი შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნაკლი წარმოდგენილი პირისგან მომდინარეობს“. წინასწარ განსაზღვრული გარემოებები ბუნდოვანი ფრაზაა, რამდენადაც გარემოებები შესაძლოა წინასწარ იყოს ცნობილი, ხოლო განსაზღვრული შესაძლოა იყოს მოქმედების სფერო და არეალი, წარმოდგენილი პირის მითითებები. სწორედ ამიტომ, ნორმის შინაარსის სიცხადისთვის უმჯობესია, იგი იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ ნორმიდან იკითხებოდეს წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად წარმომადგენლის მოქმედების შემთხვევა,¹¹ რა დროსაც ამ უკანასკნელის მიერ ნების გამოვლენა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს იმდენად, რამდენადაც, იგი წარმოდგენილის მითითებების შესაბამის მოქმედებებს ასრულებს და ამ მხრივ მისი როლი პასიურია. მოხმობილი ნორმის მიზანია ნების ნაკლის შეცილების სფეროს დავიწროება წარმოდგენილის თვალსაწიერიდან, რომლის საფუძველიცაა ის პრინციპი, რომ ის, ვინც სხვა პირს იყენებს თავისი საქმისა თუ ვალდებულებების შესასრულებლად, შეერაცხება კიდევ ამ პირის ცოდნა საქმის გარემოებების შესახებ.¹² ასეთ ცოდნას განეკუთვნება, მაგალითად, პირის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ამათუიმ ფაქტის მიმართ. ამგვარად, პირს, რომელიც სხვის შრომას იყენებს (მოიაზრება არამხოლოდ წარმომადგენელი, არამედ შუამავლი ან მჭერი) შეერაცხება მისი დაქვემდებარებულის არაკეთილსინდისიერება.¹³ მართალია, წარმომადგენელს დამოუკიდებლობის სულ სხვა ხარისხი აქვს, იგი სხვის ინტერესებში მოქმედი პირია. ამრიგად, თუ წარმომადგენელმა იცის არაუფლებამოსილი განმკარგავის შესახებ და საკუთრების შეძენის ფაქტის მიმართ იგი არაკეთილსინდისიერია, ავტომატურად შეერაცხება ეს არაკეთილსინდისიერება წარმოდგენილს, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად იგი პოზიტიურ ცოდნას არ ფლობს. ამრიგად

¹¹ შდრ: *ერკვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 38.

¹² *კროკპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 82.

¹³ *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი*, სანივთო სამართალი. კაზუსების კრებული, 92.

თუ წარმომადგენელი ნების გამოვლენისას უშვებს, მაგალითად, შეცდომას ამ გარიგების საცილობა განისაზღვრება არა წარმოდგენილის, არამედ წარმომადგენლის ნების მიხედვით, რამდენადაც სწორედ ის ავლენს გარიგების დადების ნებას.¹⁴ წარმოდგენილი პირის ნების ნაკლი ასეთ დროს მხედველობაში არ მიიღება,¹⁵ გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენელი უშუალოდ წარმოდგენილის მითითებების შესაბამისად მოქმედებს. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილის ცოდნა ასევე შეერაცხება წარმომადგენელს მიუხედავად იმისა, რეალურად მან იცოდა თუ არა ამათუიმ ფაქტის შესახებ.¹⁶ ამგვარი წესის მიზანი იმ მესამე პირთა დაცვაა, რომლებიც გარიგების დადებისას მოქმედებენ წარმომადგენლის ნებისა და პიროვნების შესაბამისად, რის გამოც მათი მოლოდინები და აღქმა ემყარება არა წარმოდგენილის, არამედ წარმომადგენლის ქმედებებსა და მის პიროვნებას.

2.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამჟღავნების პრინციპი და სამართლებრივი შედეგები

წარმომადგენელი წარმოდგენილ პირს სამართლებრივ პოზიციებს იმგვარად მოუპოვებს, რომ ხელშეკრულების მხარე თავად არ ხდება. „წარმომადგენლობა“ გულისხმობს სხვის ადგილზე ყოფნას, ხოლო თავის მხრივ წარმომადგენელი არის ადამიანი, რომელიც სხვის ადგილზე დგას - ე.ი. წარმომადგენელი პრინციპალის ალტერ ეგოდ („alter ego“) გვევლინება.¹⁷ წარმომადგენელმა უნდა იმოქმედოს აშკარად წარმოდგენილი პირის სახელით.¹⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში პირი, რომელიც არ მიუთითებს წარმოდგენილი პირის სახელით გარიგების დადებაზე, ხელშეკრულების მხარე თავად ხდება და მის მიმართ წარმომადგენლობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება,¹⁹ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება წვრილმან, საყოფაცხოვრებო გარიგებებს, რა დროსაც, ხელშეკრულების მხარისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისთან დადებს გარიგებას.²⁰ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სიცხადის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ პირი, რომელიც მესამე პირს თავს წარუდგენს, როგორც ვინმეს წარმომადგენელს, არ ხდება ხელშეკრულების მხარე²¹ და უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს. ამ პრინციპის მიზანი მესამე პირთა

¹⁴ *ჯორბენაძე/ტაკაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 106, მე-3 ველი, 609.

¹⁵ *ჯორბენაძე/ტაკაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 106, მე-7 ველი, 610.

¹⁶ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 82.

¹⁷ *Seavey*, The rationale of agency, the Yale Law Journal, vol 29, No 8, 860

¹⁸ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 79

¹⁹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

²⁰ *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 33.

²¹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 103.

ნდობის დაცვა,²² რომელთაც ლეგიტიმური მოლოდინი აქვთ იმ კონტრაქტის ვინაობასთან მიმართებით, რომელიც არ უთითებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე და ამგვარად მესამე პირთათვის საკუთარი ნებითა და სახელით მოქმედ სუბიექტად აღიქმება.²³ აღსანიშნავია, რომ პირის მიერ შეცდომით საკუთარი სახელით გამოვლენილის ნების შეცვლა გამორიცხულია.²⁴

ა. გამონაკლისები წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპიდან

წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპიდან არსებობს გამონაკლისებიც.²⁵ ამგვარი ვითარება არსებობს მაშინ, როცა პირი, მართალია, მოქმედებს სხვისთვის, მაგრამ ამაზე არ მიუთითებს, ხოლო, თავის მხრივ, ხელშეკრულების მხარისთვისაც, სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას. ამრიგად, იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ საკუთარი სახელით მოქმედი პირის მიერ დადებული ხელშეკრულების შედეგებს იღებს სხვა პირი, რაზეც კონტრაქტი არ არის ინფორმირებული, მაგრამ მნიშვნელობაც არ აქვს.²⁶ ასეთი გამონაკლისი შეეხება ყოველდღიურ წვრილმან ან/და საყოფაცხოვრებო გარიგებებს.²⁷

ბ. Undisclosed Agency²⁸ წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპის საწინააღმდეგოდ

წარმომადგენლობის სიცხადის/ლიაობის პრინციპი კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რამდენადაც მისთვის უცხოა არაპირდაპირი წარმომადგენლობა,²⁹ რა დროსაც მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ და ვისი სახელით მოქმედებს, არამედ ეკონომიკური და უფლებრივი სარგებლის ფაქტობრივად მიმღები სუბიექტი.³⁰ ამ პრინციპს საერთოდ არ ცნობს ანგლოამერიკული სამართალი, საერთო სამართლის ქვეყნის იურისტისთვის წარმომადგენლობის ამოსავალი წერტილი შემდეგ ფრაზაშია: “Qui facit per alium facit per se” (ლათ. „ის,

²² Petersen, Das Offenkundigkeitsprinzip bei der Stellvertretung, JURA Heft 3/2010, 188.

²³ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 34.

²⁴ კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასაწავლო კომენტარი, 79. საპირისპირო მოსაზრება იხ. Petersen, Das Offenkundigkeitsprinzip bei der Stellvertretung, JURA Heft 3/2010, 189. ავტორი მიუთითებს, რომ შეცდომით საკუთარი სახელით მოქმედების შემთხვევაში წარმომადგენელს შეუძლია განაცხადოს შეცვლა გარიგების შინაარსში ან განცხადებაში შეცდომის გამო.

²⁵ Petersen, Das Offenkundigkeitsprinzip bei der Stellvertretung, JURA Heft 3/2010, 188.

²⁶ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 431.

²⁷ Petersen, Das Offenkundigkeitsprinzip bei der Stellvertretung, JURA Heft 3/2010, 189.

²⁸ სიტყვასიტყვით ქართულად ითარგმნება როგორც „დაფარული წარმომადგენლობა“.

²⁹ ფრანგულად ამგვარ წარმომადგენლობას „არასრულ წარმომადგენლობას“ ან „მინდობილობას წარმომადგენლობის გარეშე უწოდებენ“. ამასთან დაკავშირებით იხ. ცვაიგერტი, კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 123.

³⁰ რუსიაშვილი, კახულები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 97.

ვინც მოქმედებს სხვისი მეშვეობით, მოქმედებს თავისთვის“). ამრიგად, ანგლოამერიკული სამართალი არ ასხვავებს პირდაპირ და არაპირდაპირ წარმომადგენლობას და ერთი ცნების “Agency” ქვეშ აერთიანებს,³¹ თუმცა ერთმანეთისაგან მიჯნავს გამჟღავნებულ (Disclosed) და დაფარულ (Undisclosed) წარმომადგენლობას.³² პირველ შემთხვევაში მესამე პირისთვის ცნობილია, რომ აგენტი შუამავალია და სხვისი სახელითა და სხვის ინტერესებში მოქმედებს. ამგვარი წარმომადგენლობა მსგავსია კონტინენტურევროპული პირდაპირი წარმომადგენლობისა, ვინაიდან, მესამე პირმა იცის, რომ აგენტი სხვისი, პრინციპალის სახელით მოქმედი პირია და მისთვის ნათელი და იდენტიფიცირებადია ხელშეკრულების მხარე. ამისგან განსხვავებით, დაფარული წარმომადგენლობა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც აგენტი მესამე პირთან ისე შედის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომ არ უთითებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე და, მაშასადამე, ხელშეკრულების მხარისთვის უცნობი რჩება აგენტის რეალური სტატუსი.³³ კონტინენტური სამართლის ქვეყნის იურისტისთვის ამგვარი ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები სახელშეკრულებო ბოჭვისა და სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებობს, მიუხედავად იმისა თუ ვინ დგას გარიგებით მიღებული ეკონომიკური თუ უფლებრივი სარგებლის უკან ან ვისი დავალებითა და მითითებებით მოქმედებს აგენტი. ამგვარ ვითარებაში ცხადი და ერთი შეხედვით უდაოა, რომ თუ პირი არ უთითებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, ვალდებულება წარმოიშობა წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის. საერთო სამართალი სრულიად განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს, რომელიც გამოიხატება მესამე პირის უფლებაში, სარჩელი წარუდგინოს არამხოლოდ აგენტს, არამედ მისი გვერდის ავლით, შემდგომში/მოგვიანებით გამოჩენილ პრინციპალს.³⁴ მესამე პირს უფლება აქვს, სურვილისამებრ, აირჩიოს მოვალე მას შემდეგ, რაც შეიტყობს პრინციპალის შესახებ. არჩევანის უფლება იკარგება მაშინვე, როცა მესამე პირი მოპასუხედ ერთ-ერთ მოვალეს დაასახელებს და ამ არჩევანის დროისთვის მისთვის ორივე მათგანის შესახებ ცნობილია.³⁵ ამგვარი მიდგომა ერთგვარ ანომალიად მიიჩნევა სახელშეკრულებო თეორიასთან წინააღმდეგობის გამო,³⁶ ვინაიდან, გამოდის, რომ ხელშეკრულების მხარე შესაძლოა გახდეს ის, ვისაც ეს

³¹ Restatement of the Law, Second, Agency 3 d (2006), § 1.04(2)(b).

³² რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 94.

³³ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe Contract law, 922. შდრ: Restatement of the Law, Second, Agency 3 d (2006), § 1.04(2)(b).

³⁴ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe Contract law, 922. ცვაიგერტი, კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 125.

³⁵ ცვაიგერტი, კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 127.

³⁶ დეტალურად იხ. Barnett, Squaring Undisclosed Agency Law with Contract Theory, 75 Cal. L. Rev. (1987), 1972-1978.

ხელშეკრულება არ დაუდია. Contractual Privity-თან³⁷ წინააღმდეგობის მიუხედავად, ფრიდმანი ამგვარ მიდგომას სამოქალაქო ბრუნვის მოხერხებულობით ამართლებს.³⁸ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართალი ზემოთხსენებულ შემთხვევაში აღიარებს მოთხოვნის უფლებებს არახელშემკვრელ მხარეთა შორის, რიგ შემთხვევებში შეზღუდულია მესამე პირის მიმართ პრინციპალის მოთხოვნის წარდგენა.³⁹ ეს ეხება, მაგალითად, ისეთ ვითარებას, როდესაც პრინციპალის მოთხოვნა საზიანოა მესამე პირთათვის.⁴⁰ ჟენევის 1983 წლის 17 თებერვლის კონვენცია წარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო ნასყიდობის ურთიერთობებში⁴¹ ასევე ართმევს უფლებას ფარულ პრინციპალს, მესამე პირს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი პრინციპალის ვინაობის ცოდნის შემთხვევაში არ დადებდა ხელშეკრულებას. მიზეზი შესაძლოა იყოს, მაგალითად, მესამე პირის მოლოდინი აგენტის ძველი დავალიანების ჩათვლის თაობაზე.⁴² პრინციპალის გამოჩენა კი, ბუნებრივია, ამგვარ მოლოდინს ხელს უშლის და ამ გარემოების ცოდნის შემთხვევაში, ხელშეკრულება მესამე პირისთვის არამომგებიანი იქნებოდა. არაპირდაპირ წარმომადგენლობას ასევე იცნობს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, რომელიც განსხვავებულ წესებს ადგენს პირდაპირი და არაპირდაპირი წარმომადგენლობის მიმართ. ხსენებული აქტის 3:303-ე მუხლი მესამე პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს დაფარული პრინციპალის მიმართ მოთხოვნის უფლებას, თუ შუამავლი გადახდისუუნარო გახდა ან მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას. ასეთ ვითარებაში მესამე პირს იმის უფლებას აქვს, წარმოდგენილს წაუყენოს ყველა ის მოთხოვნა, რაც მას შუამავლის მიმართ აქვს. აქედან გამომდინარე, მართალია, მოთხოვნის უფლებები იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ხელშეკრულების მხარე არაა, შეზღუდულია, მაგრამ რიგ შემთხვევებში სამართლიანობის გამო გამონაკლისის სახით შესაძლოა თავად კანონმაც გაითვალისწინოს შუამავლის უკან, ჩრდილში მდგომი ეკონომიკური და უფლებრივი სარგებლის მიმღები სუბიექტის პასუხისმგებლობა.

ამრიგად, აშკარაა, რომ წარმომადგენლობისთვის დამახასიათებელ სიცხადის პრინციპზე, რომელიც კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მესამე პირთა დაცვის ფუნქციას ასრულებს, ანგლოამერიკული სამართალი უარს ამბობს, ამ პრინციპისგან ნაწილობრივ უხვევს ევროპის სახელშეკრულებო პრინციპებიც. სამაგიეროდ,

³⁷აღსანიშნავია, რომ contractual privity ანგლოამერიკული სამართლებრივი ტერმინი და სახელშეკრულებო პრინციპია და ითარგმნება, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის, სადაც მესამე პირის ადგილი არაა.

³⁸ *Fridman, Law of Agency*, 6th edn (London: Butterworths, 1990), 230 ციტ: *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe Contract law*, 922.

³⁹ *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law*, 922.

⁴⁰ ამასთან დაკავშირებით იხ. Said. V, Butt [1920] 3 KB 497. *ცვაიგერტი, კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 125.

⁴¹ შემდგომში მოხსენიებული, როგორც ჟენევის კონვენცია. კონვენციის ტექსტი იხ:

<https://www.unidroit.org/ol-agency/ol-agency-en>

⁴² *Greer v. Downs Supply Co.* [1927] 2 KB 28.

საერთო სამართალი პრობლემის გადაჭრის გზას პოულობს მოთხოვნის უფლებათა ინტერესის შესაბამის გადანაწილებაში, რაც, ერთი მხრივ, არც მესამე პირებს ტოვებს დაუცველს და, მეორე მხრივ, ეხმიანება საქმიანი ბრუნვის დაცვის იდეას.⁴³

2.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამოუკიდებლობის (აბსტრაქციის) პრინციპი

რწმუნებულების დამოუკიდებლობის პრინციპი⁴⁴ ერთმანეთისგან იზოლირებულად განიხილავს წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის ურთიერთობასა და თავად უფლებამოსილების მინიჭებას (რწმუნებულებას, მინდობილობის დოკუმენტს).⁴⁵

წარმომადგენლობის თანამედროვე დოქტრინა და აბსტრაქციის პრინციპი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში და სხვაგანაც, ძირითადად და უმეტესწილად, განიცდის პოლ ლაბანდის ცნობილი დოქტრინის გავლენას, რომელიც თავდაპირველად მის მიერ 1866 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გამოჩნდა.⁴⁶ ლაბანდის პირველი საკითხი, რაზეც ყურადღება გაამახვილა, იყო პროკურა - ზოგადი მინდობილობის სპეციალური სახე, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სავაჭრო/სამეწარმეო რეესტრში. პროკურას მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი შინაარსი აქვს, რომლის შეცვლაც მხარეთა მიერ დაუშვებელია. ლაბანდმა ამ მაგალითიდან დედუქციის მეთოდით დაასკვნა, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება განცალკევებული და დამოუკიდებელია იმ სამართლებრივი ურთიერთობისაგან, რომელიც საფუძვლად უდევს უფლებამოსილების მინიჭებას.⁴⁷ წარმომადგენლისადმი მინიჭებული უფლებამოსილება გამომდინარეობს ცალმხრივი იურიდიული აქტისგან, რომელსაც უფლებამოსილების მინიჭება ეწოდება (გერმ. Bevollmächtigung). ამგვარი აქტი/განცხადება განსაზღვრავს რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლებსა და მოცულობას გარე ურთიერთობაში,⁴⁸ მაშინ როცა, რწმუნებულების საფუძვლად არსებული

⁴³ ცვაიგერტი, კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 125.

⁴⁴ შდრ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 107, 287; დამოუკიდებელ ურთიერთობად განიხილავს დავალების ხელშეკრულებასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით იხ. სუს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012; სუს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას 39-486-06;

⁴⁵ Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise, 109, ასევე იხ. მისურადე/დარჯანია/ვაპუაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 262-263.

⁴⁶ Muller-Freienfels, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 197

⁴⁷ Muller-Freienfels, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 197-197

⁴⁸ Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise, 112.

ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა შიდა ურთიერთობას.⁴⁹ სწორედ ამ ორი გარიგების განსხვავებული ფუნქციითაა გაპირობებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და მის საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებლობის პრინციპი.⁵⁰

ლაბანდმა განავრცო ის იდეა, რომ დავალება და უფლებამოსილება არის ორი, თუმცა ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი მხარე ერთი და იმავე ურთიერთობისა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ფარავენ. ლაბანდის მოსაზრებით არაფერი ისე დამლუპველი არაა წარმომადგენლობის ნამდვილი შინაარსისთვის, როგორც დავალებისა და უფლებამოსილების მინიჭების ერთმანეთთან გაიგივება/გაერთიანება.⁵¹ დავალება - ისევე როგორც სხვა მსგავსი/მონათესავე სამართალურთიერთობები, როგორცაა მაგალითად ამხანაგობა/პარტნიორობა და შრომითი ურთიერთობა, განეკუთვნება წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობათა კატეგორიას. იგი შეზღუდულია წარმომადგენლის იმ ვალდებულებებითა და პრივილეგიებით, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა იმოქმედოს მან წარმოდგენილი პირის სახელითა და სასარგებლოდ. თუმცა დავალების ხელშეკრულებას არაფერი „ესაქმება“ წარმომადგენლის უფლებამოსილებასთან, მიუხედავად იმისა, რომ დავალება და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ზედაპირული დამკვირვებლისთვის ერთ ურთიერთობად აღიქმება. ამგვარი დუალისტური მიდგომა გამომდინარეობს იმ იდეიდან, რომ ორი ურთიერთობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. არსებობს ისეთი დავალების ხელშეკრულება, რომელშიც რწმუნებულს არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია, სახელშეკრულებო ბოჭვა განახორციელოს მარწმუნებლის მიმართ და ასევე არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებიც უფრო ვიწროა, ვიდრე დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებია და პირიქით.⁵² აბსტრაქციის პრინციპის მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად ჩანს არასრულწლოვანთა მიერ წარმომადგენლობის შემთხვევაში, რა დროსაც შიდა ურთიერთობის ნაკლი, როდესაც არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლები არ არიან თანახმა გარიგების დადებაზე, გავლენას ვერ ახდენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობაზე გარე ურთიერთობებში. მიზეზი კი ისაა, რომ იგი ვერ იქნება არასრულწლოვანისთვის საზიანო,⁵³ რამდენადაც სამართლებრივი შედეგები წარმოდგენილი პირის მიმართ დგება და უფლებრივი ტვირთის ადრესატიც მხოლოდ ის არის.

⁴⁹ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract a comparative treatise, 112.

⁵⁰ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 203.

⁵¹ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 198. თუმცა ამგვარ მოწესრიგებას იცნობს ფრანგული სამართალი.

⁵² *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 199.

⁵³ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 204.

სწორედ აბსტრაქციის პრინციპზე მიუთითებს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების⁵⁴ 3:101-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლობის მომწესრიგებელი თავი არ აწესრიგებს წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის არსებულ შიდა ურთიერთობას. ამასვე განამტკიცებს ევროპული სამართლის მოდელური კანონის 6:101-ე მუხლი, რომლის კომენტარებშიც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ აგენტსა და პრინციპალს შორის არსებული შიდა ურთიერთობა სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით წესრიგდება.⁵⁵

აბსტრაქციის პრინციპი უცხო იყო რომის სამართლისათვის, რომელიც დავალებასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთ მთლიანობად აღიქვამდა.⁵⁶ ამ ორ გარიგებას ასევე არ ასხვავებს რომის სამართლის ფესვებზე აღმოცენებული საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი,⁵⁷ რომლის მიხედვითაც შიდა ურთიერთობის არსებობა უკვე საკმარისია წარმომადგენლის უფლებამოსილების წარმოშობისათვის.⁵⁸ იგი ცალკე განსაზღვრავს შიდა ურთიერთობას წარმომადგენლობაზე მითითების მეშვეობით. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1989-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ წარმომადგენელს არ შეუძლია იმოქმედოს დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლების მიღმა. ამგვარი მიდგომით საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი უგულვებელყოფს წარმომადგენლობის სამხრივ ბუნებას და ნაკლებად იცავს მესამე მხარის ინტერესებს, რომელსაც უწევს ატაროს უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ან მის გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მოქმედებათა რისკები.⁵⁹ თუმცა კოდექსის მიერ გაუთვალისწინებელი რისკები არ ნიშნავს მათ სრულ უგულვებელყოფას, ვინაიდან, საფრანგეთში მესამე პირთა დასაცავ წესრიგს სასამართლო/სამოსამართლო სამართალი ქმნის.⁶⁰

ა. გამონაკლისი აბსტრაქციის პრინციპიდან

აა. *ფარული პირის შეკვრა წარმოდგენილისთვის ზიანის მიყენების მიზნით*

⁵⁴ https://www.trans-lex.org/400200/_pecl/, ქართული თარგმანი შეგიძლიათ იხ: *ბზეკალავა, ჭალიძე, ცერცვაძე, გეგენავა*, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი.

⁵⁵ Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), 439

⁵⁶ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 198. შდრ. Dalley, A theory of agency law, 518-520.

⁵⁷ DCFR, 439.

⁵⁸ *Saintier*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 18.

⁵⁹ *Saintier*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 19.

⁶⁰ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract a comparative treatise, 108.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმომადგენლობის ინსტიტუტში აბტრაქციის პრინციპის მთავარი მიზანი იმ მესამე პირთა ნდობის დაცვაა, რომელთაც არ გააჩნიათ და არც მოეთხოვებათ, ჰქონდეთ რაიმე ინფორმაცია რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის არსებულ შიდასამართლებრივი ურთიერთობის შესახებ.⁶¹ სამართალი უნდა ქმნიდეს ისეთ ურთიერთობებს წარმომადგენლობაში, რომელიც დაიცავს მესამე პირებს, წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების წარდგენის გარეშე.⁶² სწორედ ამიტომ, აბსტრაქციის პრინციპი არ მოქმედებს მაშინ, როცა მესამე პირი და წარმომადგენელი განზრახ ერთიანდებიან წარმოდგენილის მიმართ ზიანის მიყენების განზრახვით (ფარული პირის შეკვრა ზიანის მიყენების მიზნით).⁶³ აღსანიშნავია, რომ ფარული პირის შეკვრა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არაა, რის გამოც, შესაძლოა პრობლემური ჩანდეს ამ ქმედებით გარიგების სამართლებრივი ბედის საკითხი. ამის მიუხედავად, ფარული პირის შეკვრა შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც ამგვარი ქმედების შედეგად დადებული გარიგება ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული.⁶⁴

ბბ. უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მესამე პირის ცოდნა

აბსტრაქციის პრინციპი ასევე არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე პირმა იცის ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ.⁶⁵ ასეთი სიტუაცია ძირითადად იქმნება მაშინ, როცა წარმომადგენელი შიდა ურთიერთობიდან

⁶¹ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სუს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012, რომელშიც სასამართლო განმარტავს, რომ მარწმუნებლის ნების ნამდვილობის პირობებში ივარაუდება, რომ წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები შეესაბამება მარწმუნებლის ინტერესებს, რასაც სასამართლო საბოლოო ჯამში გაუბათილებელ პრეზუმფციას უწოდებს, რომელიც ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ამგვარი მსჯელობა უსაგნოა მაშინ, როცა წარმომადგენლობით უფლებამოსილების მიმართ არსებობს დამოუკიდებლობის (აბსტრაქციის) პრინციპი და, თუნდაც, მისი მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგებოდეს მარწმუნებლის ნებას, არ ნიშნავს, რომ მას მესამე პირთა მიმართ მოქმედების ძალა არ გააჩნია. წარმომადგენლის მოქმედების შესაბამისობის მიმართ არსებობს არა წარმოდგენილის ინტერესებში მოქმედების პრეზუმფცია, არამედ წარმოდგენილის მიერ გაცემული იმ უფლებამოსილების დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის ფარგლებში დადებული გარიგებაც ნამდვილია იმის მიუხედავად, თუ რა შეზღუდვაა წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის არსებულ შიდა ურთიერთობაში.

⁶² *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 206

⁶³ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. 84. *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 35. *მაისურაძე/დარჯანია/ვაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 264.

⁶⁴ *მაისურაძე/დარჯანია/ვაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 264.

⁶⁵ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. 84.

გამომდინარე უფლებამოსილების ზღვარს სცდება, რის გამოც არაუფლებამოსილი წარმომადგენლის სამართლებრივ სტატუსს იძენს. თუმცა, იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როცა აბსტრაქციის პრინციპი იცავს კეთილსინდისიერ მესამე პირს, რომელსაც შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წარედგინა, მესამე პირი დაცვის ღირსი აღარაა მაშინ, როცა მან იცოდა შიდა ურთიერთობით დადგენილი ფარგლებისა და წარმომადგენლის მიერ მისი დარღვევის ფაქტის შესახებ.⁶⁶ პოზიტიური ცოდნისგან განსხვავებით, საკამათოა მესამე პირის უხეში გაუფრთხილებლობით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არცდონა იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს გარიგების ბათილად გამოცხადება იმთავითვე დაუშვებდა იმას, რომ მესამე პირებს სხვა ყველა შემთხვევაში დაეკისრებოდათ უფლებამოსილების ზედმეტად გამოკვლევის ვალდებულება.⁶⁷ თუმცა ამის მიუხედავად, უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის გამო გარიგების ბათილად აღიარება გამართლებული იქნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურად აშკარა და ცალსახაა შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და, მაშასადამე, უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, რა დროსაც გამოყენებული უნდა იყოს ფიქცია, რომ ასეთ შემთხვევაში მესამე პირმა იცის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ.⁶⁸

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით აღსანიშნავია, მესამე პირის მიერ უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ცოდნის შემთხვევები უნდა გაუტოლდეს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებულ გარიგებას და წარმოდგენილს მისი მოწონების შესაძლებლობა მიეცეს.⁶⁹

III. წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობები

წარმომადგენლობის ძირითადი წინაპირობებია წარმომადგენლობის დასაშვებობა, წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენა, სხვა პირის სახელითა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე.⁷⁰

3.1. წარმომადგენლობის დასაშვებობა

⁶⁶ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 266-267.

⁶⁷ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 266.

⁶⁸ *Schäfer*, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 48, 49 ციტ: *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 267.

⁶⁹ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 267.

⁷⁰ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 79.

წარმომადგენლობა თითქმის ყველა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში გამოიყენება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში არსებობს გამონაკლისები, რომელიც წარმომადგენლობას, ურთიერთობის არსიდან და ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნევს,⁷¹ ასეთი შეიძლება იყოს ქორწინება, საანდერძო განკარგულებები.⁷² ამასთან, თუკი სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლისთვის აუცილებელ წინაპირობად არ განსაზღვრავს სრულ ქმედუნარიანობას, წარმოდგენილისთვის ეს აუცილებელია, რამდენადაც, სამართლებრივი შედეგები სწორედ მის მიმართ დგება.⁷³

3.2. წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენა სხვა პირის სახელით

წარმომადგენლობისთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ წარმომადგენელი საკუთარი ნებით,⁷⁴ მაგრამ სხვა პირის სახელით მოქმედებს. ამით განსხვავდება იგი არაპირდაპირი წარმომადგენლობისაგან, რა დროსაც, წარმომადგენელი თავის სახელით, თუმცა სხვის ინტერესებში მოქმედებს⁷⁵ - ე.ი. პირდაპირი წარმომადგენლობა ყოველთვის გულისხმობს სხვისი სახელით მოქმედებათა განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ამ ელემენტთან მიმართებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში⁷⁶ ხშირად ხდება წარმომადგენლობისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ერთმანეთში აღრევა, რაც სამართლის

⁷¹ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 431.

⁷² *კროპოლოერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 79.

⁷³ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 432.

⁷⁴ აღსანიშნავია, რომ სუს 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე # ას-595-554-2017 არასწორად მიუთითებს იმაზე, რომ სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას უძრავი ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს, მოსარჩელეს არ გამოუვლენია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ნება. ვინაიდან, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა იმაზე, რომ მოსარჩელემ არ გამოავლინა ნება, არამედ იმაზე, რომ მან არ გამოავლინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის/მინიჭების შესახებ ნება, რის გამოც, წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი დაედო შესაბამისი გარიგება. წარმომადგენლის მეშვეობით დადებულ გარიგებაში ამოსავალი წერტილი სწორედ ის არის, რომ გარიგების დადების ნებას ავლენს არა წარმოდგენილი, არამედ წარმომადგენელი.

⁷⁵ *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 83. ასევე იხ. *ცვაიგერტი, კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 123.

⁷⁶ სუს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012; გადაწყვეტილებაში სასამართლო ერთი მხრივ ადგენს საკუთრების მინდობის ხელშეკრულება და მეორე მხრივ, საუბრობს მესაკუთრის სახელით მინდობილი პირის მიერ ქმედებათა განხორციელებაზე, რაზეც იყენებს წარმომადგენლობის მომწესრიგებელ ნორმებს. საბოლოო ჯამში კი სასამართლო ამ ხელშეკრულებას შერეული ტიპის ხელშეკრულებად აკვალიფიცირებს, რაც არასწორია. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში სასამართლო დავალებისა და წარმომადგენლობის მომწესრიგებელ ნორმებს იყენებს, ბუნდოვანი და გაურკვეველია მისი მსჯელობა საკუთრების მინდობასთან და მისი წარმომადგენლობისაგან გამიჯვნასთან დაკავშირებით. ასევე შდრ: სუს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე # ას-194-181-2015; სუს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-788-745-2015, რომლებშიც ასევე არათანმიმდევრულია წარმომადგენლობისა და საკუთრების მინდობის გამიჯვნაზე მსჯელობა.

დოგმატიკის თვალსაზრისით დაუშვებელია. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის შიდა ურთიერთობაში, როგორც წესი, დავალების ხელშეკრულება იდება, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებსა და მხარეთა შიდა ურთიერთობის სხვა დეტალებს. გარე ურთიერთობაში წარმომადგენელს მესამე პირებთან სწორედ შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია წარსდგეს და განახორციელოს სამართლებრივი მოქმედებები. ამ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში კი წარმოდგენილი აღარ არის შეზღუდული და გამოიყენება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ მოქმედი წესები იმ გამონაკლისებისა და პრინციპების გათვალისწინებით, რაც წარმომადგენლობის ინსტიტუტს ზოგადად ახასიათებს. ამ ვითარებისაგან სრულიად განსხვავდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომელიც მიმნდობისა და მინდობილის შიდა ურთიერთობას განსაზღვრავს, თუმცა გარე ურთიერთობაში მინდობილი მიმნდობისაგან სანივთოსამართლებრივი პოზიციის გადაცემის გამო წარსდგება, როგორც მესაკუთრე, რომელიც არა სხვისი, არამედ უკვე საკუთარი სახელით დებს ნებისმიერი ტიპის გარიგებასა და შესაბამისად, მესამე პირთათვის მინდობილი პირის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციაც მოქმედებს. ნებისმიერი განკარგვა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფარგლებთან ნამდვილია ამ წინააღმდეგობის მიუხედავად და იგი მიმნდობს მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს ანიჭებს.

3.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა წარმომადგენლობის ნამდვილობის წინაპირობაა.⁷⁷ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე არ არსებობს სრულყოფილი წარმომადგენლობითი ურთიერთობა, თუმცა მისი არარსებობის პირობებში მესამე პირისათვის, შესაძლოა, ისეთივე შედეგი დადგეს, რაც ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში თუ წარმოდგენილმა პირმა თავად შექმნა ამგვარი გარემოებები, ხოლო მესამე პირმა კეთილსდისიერად ივარაუდა ამგვარი უფლებამოსილების არსებობის შესახებ.⁷⁸

IV. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

4.1. უფლებამოსილების მინიჭება

⁷⁷ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 432.

⁷⁸ იხ. ქვევით აშკარა და კონსტრუქციულ უფლებამოსილებათა დოქტრინა.

უფლებამოსილება სამართლებრივი შესაძლებლობაა, რომლის ძალითაც პირს შეუძლია წარმოშვას, შეცვალოს ან შეწყვიტოს სამართლებრივი ურთიერთობები.⁷⁹ უფლებამოსილების მინიჭება, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა ცალმხრივი ნების გამოვლენა, ცალმხრივი აქტია, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლის, ისე მესამე პირის მიმართ (სკ-ის 107-ე მუხლი).⁸⁰ უფლებამოსილების გაცემა შესაძლოა მოხდეს როგორც აშკარად გაცხადებულად, ისე კონკლუდენტურადაც.⁸¹ ნამდვილი უფლებამოსილება წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობას წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის, რომლის წარმოშობის საფუძველიც მათ შორის არსებული შეთანხმებაა, რომლის დადებასა და ნამდვილობაზეც მოქმედებს ჩვეულებრივი ხელშეკრულების დადების მიმართ მოქმედი წესები. ამგვარი შეთანხმებისა და მისი პირობების მიმართ უცხო მხარეს წარმოადგენს მესამე პირი, რომელმაც შესაძლოა სრულებითაც არ იცოდეს ამგვარი უფლებამოსილების არსებობის შესახებ.⁸² მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება და მინდობილობა. პირველი მათგანი, როგორც აღინიშნა ცალმხრივი აქტია, ხოლო მეორე კი მისი გამოხატვის ფორმა.⁸³ მინდობილობა არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოხატავს პირის უფლებამოსილებით აღჭურვას, იყოს წარმომადგენელი სხვადასხვა ქმედების განხორციელების პროცესში.⁸⁴ ამდენად, როდესაც საუბარია უფლებამოსილების შესახებ განცხადებაზე, შესაძლებელია ამგვარი ქმედება აღვნიშნოთ ერთი ტერმინით - რწმუნებულებით ან მინდობილობით.⁸⁵ გაცემის ფორმისა და ხერხის მიხედვით მინდობილობა შესაძლოა დაიყოს, როგორც: წარმომადგენლისადმი გაცხადებულად და მესამე პირის წინაშე გაცხადებულად.⁸⁶ ამ დაყოფას მნიშვნელობა ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეცვლის ან შეწყვეტის პროცესში, რამდენადაც იგი იმავე წესით უნდა გაუქმდეს, როგორი ხერხითაც გაიცა.⁸⁷

4.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფორმა

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება სპეციალურ ფორმას არ საჭიროებს. ამდენად, შესაძლებელია წერილობით დასაბუთებულ გარიგება დადოს იმ

⁷⁹ *Seavey*, The rationale of agency, the Yale Law Journal, vol 29, No 8, 861.

⁸⁰ *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 107, 286.

⁸¹ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 256.

⁸² *Freeman & Lockyer v. Buchkhurst Park Properties (Mangal) Ltd*, ციტ.: *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe Contract law, 928.

⁸³ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 434.

⁸⁴ Power of attorney, 18 Temp, L.Q. 425 (1944).

⁸⁵ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 83. ასევე იხ. სუს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012, რომელშიც სასამართლო განმარტავს მინდობილობის ბუნებას: „მინდობილობა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფად წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის“.

⁸⁶ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 83.

⁸⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 111.

წარმომადგენელმა, რომელსაც უფლებამოსილება ზეპირად - განცხადების საფუძველზე აქვს მინიჭებული.⁸⁸ აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა - რამდენად შეუძლია უძრავი ნივთის მყიდველს ან გამყიდველს შინაურული წერილობითი ფორმით ან ზეპირად გაცხადებული მინდობილობის გაცემა? პასუხი უარყოფითია. ვინაიდან, იგი ქმნის მიწის ნაკვეთის/უძრავი ქონების განკარგვის შესაძლებლობას, დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალურად.⁸⁹ ამგვარი წესი ეხმიანება არა მატერიალურსამართლებრივ, არამედ ფორმალურსამართლებრივი ნამდვილობის წინაპირობას - საჯარო რეესტრის პროცედურული მიზნებისთვის და ფორმალური სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით მინდობილობა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო ფორმით.⁹⁰ აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში მინდობილობა წერილობითო ფორმით უნდა იყოს გაცემული და დეტალურად განსაზღვრავდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს.⁹¹ მაგალითად საქმეზე *Stafford v. Lick*,⁹² სასამართლომ აღნიშნა, რომ მინდობილობა, წარმომადგენელს გაეყიდა პრინციპალის მიწა, არ შეიცავდა დეტალურ აღწერას მიწის ნაკვეთის მახასიათებლებთან დაკავშირებით და თავის მხრივ ნასყიდობის საგანი (მიწის ნაკვეთი) არ წარმოადგენდა წარმოდგენილი პირის ერთადერთ მიწის ნაკვეთს, რის გამოც გასაყიდი ობიექტი არაიდენტიფიცირებადი იყო და, შესაბამისად, მინდობილობა ვერ მოახდენდა რაიმე გავლენას პრინციპალის სამართლებრივ პოზიციებზე.

სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი მინდობილობის ფორმის თავისუფლებასთან დაკავშირებით არ გამოიყენება მაშინ, როცა განსაზღვრულია სპეციალური ფორმა, მაგალითად ასეთს განეკუთვნება პროკურა და სავაჭრო მინდობილობები, რომელთა ფორმაც და მოცულობაც (უფლებამოსილების ფარგლები) დადგენილია მეწარმეთა შესახებ კანონით.⁹³

4.3. რწმუნებულების შეცილების დასაშვებობა

ა. გამოუყენებელი რწმუნებულების შეცილება

როგორც უკვე აღინიშნა, რწმუნებულების მინიჭება ნების გამოვლენის შედეგია, რომელიც შესაძლოა საცილო გახდეს ზოგადი წესების მიხედვით, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.⁹⁴ ვინაიდან, გარიგება ბათილია *ex tunc*

⁸⁸ *ჯორბენაძე/ტაკაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 107, ველი 4, 613.

⁸⁹ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 83

⁹⁰ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 83.

⁹¹ *Power of attorney*, 18 *Temp*, L.Q. 426 (1944).

⁹² *Power of attorney*, 18 *Temp*, L.Q. 425 (1944).

⁹³ იხ. *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 83.

⁹⁴ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 273.

მოქმედებით, გაცემული მინდობილობა ძალას კარგავს გაცემის მომენტიდან. თუ რწმუნებულება გამოყენებული არაა და მას რაიმე სამართლებრივი შედეგი ჯერ არ მოუტანია, შესაძლოა იგივე მიზანი მისი გაუქმებითაც იქნეს მიღწეული სკ-ის 109-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუმცა გაუქმებას ბათილობისაგან განსხვავებით ex nunc მოქმედების ძალა გააჩნია.⁹⁵ ასეთ დროს არჩევანი წარმოდგენილ პირზეა, რომელსაც, სურვილისამებრ, შეუძლია გამოიყენოს ან ერთი ან მეორე ალტერნატივა.

ბ. გამოყენებული რწმუნებულების შეცილება და მისი გავლენა მესამე პირის ინტერესებზე

განსხვავებით გარიგების დასადებად გამოყენებული რწმუნებულებისა, პრობლემურია უკვე გამოყენებული მინდობილობის შეცილების საკითხი იმდენად, რამდენადაც მისი ბათილობა ex tunc მოქმედებით გამოიწვევს მის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივი შედეგების/მის საფუძველზე დადებული გარიგების ბათილობასაც.⁹⁶ არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში გამართლებულია რწმუნებულების შეცილების უფლების შეზღუდვა, ვინაიდან იგი ნეგატიური შედეგების მომტანია კეთილსინდისიერ მესამე პირთათვის.⁹⁷ ამის მიუხედავად, გაბატონებული მოსაზრებით,⁹⁸ შეცილების გამოყენება მაინც შესაძლებელია ვინაიდან, საპირისპიროს თავად არ განსაზღვრავს კანონი, რის გამოც შეცილების უფლების სრული მოსპობა გაუმართლებელია. ამგვარ დილემას ლიტერატურაში იმით წყვეტენ თუ ვინ არის შეცილების უფლების ადრესატი,⁹⁹ რისი გათვალისწინებითაც გაირკვევა შეცდომით დადებული გარიგების შეცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი. ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის წინაშე გაცხადდა რწმუნებულების მინიჭების ნება - წარმომადგენლის თუ მესამე პირის მიმართ, რაც საბოლოოდ იძლევა პასუხს თუ ვის წინაშე უნდა გაცხადდეს შეცილების ნება.¹⁰⁰ თუ ეს მესამე

⁹⁵ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 273.

⁹⁶ *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 274.

⁹⁷ *MüKo/Schubert*, BGB, 7. Aufl., § 167, Rn. 46; *Schäfer*, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 55; *Brox/Walker*, Allgemeiner Teil des BGB, 38. Aufl., Rn. 573, 574 ციტ: *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 274.

⁹⁸ *MüKo/Schubert*, BGB, 7. Aufl., § 167, Rn. 47; *Schäfer*, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 55, 56. ციტ: *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 274.

⁹⁹ არსებობს მოსაზრება, რომ შეცილების ადრესატი მესამე პირის უნდა იყოს, თუმცა აღნიშნული მოსაზრება უკუგდებულია, ვინაიდან, მნიშვნელობა ენიჭება თუ ვის მიმართ გაცხადდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების ნება. იხ. *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 276.

¹⁰⁰ *Schäfer*, Beck OK BGB, 39. Aufl., § 167, Rn. 57 ციტ: *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 276.

პირია, მაშინ საკითხი სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა გადაწყდეს, რაც არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების მიმართ მოქმედი წესების (სის 111-113-ე მუხლები) ანალოგიურ სამართლებრივ შედეგს იწვევს, ხოლო თუ შეცილების ნების ადრესატი წარმომადგენელია, სკ-ის 79-ე მუხლი ამ შემთხვევაში იდენტურად უნდა იქნეს გამოყენებული მესამე პირის სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფს მის დაცვას.¹⁰¹

4.4. უფლებამოსილების ნავარაუდები მინიჭება

წარმომადგენლობა, უფლებამოსილების ნამდვილი მინიჭების გარდა, შესაძლოა ნავარაუდები/პრეზუმირებული იყოს, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, მესამე პირის დაცვის ღირს ნდობაში, რომ ამგვარი უფლებამოსილება მას სარწმუნოდ და რეალურად მიეჩნია და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი პირის ბრალში, ხელი შეეწყოს რეალურად არარსებული, თუმცა გარეგნულად მოჩვენებითად ნამდვილი უფლებამოსილების შექმნაში. სწორედ მესამე პირთა დაცვის იდეიდან გამომდინარე თითქმის ყველა მართლწესრიგი¹⁰² ნამდვილი უფლებამოსილების გვერდით აღიარებს პრეზუმირებულ უფლებამოსილებათა მთელი რიგს, რომელიც აშკარა უფლებამოსილების კონცეპტს ეყრდნობა და უფლებას ართმევს წარმოდგენილ პირს, მიუხედავად, უფლებამოსილების არარსებობისა, უარყოს წარმომადგენლის ქმედებებზე პასუხისმგებლობა. ამგვარ ვითარებაში წარმოდგენილის მიმართ ისეთივე სამართლებრივი შედეგები დგება, როგორც ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემთხვევაში.

ა) აშკარა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

თითქმის ყველა მართლწესრიგში წარმომადგენლობის სამართალში არსებულ ნორმებთან გვხვდება აშკარა უფლებამოსილების კონცეპტი. ამათუიმ სისტემის თავისებურებების მიუხედავად, ხსენებული დოქტრინა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვნადაა გაგებული როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში. როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, ძირითადი ნიშანი, რაც ამ ორ სისტემას განასხვავებს წარმომადგენლობის სამართალში, არაპირდაპირი და პირდაპირი წარმომადგენლობის ერთი ცნების ქვეშ მოაზრებაა. ამის მიუხედავად, ვინაიდან, აშკარა წარმომადგენლობა ვერ შეიქმნება დაფარული პრინციპალის მიმართ,¹⁰³ ანგლოამერიკულ სამართალში მოქმედი მიდგომების მეტ-ნაკლებად

¹⁰¹ *მაისურადე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 277.

¹⁰² ამასთან დაკავშირებით იხ. *Busch, Macgregor*, *The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 115.

¹⁰³ *Tan*, *The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 194.

გათვალისწინება და შეფასება მიზანშეწონილია ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც.

თუ ნამდვილი უფლებამოსილების მინიჭება ხდება პრინციპალის მიერ უშუალოდ აგენტის მიმართ გაცხადებული ნებით, წარმოადგინოს იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში, აშკარა უფლებამოსილება,¹⁰⁴ ჩვეულებისამებრ, იქმნება პრინციპალის მიერ მესამე პირებთან გაკეთებული განცხადებებითა და ქმედებებით.¹⁰⁵ აშკარა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არის ისეთი უფლებამოსილება, რომელიც უშუალოდ მინიჭებული არ არის, თუმცა პრინციპალი კონკლუდენტურად ნებას რთავს აგენტს, იმოქმედოს მისი სახელით. ამ დოქტრინის ამოსავალი წერტილია ის, რომ წარმომადგენელს თავად, საკუთარი სიტყვებით, არ შეუძლია ამგვარი უფლებამოსილება შექმნას, არამედ ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ წარმოდგენილს ეკუთვნის.¹⁰⁶

პრინციპალი, როგორც წესი, მხოლოდ წარმომადგენლის ქმედებებზეა პასუხისმგებელი, რაც გამომდინარეობს წარმოდგენილი პირის მიერ წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების აშკარა მინიჭებიდან. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, უფლებამოსილება შესაძლოა ნავარაუდევო იყოს, ვინაიდან იგი აღიქმება სტანდარტულ ცხოვრებისეულ სიტუაციადაც ან იგი წარმოადგენს იმ პირის ჩვეულებრივ ვალდებულებას, რომელიც პრინციპალის მიერაა დანიშნული და თავისი საქმიანობის ფარგლებში ასრულებს გარკვეულ მოქმედებებს. ასეთი შეიძლება იყოს მაღაზიის გამყიდველი, რომელიც უფლებამოსილია არამხოლოდ პროდუქტის გაყიდვაზე, არამედ მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გაცემაზე,¹⁰⁷ რიგ შემთხვევაში კი შესაძლოა წარმოდგენილი გაცემული მითითებების მიხედვით წარმომადგენლის უფლებამოსილებებს ზღუდავდეს, რაც გარე ურთიერთობებში არც ისე აღქმადი იყოს. სწორედ ამიტომ, მესამე პირთა ნდობის დაცვის მიზნებისათვის განვითარდა აშკარა უფლებამოსილების¹⁰⁸ დოქტრინა.¹⁰⁹ მხოლოდ წარმომადგენლობის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აშკარა უფლებამოსილება ავტომატურად წარმოიშვას, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეზოჭავს პრინციპალს მესამე პირთან ვალდებულებით. ამგვარი ცხადი უფლებამოსილების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ პრინციპალის სიტყვები და ქმედებები მიმართული იყოს მესამე პირის მიმართ და ქმნიდეს ნდობას ამ უფლებამოსილებისადმი. აშშ ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში¹¹⁰ განმარტა, რომ, პრინციპალს არ ჰქონია პირდაპირი კავშირი

¹⁰⁴ შდრ. *Lando Ole*, Salient features of European Contract Law, Copenhagen, ველი 6. http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando1.html?fbclid=IwAR1ODdCj6DU8Y2SgdMrcgPZQc0-s9SpdwAUhyVudja_svSIJdlgqM8c2izs#vii (02.06.2019)

¹⁰⁵ *Dalley*, A theory of Agency Law, 523.

¹⁰⁶ *Jennings v. Pitts. Mercantile Co.* 414 Psa. 641 (1964)

¹⁰⁷ *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 927.

¹⁰⁸ გერმ: *Anscheinsvollmacht*, ანგლოამერიკულ სამართალში - Apparent authority.

¹⁰⁹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 117.

¹¹⁰ *Songbird Jet Ltd. v. Amax Inc.*, 581 F. Supp. 912. 919 (S.D.N.Y. 1984).

მოსარჩელე კომპანიასთან, რასაც, შესაძლოა, ვერ წარმოეშვა ხელმოწერის უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდი. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია პირდაპირი და უშუალო კავშირის გარეშე აღმოცენდეს აშკარა უფლებამოსილება,¹¹¹ ვინაიდან, იგი სხვა არაფერია თუ არა პრინციპალის ქმედება, რომელიც მესამე პირს უყალიბებს ნამდვილი უფლებამოსილების მინიჭების რწმენას, რის საფუძველზეც იქმნება ნდობა წარმომადგენლობის მიმართ.¹¹² იმისათვის, რომ პრინციპალი აშკარა უფლებამოსილების კონცეპტის საფუძველზე შეიზღუდოს, აუცილებელია არამხოლოდ მესამე პირის კეთილსინდისიერი ნდობა აგენტის უნაკლო და შეუზღუდავი უფლებამოსილებისადმი, არამედ წარმომადგენლის ქმედებების მიმართ ნდობა გავლენას უნდა ახდენდეს - უნდა ცვლიდეს მესამე პირის სამართლებრივ პოზიციებს,¹¹³ თუმცა ესტოპელის დოქტრინისაგან განსხვავებით,¹¹⁴ აშკარა უფლებამოსილების დროს საკმარისია სამართლებრივი პოზიციის მინიმალური (De minimis) ცვლილება.¹¹⁵

უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგება მერყევად ბათილია და მოწონების გარეშე იგი არ წარმოშობს პრინციპალის მიმართ სამართლებრივ შედეგებს. აშკარა უფლებამოსილების შემთხვევაში წარმოდგენილი პირი ვალდებული ხდება დადასტურების მიუხედავად, რამდენადაც მესამე პირისთვის მოქმედი წარმომადგენელი წარმოდგენილის მითითებისა და განცახდების გამო აღიქმებოდა, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი,¹¹⁶ რომელმაც გარიგება დადო მისი მეშვეობით პრინციპალთან. ასეთ დროს წარმომადგენლის მიერ მესამე პირებისთვის მიყენებულ ზიანზეც წარმოდგენილი პირია პასუხისმგებელი.¹¹⁷

აშკარა უფლებამოსილების კონცეპტი ასევე გვხვდება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 3:201 (3) მუხლში, ჟენევის კონვენციის მე-14 მუხლში და უნიდროას პრინციპების 2.2.5-ე მუხლით.¹¹⁸ სამივე აქტი ყურადღებას ამახვილებს: 1. პრინციპალის ქმედებაზე, რომელმაც შექმნა შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ვარაუდი, და 2. მესამე პირის ნდობაზე, რომელიც

¹¹¹ Property Advisory Group, Inc. v. Bevona, 718 F. Supp. 209 (S.D.N.Y. 1989).

¹¹² E.F. Hutton & Co. v. First Florida Securities, Inc., 654 F. Supp. 1132, 1142 (S.D.N.Y. 1987).

¹¹³ Songbird Jet Ltd. v. Amax Inc., 581 F. Supp. 912, 919 (S.D.N.Y. 1984).

¹¹⁴ რაზეც ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი.

¹¹⁵ Tan, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 197.

¹¹⁶ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 927.

¹¹⁷ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 927. იხ. ასევე: Washington Gas and Light. Co. v. Lansden, 172, U.S. 534 (199). ხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ პრინციპალი პასუხისმგებელია წარმომადგენლის მიერ მესამე პირებისთვის მიყენებული იმ ზიანისთვის, რომელიც დადგა წარმოდგენილი პირის საქმეების შესრულების პერიოდში.

¹¹⁸ Art. 2.2.5. UNIDROIT Principles, 2010. ტექსტი იხ შემდეგ ბმულზე: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/394-chapter-2-formation-and-authority-of-agents-section-2-authority-of-agents/905-article-2-2-5-agent-acting-without-or-exceeding-its-authority?fbclid=IwAR3vb5oMigEc8DogSRAGZ2rrb7ih4VIVVe4vOSxTdr31NWMZabr_z6HXj7U (17.06.2019).

კეთილსინდისიერად ენდო მას და გარემოებებიდან გამომდინარე, არც შეიძლებოდა სხვაგვარად ეფიქრა.

საქმეზე Freeman & Lockyer v. Buchkhurst Park Properties (Mangal) Ltd,¹¹⁹ სასამართლომ განმარტა აშკარა უფლებამოსილების მნიშვნელობა და მისი სამართლებრივი შედეგები. აშკარა უფლებამოსილება განსხვავდება ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისაგან და ისინი დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან. მართალია, ზოგჯერ ისინი ერთად გვხვდება, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არსებობდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულადაც.

აშკარა უფლებამოსილების დოქტრინა გამოიყენება მაშინაც, როცა პრინციპალი არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირია. ამ შემთხვევაში აშკარა უფლებამოსილების არსებობისათვის მნიშვნელოვანია ოთხი წინაპირობის არსებობა: 1. წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ განცხადება, დადოს ესათუის გარიგება, გაკეთებული უნდა იყოს ხელშეკრულების მხარის მიმართ; 2. ამგვარი განცხადება გაკეთებული უნდა იყოს იმ პირთა მიერ, ვისაც ნამდვილი უფლებამოსილება აქვთ, მართონ კომპანია და დადონ მის საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები; 3. სწორედ ამგვარმა წარმომადგენლობამ უნდა გამოიწვიოს ხელშეკრულების მხარის ნდობა და, შესაბამისად, ხელშეკრულების დადება; 4. საზოგადოების ან კომპანიის აქტებითა და წესდებით აშკარად არ უნდა იყოს ჩამორთმეული პირის უფლებამოსილება,¹²⁰ რაც ვერ წარმოშობს მესამე პირთა ნდობას. ვინაიდან, წინამდებარე საქმეში დაკმაყოფილებული იყო ყველა ზემოთხსენებული წინაპირობა და დირექტორთა საბჭოს მიერ ცნობილი იყო პირის მოქმედებების შესახებ, დადგინდა, რომ მას გააჩნდა აშკარა უფლებამოსილება, შედეგად კი კომპანიასა და მესამე პირს შორის გარიგებიდან გამომდინარე წარმოიშვა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, სახელშეკრულებო ბოჭვა.¹²¹

მიუხედავად იმისა, რომ ამათუიმ საკითხს სხვადასხვა მართლწესრიგი, რიგი თავისებურებების გამო განსხვავებულად აწესრიგებს, ფაქტია, რომ მიზანი ყველა შემთხვევაში ერთია, რომელიც მრავალფეროვანი გზებით განსხვავებულად, თუმცა შედეგობრივად მაინც ერთნაირად მიიღწევა. ამას მოწმობს წარმომადგენლობის სამართლის ფრანგული მოწესრიგება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი აერთიანებს რა დავალების ხელშეკრულებასა და წარმომადგენლობით

¹¹⁹ მოპასუხე კომპანიამ იყიდა მიწის ნაკვეთი, დამუშავებისა და შემდგომ გაყიდვის მიზნით. ბატონი კუპერი იყო ამ კომპანიის დირექტორი, მაგრამ ვინაიდან იგი დანიშნული არ იყო, როგორც მმართველი დირექტორი, არ ჰქონდა ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან დაედო ხელშეკრულებები. ამის მიუხედავად, მან მოსარჩელე კომპანიას მიმართა პროექტის ნებართვის განცხადების მომზადებისთვის. მოსარჩელემ შეასრულა სამუშაო და მოპასუხეს მოსთხოვა ანაზღაურება. მოპასუხემ მიუთითა, რომ ბატონ კუპერს არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილება.

¹²⁰ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 929.

¹²¹ Freeman & Lockyer v. Buchkhurst Park Properties (Mangal) Ltd. [1964] 2 QB 480.

უფლებამოსილებას,¹²² არ იცნობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აბსტრაქციის პრინციპს, რაც მესამე პირთა დაცვის ფუნქციას ასრულებს გერმანულ სამართალში. აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირთა უფლებები და ინტერესები ფრანგულ სამართალში უგულებელყოფილია. წარმომადგენლობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და მიზანიც მესამე პირთა ნდობის დაცვაა, რომელთაც უბრალოდ არ შეიძლება იმაზე მეტი კვლევის ვალდებულება დაეკისროთ, ვიდრე ეს გონივრულად შესაძლებელი და დასაშვებია. ამიტომ, ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად, ფრანგულმა სამოსამართლო სამართალმა განავითარა 1. წარმოდგენილის მხრიდან უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების დადასტურების შესაძლებლობა და 2. აშკარა უფლებამოსილების (mandate apparent) დოქტრინა.¹²³ ამ კონცეპტის მთავარი ღირსება ფრანგულ სამართალში ისაა, რომ მას გამოყენების ფართო სფერო გააჩნია და მოწონებისგან განსხვავებით, იგი დამოკიდებული არაა წარმოდგენილის ნებაზე, რამდენადაც, აშკარა უფლებამოსილების გამოყენება ემყარება მესამე პირის ლეგიტიმურ ნდობას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ.¹²⁴ ამდენად, აშკარა უფლებამოსილების წარმოშობისთვის ამოსავალი წერტილია მესამე პირის ლეგიტიმური ნდობა/მოლოდინი და წარმოდგენილის ბრალი ამგვარი მოჩვენებითი ლეგიტიმაციის შექმნისა და ნდობის გამოწვევისთვის. აშკარა უფლებამოსილებად მიიჩნია სასამართლომ მხოლოდ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გარიგებისთვის საჭირო იყო ორი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა. ამ შემთხვევაში მეორე მხარეს ლეგიტიმური მოლოდინი ჰქონდა, რომ ბანკის მიერ გაცემული გარანტია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ იყო ხელმოწერილი.¹²⁵

შეჯამების სახით კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობა არამხოლოდ უფლებამოსილების უშუალო მინიჭებიდან გამომდინარეობს, რიგ შემთხვევებში ყველა მართლწესრიგი ნამდვილ უფლებამოსილებს უთანაბრებს პრეზუმირებულ წარმომადგენლობებს, რომელთა მიზანიც უფლებამოსილებისადმი ლეგიტიმური მოლოდინებისა და ნდობის მქონე მესამე პირთა დაცვაა. ამასთან, აშკარა უფლებამოსილების დოქტრინა ცხადყოფს, რომ სწორედ უფლებამოსილების ნამდვილი მინიჭებისაგან გადახვევა უზრუნველყოფს წარმომადგენლობის სამართლის მიზნებსა და პრინციპებს და ინტერესთა სამართლიან გადანაწილებას.

¹²² *Saintier*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 18. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შიდა ურთიერთობიდან/დავალების ხელშეკრულებიდან წარმოიშობა.

¹²³ *Saintier*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 59.

¹²⁴ *Saintier*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 60.

¹²⁵ Cass. Assemblée plénière, 13 december 1962, ციტ: *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe Contract law, 930.

ბ) თმენითი და მოჩვენებითი უფლებამოსილება (წარმომადგენლობა)

ამჟამად უფლებამოსილების პრინციპი გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული არაა, რის გამოც, ამ დოქტრინას საფუძველი აქვს სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის მკვლევართა ნაშრომებში.¹²⁶ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამჟამად უფლებამოსილების კონცეპტი გამოიყენება ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც წარმოდგენილს არ აქვს წარმომადგენლის ქმედებების შესახებ გარკვეული ცოდნა, თუმცა ამგვარი ინფორმაციის მოპოვება მას შეეძლო უფრო გულისხმიერი რომ ყოფილიყო. ასეთ დროს შეიძლება ითქვას, რომ პირი ამჟამად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს.¹²⁷ მისი შემოწმების ტესტი გულისხმობს იმას, თუ რამდენად იფიქრებდა მესამე გონიერი ობიექტური დამკვირვებელიც, რომ ამგვარი უფლებამოსილება არსებობს.¹²⁸ როგორც ინგლისურ სამართალშია, ამჟამად უფლებამოსილება განსხვავდება ნაგულისხმევი წარმომადგენლობისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოიაზრება, როგორც პრინციპალის ნება, რომელიც გაცხადებულია აგენტის მიმართ. თუმცა, პრაქტიკაში ეს განსხვავება არც ისე მკვეთრია, როგორც ეს თეორიაში გამოიყურება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სირთულე განპირობებულია იმითაც, რომ გერმანული სამართალი, განსხვავებით, სხვა მართლწესრიგებისგან¹²⁹ ამჟამად უფლებამოსილების კონცეპტს აღიარებს/განსაზღვრავს არა, როგორც წარმოდგენილის აქტიურ ქმედებას, შექმნას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ლეგიტიმაცია, არამედ მის უმოქმედობას - უფლებამოსილება გამოიყურებოდეს ნამდვილად.¹³⁰ გერმანული სამართალი, ინგლისურისგან განსხვავებით, აღიარებს ორ ისეთ სიტუაციას, როგორშიც წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედებები რეალურად/ფაქტობრივად ბოჭავს წარმოდგენილ პირს მიუხედავად იმისა, წარმოდგენილმა გამოხატა თუ არა წარმომადგენლის ან მესამე პირის მიმართ პირდაპირი ნება ან მითითება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.¹³¹ ამგვარად გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა ე.წ. კონსტრუქციული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცნება,¹³² რომელიც, განსხვავებით გარიგებისმიერი წარმომადგენლობისაგან, ეყრდნობა არა მხარეთა შეთანხმებას ან პრინციპალის მიერ სათანადო წესით გაცემულ მინდობილობას, არამედ პირის უმოქმედობას, წარმომადგენელი მესამე პირთა წინაშე წარსდგეს მისი სახელით და

¹²⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 143.

¹²⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 117.

¹²⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 117.

¹²⁹ საერთო სამართლის ქვეყნები, ფრანგული სამართალი, ევროპული სამართლის მოდელური კანონები.

¹³⁰ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 117.

¹³¹ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract a comparative treatise, 113

¹³² *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 36. *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 115.

დადოს გარიგებები.¹³³ გერმანული სასამართლო პრაქტიკა კონსტრუქციულ წარმომადგენლობათა ორ კატეგორიას გამოყოფს: ერთ-ერთს მოიხსენიებენ, როგორც თმენითი წარმომადგენლობა (Duldungsvollmacht) და იგი გულისხმობს ისეთი პრინციპალის არსებობას, რომელმაც იცის, რომ სხვა პირი მოჩვენებითად მისი სახელით მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს ამგვარ ქმედებათა აღსაკვეთად. თმენითი უფლებამოსილების წინაპირობებია: 1. მოჩვენებითი უფლებამოსილება; 2. წარმოდგენილის სახელით მოქმედების გარკვეული ვადა და სიხშირე; 3. მიზეზობრივი კავშირი, რაც გამოიხატება მოჩვენებითი უფლებისადმი ნდობის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებში; 4. მესამე პირის კეთილსინდისიერება.¹³⁴ მეორე შემთხვევა კი ეხება მოჩვენებითი უფლებამოსილებას (Anscheinsvollmacht), რომელიც გულისხმობს თმენითი უფლებამოსილების იდენტურ მდგომარეობას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პრინციპალმა უხეში გაუფრთხილებლობით არ იცის ამგვარი ქმედებების განხორციელების შესახებ.¹³⁵ ამრიგად, საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ პირი მხოლოდ მოჩვენებითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდეს, არამედ აუცილებელია წარმოდგენილი უხეში გაუფრთხილებლობით არ იყოს ინფორმირებული წარმომადგენლის ამგვარ ქმედებათა შესახებ.¹³⁶ მოჩვენებითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დროს სახეზე არ არის ნების გამოვლენის კომპონენტი, არამედ ხდება ბრალეული ნების გამოვლენის შერაცხვა.¹³⁷

კონსტრუქციული წარმომადგენლობის შემთხვევებში მნიშვნელოვანია მესამე პირთა კეთილსინდისიერი დამოკიდებულება პრეზუმირებულ უფლებამოსილებათა მიმართ,¹³⁸ ვინაიდან, ამ კონცეპტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზანი სწორედ მესამე პირთა ნდობის დაცვა¹³⁹ და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე უფლებამოსილების ნაკლის შევსებაა.¹⁴⁰ აღსანიშნავია, რომ ნაგულისხმევი უფლებამოსილების წარმოშობისათვის, აუცილებელია, მას ჰქონდეს განგრძობადი ან

¹³³ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 36.

¹³⁴ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, ველი 8, 85.

¹³⁵ Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise, 113

¹³⁶ Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise, 113

¹³⁷ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 36

¹³⁸ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 115.

¹³⁹ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 115.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ნავარაუდევია უფლებამოსილება ეყრდნობა არა მესამე პირთა დაცვის პრინციპს, არამედ იგი უბრალოდ კონსტრუქციულ უფლებამოსილებათა კატეგორიას განეკუთვნება. არგუმენტად კი ასახელებენ იმას, რომ თმენითი და მოჩვენებითი უფლებამოსილების გაბათილება შესაძლებელია, თუ სახეზე იქნება შეცდომა. მესამე პირთა დაცვის პრინციპის არსებობის პირობებში კი, ამგვარი შესაძლებლობა არ უნდა არსებობდეს. ამასთან დაკავშირებით იხ. Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 116.

¹⁴⁰ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 36

ინტენსიური ხასიათი¹⁴¹ - ე.ი. მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ არის საკმარისი უფლებამოსილების ვარაუდისთვის. მოჩვენებითი, ე.წ. თვალთმაქცური უფლებამოსილების წინაპირობები მსგავსია თმენითი წარმომადგენლობის წინაპირობებისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აშკარა/კონსტრუქციული უფლებამოსილების კონცეპტის საფუძვლები სკ-ის 104-ე მუხლიდან იკითხება, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი პირი ხელშეკრულების შესრულებაზე ვალდებულია მაშინაც, როცა, მართალია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მას წარმომადგენლისთვის არ მიუნიჭებია, თუმცა იმგვარი გარემოებები შექმნა, რომ მესამე პირს კეთილსინდისიერად ეგონა ამ უფლებამოსილების უნაკლობისა და შეუზღუდაობის შესახებ. აღნიშნული ნორმა ეფუძნება აშკარა უფლებამოსილების დოქტრინას, რომელიც პრინციპალს ვალდებულს ხდის წარმომადგენლის ქმედებებზე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც უფლებამოსილება არ არსებობს (ან ქმედება უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ სრულდება), თუმცა პრინციპალის ბრალითა და მესამე პირის კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით იქმნება უნაკლო უფლებამოსილების ვარაუდი.

აღნიშვნის ღირსია სკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის ხარვეზი, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანს ხდის მის შინაარსს, ვინაიდან, ნორმიდან იკითხება, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა. აშკარაა, რომ ნორმის მიზანი კეთილსინდისიერი მესამე პირის დაცვაა, რომელიც წარმოდგენილის მიერ შექმნილი გარემოებების გამო ენდობა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი შემდგომში ვეღარ დაეყრდნობა უფლებამოსილების ნაკლს, ვინაიდან, უფლებამოსილების ნამდვილობისა და მისი უნაკლობის ვარაუდი სწორედ მან შექმნა. ხსენებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მეორე პირი არა წარმოდგენილი, არამედ სწორედ „მესამე პირია“, რომელსაც სურს უფლებამოსილების ნაკლს დაეყრდნოს და ამ გზით უარი თქვას გარიგებაზე, რაც ალოგიკურია, ვინაიდან, მესამე პირი სწორედ ის სუბიექტია, ვისაც გარიგების შენარჩუნების ინტერესი აქვს. ამრიგად სკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი უმჯობესია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „...წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს წარმოდგენილმა პირმა, თუკი მანვე შექმნა ისეთი გარემოებები, რომ მესამე პირმა კეთილსინდისიერად ივარაუდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების

¹⁴¹ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 36.

არსებობა“.¹⁴² აშკარა უფლებამოსილების ტერმინს ასევე არ იყენებს ქართული სასამართლო პრაქტიკა, თუმცა შინაარსობრივად სწორედ ამაზე მიუთითებს საკასაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე,¹⁴³ რომელშიც იგი განმარტავს, რომ საკითხის სამართლიანად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია მესაკუთრის დამოკიდებულების დადგენა ნივთის გასხვისებასთან მიმართებით - ე.ი. რამდენად შეუწყო წარმოდგენილი პირის ქცევამ და მის მიერ შექმნილმა გარემოებებმა ხელი იმას, რომ მესამე პირს ამგვარი უფლებამოსილება ევარაუდა.¹⁴⁴

აღსანიშნავია, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა ორივე ზემოთხსენებულ შემთხვევას (თმენით და მოჩვენებით წარმომადგენლობას) მოიაზრებს წარმომადგენლობის ჩვეულებრივ სახედ, რა დროსაც წარმოდგენილი ვალდებული ხდება ხელშეკრულების შესრულებაზე.¹⁴⁵ სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებით, თეორეტიკოსთა აზრი ორად იყოფა მოჩვენებითი/თვალთმაქცური უფლებამოსილების შემთხვევაში, რა დროსაც მიუთითებენ იმაზე, რომ რთულია იმის აღქმა თუ რატომ უნდა იყოს მესამე პირი იმაზე მეტის მოთხოვნაზე უფლებამოსილი, ვიდრე ნდობის ზიანია.¹⁴⁶ გაბატონებული მოსაზრებით,¹⁴⁷ მოჩვენებითი უფლების ძალით წარმომადგენლობა თმენითი წარმომადგენლობის მსგავსად წარმოიშობა და წარმოდგენილი ვალდებული ხდება ხელშეკრულების შესრულებასა და მის სამართლებრივ შედეგებზე. ერთი შეხედვით, მართლაც, რთულია მიჯნის გავლება უხეში გაუფრთხილებლობით არაუფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედებებისთვის ნამდვილი უფლებამოსილების ლეგიტიმაციის მინიჭებასა და იმ შემთხვევას შორის, როდესაც წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილების გარეშე მოქმედებს, თუმცა წარმოდგენილი პირი თუნდაც მსუბუქ გაუფრთხილებლობას¹⁴⁸ იჩენს. მოჩვენებითი წარმომადგენლობის შემთხვევაში იქმნება ისეთი გარემოება, რომ წარმოდგენილს წარმომადგენლის ქმედებებზე პოზიტიური ცოდნა არ გააჩნია, ინფორმაცია ხელთ არ უპყრია, თუმცა ცხად ფაქტებზე ხუჭავს თვალს. მაგრამ ასევე პოზიტიური არცოდნის შემთხვევაში,

¹⁴² შდრ: *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 38

¹⁴³ სუს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება ას#ას-203-622-06.

¹⁴⁴ მსგავს განმარტებას აკეთებს აშშ ნიუ-იორკის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე (Property Advisory Group, Inc. v. Bevona, 718 F. Supp. 209 (S.D.N.Y. 1989)), რომელშიც მიუთითებს, რომ უფლებამოსილების ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრისთვის სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ყველა გარემოება, მათ შორის მხარეთა პოზიციები/თანამდებობა, ერთმანეთთან ურთიერთობა, სავაჭრო და ბიზნეს ჩვეულებების საკითხი და ასევე პრინციპალის ბიზნესის წარმოების მეთოდები. აღნიშნულ განმარტებას სასამართლო უკავშირებს აშკარა უფლებამოსილების შექმნისა და მისი შემოწმების საკითხს.

¹⁴⁵ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 113

¹⁴⁶ *Flume*, Allgemeiner Teil, vol II, § 49. 4.; ასევე *Medicus*, Allgemeiner Teil, Rn. 971, 972) დასახელებული ავტორები თმენითი და მოჩვენებითი წარმომადგენლობის მოქმედებას ზღუდავენ სამეწარმეო სამართლის სფეროში ციტ: *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 113

¹⁴⁷ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 84.

¹⁴⁸ რა დროსაც ასევე არ წარმოიშობა კონსტრუქციული წარმომადგენლობა და წარმოდგენილი არ იბოჭება ხელშეკრულებით.

(თუმცა არა ბრალეული არცოდნა) წარმოდგენილი არ იბოჭება ხელშეკრულებით და მხოლოდ წარმომადგენელია ნდობის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი. არსებობს მოსაზრება, რომ ვინაიდან, ასეთ ვითარებაში წარმომადგენლობის მოჩვენებითი ლეგიტიმაცია წარმოდგენილის უხეშ გაუფრთხილებლობას ემყარება, არჩევითად, არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად, გამოსაყენებელია Culpa in contrahendo-დან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოდგენილის მიმართ.¹⁴⁹ თუმცა გაბატონებული მოსაზრება მხარდასაჭერია იმდენად, რამდენადაც მოჩვენებითი უფლებამოსილების გამო წარმოდგენილის ბოჭვის იდეა მის არცოდნას, ბრალეულობას ემყარება, რის გამოც უხეშ გაუფრთხილებლობით არმიღებული ცოდნა უტოლდება პოზიტიურ ცოდნას და, მაშასადამე, თმენითი წარმომადგენლობის შემთხვევას.

გ) უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდის შექმნა და Estoppel-ის დოქტრინა წარმომადგენლობაში

აშკარა უფლებამოსილების გვერდით ანგლოამერიკულ სამართალში მუდმივად განხვილვადი საკითხია ე.წ. ესტოპელის დოქტრინა. აღსანიშნავია, რომ ამ ორ კონცეპტს შორის დიდი მსგავსების მიუხედავად, არსებობს მცირედი განსხვავებებიც, რომელთა განხილვაც საინტერესოა, როგორც ერთი ისე მეორე დოქტრინის უკეთ აღსაქმელად.

თუკი პირი, რომელიც მესამე პირებს, თავს წარუდგენს, როგორც წარმომადგენელს, თუმცა სინამდვილეში მას ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნია, იგი მესამე პირისთვის ქმნის ნავარუდევ უფლებამოსილებას - ე.წ. უფლებამოსილების არსებობის გარანტიას.¹⁵⁰ უფლებამოსილების გარანტია ასევე არსებობს პრინციპალის შეურაცხადობის შემთხვევაშიც, რა დროსაც, აგენტი, რომლის პრინციპალიც შეურაცხადობის გამო ქმედუუნარო გახდა, პასუხისმგებელია უფლებამოსილების გარანტიის (ნაგულისხმევი უფლებამოსილება) საფუძველზე, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან უფლებამოსილების ნაკლის შესახებ.¹⁵¹ სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე¹⁵² განმარტა, რომ პრინციპული განსხვავება არ არსებობს ისეთ შემთხვევათა შორის, როდესაც ერთ შემთხვევაში აგენტს საერთოდ არ აქვს უფლებამოსილება, ხოლო მეორეში - იგი თავდაპირველად უფლებამოსილი იყო, ხოლო შემდგომ პრინციპალის შეურაცხადობის გამო, მან უფლებამოსილება ისე დაკარგა, რომ ამის

¹⁴⁹ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 84.

¹⁵⁰ *Cartwright*, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 16.

¹⁵¹ *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 934

¹⁵² *Yonge v. Toynbee* [1919] KB 215, ციტი: *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 934

შესახებ არც კი იცის. ამ შემთხვევაში, იგი ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე დარწმუნებულია საკუთარ უფლებამოსილებაში, რომელიც სინამდვილეში აღარ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, იგი პასუხისმგებელია ნავარაუდები უფლებამოსილების გამო, მიუხედავად ფაქტის მიმართ მისი კეთილსინდისიერებისა. სწორედ მსგავსი მსჯელობაა განვითარებული ერთ-ერთ საქმეზე,¹⁵³ რომელშიც მოსამართლე განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, პირმა იცის თუ არა თავისი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი პასუხისმგებელია მესამე პირთა წინაშე უფლებამოსილების ნამდვილობის ლეგიტიმაციის შექმნისთვის. მართალია, ამგვარი პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როცა აგენტი კეთილსინდისიერია, ეს გარემოება მხოლოდ მორალური გამართლების საფუძველია, სამართლებრივად კი ამ ფაქტს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ამ შემთხვევაშიც აგენტი, როგორც დაპირების, უფლებამოსილების ნამდვილობის გარანტიის გამცემი, პასუხისმგებელია მესამე პირის წინაშე.¹⁵⁴

უფლებამოსილების გარანტია აგენტს ხელშეკრულების დარღვევის გამო მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებელს ხდის. პრინციპალი ასეთ შემთხვევაში მართალია, უფლებამოსილია, მოიწონოს გარიგება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის შეურაცხადია) და შედეგად გამოასწოროს წარმომადგენლობის ნაკლი, თუმცა თუ პრინციპალი თანხმობას არ განაცხადებს, მესამე პირს სწორედ აგენტის მიმართ რჩება მოთხოვნის უფლებები იმ ზიანთან, დანაკარგებთან დაკავშირებით, რომელიც არასწორი წარმომადგენლობის შედეგად დადგა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აგენტს აშკარა უფლებამოსილება ჰქონდა - რა დროსაც შემდგომი მოწონება აღარაა საჭირო. აღნიშნული კი გამომდინარეობს იქიდან, რომ პრინციპალის მიერ შექმნილმა გარემოებებმა განაპირობა იმგვარი წარმომადგენლობის ლეგიტიმაცია, რომ იგი ნებადართულ წარმომადგენლობას ჰგავდა.¹⁵⁵ როდესაც წარმოდგენილი თავისი მოქმედებებით წარმომადგენელს ჩააყენებს ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ნებისმიერი სადად მოაზროვნე ობიექტური მესამე პირი ბიზნესისა და სავაჭრო ჩვეულებების გათვალისწინებით კეთილსინდისიერად ივარაუდებდა აგენტის უნაკლო წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, პრინციპალი მოკლებულია შესაძლებლობას, შემდგომში უარყოს ამგვარი უფლებამოსილება.¹⁵⁶ ასეთ დროს მას არ შეუძლია განაცხადოს, რომ წარმომადგენლის მოქმედებები მის მიმართ სახელშეკრულებო ბოჭვას ვერ წარმოშობს, რის გამოც იგი ვალდებული ხდება აგენტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე. სწორედ შემდგომი უარყოფის აკრძალვაა ინგლისური ე.წ. Estoppel-ის დოქტრინის მიზანიც - დაიცვას მესამე პირთა ნდობა და მოლოდინები წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებების შემთხვევაში.¹⁵⁷

¹⁵³ Collen v Wright (1875) 8 E. & B. 647.

¹⁵⁴ Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 934

¹⁵⁵ Cartwright, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 16.

¹⁵⁶ Property Advisory Group, Inc. v. Bevona, 718 F. Supp. 209 (S.D.N.Y. 1989).

¹⁵⁷ Cartwright, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 16.

Estoppel-ის დოქტრინა პრინციპალს გარკვეულ პასუხისმგებლობებს აკისრებს. აღსანიშნავია, რომ ეს კონცეპტი არა წარმომადგენლობის ინსტიტუტის მონაპოვარი, არამედ ზოგადად მესამე პირთა დაცვის მიზნებისთვის არსებული დოქტრინაა, რომელიც ურთიერთობათა უფრო ფართო სფეროს არეგულირებს.¹⁵⁸ ამიტომ, ინგლისურმა სამართალმა ე.წ. Estoppel-ის დოქტრინა წარმომადგენლობაშიც განავითარა, რომლის მიხედვითაც პირს, რომელიც წარმომადგენელს იყენებს მისი სახელითა და მის სასარგებლოდ მოქმედებებისთვის, არ აქვს უფლება, უარყოს ამ უფლებამოსილების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები. ამ იდეამ შემდგომში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა.¹⁵⁹ თავდაპირველად სასამართლოები ხსენებულ კონცეპტს მხოლოდ წარმომადგენლობის, როგორც არსებული ფაქტის, მიმართ იყენებდნენ. თუმცა შემდგომში უკვე პრინციპალის განცხადებებთან და დაპირებებთან მიმართებითაც გახდა აქტუალური და იგი ხშირად გამოიყენება, როგორც მტკიცების წესი.¹⁶⁰ პირი, ვინც შექმნა წარმომადგენლობის ფაქტი, მოკლებულია შესაძლებლობას უარყოს იგი იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელიც კეთილსინდისიერად ენდო შექმნილ ფაქტობრივ გარემოებებს და უარყოფა ზიანის მომტანი იქნება მისთვის.¹⁶¹ ესტოპელი არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, არამედ იგი მხოლოდ განუხორციელებლად აქცევს მეორე მხარის საპირისპირო პოზიციას.¹⁶²

Estoppel-ზე დაფუძნებული წარმომადგენლობა ხშირად აღრეულია აშკარა უფლებამოსილების დოქტრინასთან. მიუხედავად მათი მსგავსებისა და ფუნქციურად მსგავსი ამოცანებისა, მათ შორის გარკვეული სხვაობები არსებობს, რის გამოც მიზანშეწონილია ამ განსხვავებების ჩამოთვლა. მკვლევართა აზრით აშკარა უფლებამოსილებასა და ესტოპელს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.¹⁶³ სხვა მოსაზრებით ძირითადი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ აღსასრულებელი ხელშეკრულებების (Executory contract) მიმართ გამოიყენება აშკარა უფლებამოსილების კონცეპტი და არა ესტოპელი, რამდენადაც ამ უკანასკნელისთვის მნიშვნელოვანია ის დაშვება, რომ პოზიციის ცვლილების გამო მესამე პირს ადგებოდეს მინიმალური ზიანი.¹⁶⁴ აშკარა უფლებამოსილების დოქტრინის გამოსაყენებლად მცირე პოზიციის ცვლილებაც საკმარისია, თუმცა ესტოპელისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი პოზიციის არსებითი ცვლილება,

¹⁵⁸ *Dalley*, A theory of Agency Law, 525.

¹⁵⁹ *Cartwright*, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 4.

¹⁶⁰ *Low v Bouverie* [1891] 3 Ch 82 at 105, 112.

¹⁶¹ *Cartwright*, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 4.

¹⁶² *Cartwright*, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006. 4.

¹⁶³ *Mechem*, Outlines of the Law of Agency, §§ 85-90. ციტი: *Britt*, Agency – Apparent authority and Agency by Estoppel: Emerging Theories of Oil Company Liability for Torts of Service Station Operators, 50 N.C.L. Rev. 647

¹⁶⁴ *Britt*, Agency – Apparent authority and Agency by Estoppel: Emerging Theories of Oil Company Liability for Torts of Service Station Operators, 50 N.C.L. Rev. 647 (1972), მე-3 სქ, 647.

რომელიც ზიანს აყენებს მესამე პირს. ლიტერატურაში ასევე მიუთითებენ წარმოშობის მიხედვით კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანზე, რომლის მიხედვითაც, ესტოპელი დელიქტურ სამართალში აღმოცენდა, აშკარა უფლებამოსილების დოქტრინა კი - სახელშეკრულებოში. საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი ძირითადად თანხმდება იმაზე, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, ორივე დოქტრინა მაინც ერთგვაროვანია.¹⁶⁵ თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ესტოპელი ვერ იქნება სარჩელის საფუძველი, როგორც ეს აშკარა წარმომადგენლობის შემთხვევაშია, არამედ ის საპროცესოსამართლებრივი ეფექტის მქონეა, რამდენადაც მტკიცების წესს განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, მართალია, უფლებამოსილება სინამდვილეში არ არსებობს, თუმცა პრინციპალს ქმედებათა და დამდგარი შედეგის უარყოფის უფლება ერთმევა.¹⁶⁶

4.5. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის გამოკვლევის ვალდებულება

აშკარა და კონსტრუქციულ (თმენითი და მოჩვენებითი) წარმომადგენლობას ვერ დაეყრდნობა ის მესამე პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. პოზიტიური ცოდნის შემთხვევა უპრობლემოა და იგი პირდაპირ გამორიცხავს ამგვარი უფლებამოსილებისადმი ნდობასა და მისი დაცვის საჭიროებას. თუმცა, საკამათოა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების რეალურად არარსებობის შესახებ. უხეში გაუფრთხილებლობა აშკარა რეალობაზე თვალის დახუჭვაა,¹⁶⁷ თუმცა რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი ეყრდნობა სხვის განცხადებას ან გარემოებებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობასთან დაკავშირებით და დამატებით არ იკვლევს შესაძლო ხარვეზებს.

მოსარჩელე ერთ-ერთ საქმეზე¹⁶⁸ ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ სათანადოდ არ გამოიკვლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რითაც დაარღვია გამოკვლევის ვალდებულება, რომლის დაცვის შემთხვევაშიც, იგი შეძლებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ზუსტი ფარგლების დადგენასა და ნაკლის აღმოჩენას, ვინაიდან, პრინციპალსა და აგენტს შორის არსებული ხელშეკრულების მიხედვით, წარმომადგენლის უფლებამოსილებები შეზღუდული იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა რაიმე ისეთი საეჭვო გარემოება, რაც პირს აფიქრებინებდა უფლებამოსილების სავარაუდო ნაკლის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ

¹⁶⁵ *Britt, Agency – Apparent authority and Agency by Estoppel: Emerging Theories of Oil Company Liability for Torts of Service Station Operators*, 50 N.C.L. Rev. 647 (1972), მე-3 სქ, 647.

¹⁶⁶ შტრ: *Tan, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 198.

¹⁶⁷ *Ralf Weber, Sachenrecht I - bewegliche Sachen*, Rn. 395.

¹⁶⁸ *Property Advisory Group, Inc. v. Bevona*, 718 F. Supp. 209 (S.D.N.Y. 1989).

სპეციალური ან საიდუმლო მითითებები თუ ინსტრუქციები, რომლებიც ადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს, შეთანხმებული უნდა იყოს იმ მხარესთან, რომელსაც ეხება, სხვაგვარად იგი ისევე შეზღუდავს პრინციპალს, როგორც იმ შემთხვევაში, რაიმე ტიპის შეზღუდვა საერთოდ რომ არ არსებობდეს. ამგვარი შეზღუდვები და მითითებები მესამე პირთა მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მესამე პირთათვის მათ შესახებ ცნობილია. ასეთ დროს აშკარა უფლებამოსილებაზე დაფუძნებული ნდობა არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სასამართლო მიემხრო იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც მესამე პირს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ზუსტი ფარგლების დადგენის ვალდებულება არ გააჩნია, რამდენადაც იგი შიდა ურთიერთობას განეკუთვნება. ამასთან, აშკარაა, რომ თუ რაიმე საეჭვო არ ჩანს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, ალოგიკურია პირის დავალდებულება გამოიკვილოს და ზუსტად დაადგინოს უფლებამოსილების ნამდვილობა და ფარგლები. აღნიშნულის დაშვება მნიშვნელოვნად გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ბანკს უნდა გამოეჩინა წინდახედულება, სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი გულისხმიერება, დაკავშირებოდა ავტომანქანის მესაკუთრეს და გაეგო მისგან, იყო თუ არა იგი თანახმა, მისი ავტომანქანა დაგირავებულიყო“.¹⁶⁹ მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება არსებითად სწორ სამართლებრივ შედეგზე გადის, ხსენებული მსჯელობა არცთუ ისე დამაჯერებელია იმდენად, რამდენადაც თუ მინდობილობის დოკუმენტიდან აშკარად იკვეთება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსი და მისი ფარგლები, გაუგებარია მესამე პირის დავალდებულების მიზანი, დააზუსტოს იგი. თუ მესამე პირი ითხოვს უფლებამოსილების დადასტურებას, ეს მისი მხრიდან გამოჩენილი წინდახედულებაა, რაც არ გულისხმობს ვალდებულებას და მისი დაუცველობა არ შეიძლება იმ ვითარებისაგან რაიმე განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევდეს, როდესაც პირი ამგვარ გულისხმიერებას იჩენს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს სიტყვებში - „უნდა გამოეჩინა“ - ვალდებულება იკითხება, რაც მეტისმეტად მკაცრად ჟღერს მესამე პირთა მიმართ და იმაზე მეტად ავალდებულებს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტს, ვიდრე გამართლებულია.

V. არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის შემთხვევები

¹⁶⁹ ზოიძე თ., *ჭეჭელაშვილი*, კომენტარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი 2004, 177.

უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლობა მოიცავს სამ შემთხვევას: 1. როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საერთოდ არ არსებობს (მათ შორის ყალბი მინდობილობა); 2. როდესაც წარმომადგენელი ამეტებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას; 3. როდესაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევაში წამოიჭრება შემდეგი საკითხები: 1. მოწონების შესაძლებლობა; 2. უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა; 3. საგამონაკლისო წესების ამოქმედება მესამე პირთა დაცვის მიზნებისთვის.¹⁷⁰

5.1. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი ბედი

ა) მოწონება/დადასტურება

მას შემდეგ, რაც არაუფლებამოსილი წარმომადგენელი მესამე პირთან წარმოდგენილის სახელით გარიგებას დადებს, წარმოიშვება გარიგების მერყევად ბათილობის მდგომარეობა,¹⁷¹ რაც გულისხმობს იმას, რომ გარიგება არც ნამდვილია და არც ბათილი, იგი მათ შორის მერყეობს და წარმოდგენილის მხრიდან მოწონებას ან მესამე პირის მხრიდან მის გაუქმებას ელოდება.¹⁷² ცხადია, არავინ შეიძლება დათმოს ან მიიღოს სამართლებრივი პოზიციები ისე, რომ მას ეს არ უნდოდეს. სხვა პირთან გარიგების დადების ნების გამოხატვაც და მასზე უარის თქმაც ორივე თანაბრად განეკუთვნება კერძო ავტონომიის პრინციპს.¹⁷³ ამრიგად, იმ სამართლებრივ მდგომარეობაში, როგორშიც, გარიგება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერაა დადებული, არჩევანი აქვს როგორც პრინციპალს, ისე მესამე პირს. წარმოდგენილისთვის ამგვარი არჩევანი გარიგების მოწონება-არმოწონებაში გამოიხატება, ხოლო მესამე პირისთვის იგი მის გაუქმებას ან პრინციპალისთვის მოწონების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობაში ვლინდება.¹⁷⁴ მოწონება თავისთავად წარმოადგენს დამოუკიდებელ აბსტრაქტულ

¹⁷⁰ *Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise*, 114-115.

¹⁷¹ შდრ. სუს 2014 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-375-352-2014. სასამართლო არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გარიგების დადებას მიიჩნევს საჯარო წესრიგის დამრღვევ გარიგებად და მიუთითებს სკ-ის 54-ე მუხლზე, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს უცილოდ ბათილ გარიგებას, რომელიც არცერთ ეტაპზე არ წარმოშობს მისი გადარჩენის/სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის საშუალებას. სასამართლოს ამგვარი ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ ყველა მერყევად ან საცილოდ ბათილი გარიგება შეიძლება არანამდვილი იყოს სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, რაც არასწორია, ვინაიდან, ყოველთვის გამოიყენება სპეციალური ნორმა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს და არა - ზოგადი. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გარიგების მიმართ სკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება დოგმატურად არასწორია.

¹⁷² *Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 120.

¹⁷³ *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 5, 552

¹⁷⁴ *Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 120.

გარიგებას.¹⁷⁵ მიუხედავად იმისა, რომ იგი ფორმალური თვალსაზრისით უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა, იგი მაინც „დამხმარე გარიგების“ სტატუსს ატარებს.¹⁷⁶ მოწონება ტოლფასია სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილებისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ წარმოდგენილი მოიწონებს წარმომადგენლის მოქმედებას, მას ისეთივე ეფექტი ექნება, როგორც იმ შემთხვევაში, მინდობილობა თავიდანვე გაცემული რომ ყოფილიყო,¹⁷⁷ ამგვარად მოწონებას აქვს რეტროაქტიული ძალა.¹⁷⁸ სწორედ ეს გამომდინარეობს გსკ 177.1 ნაწილიდან, სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლიდან.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ქართულ სასამართლო პრაქტიკაში აღრეულია მიმართება სკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული მოწონებისა და სკ-ის 99-ე მუხლით განსაზღვრული თანხმობის ცნებებს შორის,¹⁷⁹ რაც დოგმატურად არასწორია, ვინაიდან, ერთი ეხება არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგების მოწონებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გამოვლენილ ნებას. არაუფლებამოსილი გამსხვისებელი არ მოქმედებს სხვისი სახელით, არამედ განკარგავს ისეთ სამართლებრივ პოზიციას, რისი უფლებამოსილებაც მას არ აქვს. ეს სამართლებრივი სტატუსი მნიშვნელოვნად განასხვავებს არაუფლებამოსილ განმკარგავს Falsus procurator-გან, რომელიც სხვისი სახელით, როგორც წარმომადგენელი, თუმცა უფლებამოსილების გარეშე მოქმედებს. ამგვარად, სსკ-ის 111-ე მუხლი წარმოადგენს Lex specialis-ს და პრინციპალის მიერ არაუფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედებათა მოწონების მიმართ სსკ-ის 99-102-ე მუხლები არ გამოიყენება.¹⁸⁰ სკ-ის 111-ე მუხლის გამოყენებისათვის ამოსავალი წერტილია ის, რომ პირი უნდა უთითებდეს სხვის ნაცვლად გარიგების დადებაზე.

მოწონებას არ სჭირდება რაიმე ფორმა და იგი შესაძლოა გაკეთდეს პრინციპალის მიერ აშკარა ნების გამოხატვით როგორც წარმომადგენლის, ისე მესამე პირის მიმართ - თუ მესამე პირი თავად მოითხოვს, რომ უშუალოდ მის მიმართ გამოიხატოს გარიგების მოწონების ნება. თუმცა გსკ-ის 178-ე პარაგრაფი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც მესამე პირს (რომელმაც არ იცოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ) უფლებას აძლევს, უარყოს გარიგება, მანამ, სანამ წარმოდგენილი პირი მოიწონებს მას. ამგვარი წესი არ არსებობს ინგლისურ სამართალში. უფრო

¹⁷⁵ *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 1, 551.

¹⁷⁶ *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 1, 551.

¹⁷⁷ Lord Sterndale MR's statement in *Koenigsblatt v Sweet* ([1923] 2 Ch 314, at 325.

¹⁷⁸ *Boston Deep Sea Fishing and Ice Co Ltd v Farnham (Inspector of Taxes)* ([1957] 1 WLR 1051, ასევე უდრ: DCFR, 470

¹⁷⁹ სუს 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-631-939-09. საქმეში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ნამდვილია, თუმცა თავად უფლებამოსილების მიმნიჭებელს არ გააჩნდა ნივთის განკარგვის უფლებამოსილება, რაც გულისხმობს იმას, რომ ვერავინ გადასცემს სხვა იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე თავად გააჩნია. სწორედ ამიტომ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა სკ-ის 111-ე მუხლის, არამედ სკ-ის 99-102-ე მუხლების შესაბამისად.

¹⁸⁰ *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 102, ველი 10, 585.

ზუსტად კი, პრინციპალის მოწონებას არ გააჩნია რეტროაქტიული მოქმედების ძალა მაშინაც, როცა მესამე პირი უარყოფს გარიგებას, რა დროსაც პრინციპალის შემდგომი თანხმობა/მოწონება ბათილად აქცევს მესამე პირის ნების გამოვლენასაც - უარყოფას.¹⁸¹ ამგვარი მიდგომა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.¹⁸² განსხვავებული მიდგომაა ამერიკულ სამართალში, სადაც მესამე პირის თანხმობის გარეშე პრინციპალის მოწონებას არავითარი ძალა არ აქვს.¹⁸³ თუმცა the Second Restatement on Agency (§ 88) მესამე პირს უფლებას აძლევს უარყოფს გარიგება მანამ, სანამ არ არსებობს პრინციპალის მიერ გამოვლენილი ნება მოწონების შესახებ, რაც უფრო ახლოს დგას გერმანულ მოწესრიგებასთან.¹⁸⁴

წარმოდგენილი (ან მისი სახელით მოქმედი უფლებამოსილი წარმომადგენელი) უფლებამოსილია თავად აირჩიოს, თუ ვის წინაშე გამოავლინოს მოწონების ნება. როგორც წესი, იგი ამას აკეთებს მესამე პირთა წინაშე, თუმცა, მოწონების გაცხადება ასევე წარმომადგენლის წინაშეც არის შესაძლებელი, რასაც უფრო სუსტი ეფექტი აქვს, ვიდრე მესამე პირის წინაშე გაცხადებულს, რამდენადაც იგი შესაძლოა ბათილის იყოს გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუკი მესამე პირი მოითხოვს წარმოდგენილი პირისაგან უფლებამოსილების დადასტურებას. ასეთ შემთხვევაში კი ნების გამოვლენა მხოლოდ მესამე პირის წინაშე უნდა მოხდეს და შესაბამისად, მხოლოდ ამგვარად გაცხადებულ თანხმობას ექნება სამართლებრივი ძალა.¹⁸⁵

შესაძლოა დადასტურების უფლების მქონე წარმოდგენილი ქმედების შესრულების მომენტში არც არსებობდეს (მაგალითად, ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შესაძლოა ჯერ კიდევ არ არსებობდეს კომპანია ან არ იყოს შერჩეული ქვეკონტრაქტორი). ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი უფლებამოსილია ქმედება შემდგომში მოიწონოს.¹⁸⁶

ბ) მოწონების/დადასტურების ფორმა

მოწონების განცხადებისთვის არ არსებობს რაიმე წინასწარ განსაზღვრული ფორმა. დადასტურებას რაიმე გამოხატვა არ სჭირდება. ამისათვის ისიც საკმარისია, რომ წარმოდგენილი შესრულების მიღებით ეთანხმებოდეს გარიგებას.¹⁸⁷ მაგალითად, ევროპული კერძო სამართლის მოდელური წესების მიხედვით მოწონების ფორმად

¹⁸¹ Bolton Partners v Lambert (1889) 41 Ch D 295.

¹⁸² Fleming v Bank of New Zealand [1900] AC 577.

¹⁸³ Dodge v Hopkins 14 Wis 630 (1861)

¹⁸⁴ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 115.

¹⁸⁵ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 121.

¹⁸⁶ DCFR, 470.

¹⁸⁷ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 121

მიიჩნევა ასევე ნავარაუდები დადასტურება.¹⁸⁸ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება,¹⁸⁹ რომელშიც სასამართლომ არაუფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენის მიუხედავად, კომპანიის მიერ მომსახურების მიღება და მასზე პრეტენზიის განუცხადებლობა ჩათვალა შესრულებაზე თანხმობად. სასამართლო სწორ სამართლებრივ შედეგზე გადის, თუმცა ძირითად მსჯელობას ამყარებს არა წარმომადგენლობის ინსტიტუტის მომწესრიგებელ ნორმებსა და მის ძირითად პრინციპებზე,¹⁹⁰ არამედ სამართლის ზოგად პრინციპებზე, როგორცაა კეთილსინდისიერების პრინციპი და განმარტავს, რომ

დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ შეიძლება იმგვარად იქნეს გამოყენებული, რომ შეილახოს მესამე პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები და დირექტორის სახელით გარიგების დადების ნების არარსებობაზე მანიპულირებით ზიანი მიადგეს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შემთხვევაში უნდა მომხდარიყო მოწონების/დადასტურების განმარტება, რომელიც შესაძლოა იყოს კონკლუდენტური/იმპლიციტური.

იმპლიციტური მოწონება გულისხმობს იმას, რომ პრინციპალი სათანადოდ არის ინფორმირებული უფლებამოსილების ხარვეზთან დაკავშირებით და სურს ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული ხელშეკრულების აღსრულება. მოწონების ფორმთავისუფლების წესისაგან არსებობს გერმანიის ფედერალურ სასამართლოთა მიერ დაშვებული გამონაკლისი საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ თანხმობებთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურ ფორმას მოითხოვს.¹⁹¹

საინტერესოა ამგვარ შემთხვევათა გადაწყვეტა სავაჭრო ურთიერთობებში, რომელშიც უმოქმედობა ნიშნავს იმპლიციტურ, ნავარაუდევ თანხმობას/მოწონებას, ვინაიდან, ბიზნეს გარიგებებში მნიშვნელოვანია მხოლოდ გარეგანად, აშკარად გამოხატული პრეტენზია - ე.ი. ის, რაზეც პრეტენზია არ გამოთქმულა, მისაღებია მხარეთათვის. თუმცა ამის მიუხედავად ერთ-ერთ საქმეში,¹⁹² რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების

¹⁸⁸ DCFR, 470. ასევე შდრ: სუს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე საქმეზე # ას-798-763-2014. სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, მინდობილობიდან არ გამომდინარეობდა საექსპერტო დაწესებულების მიერ სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, წარმოდგენილის მიერ ამგვარი ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ხელშეკრულებაზე თანხმობას.

¹⁸⁹ სუს 2015 წლის 06 მაისის განჩინება საქმეზე # ას-254-241-2015.

¹⁹⁰ სასამართლოს ასევე შეეძლო აშკარა უფლებამოსილების დოქტრინის გამოყენება, თუმცა ამ დროს სათანადოდ უნდა გამოკვლულიყო კომპანიის და მისი სახელით მოქმედი დირექტორების ქმედებები და განცხადებები რამდენად ქმნიდნენ მესამე პირისთვის მარკეტინგის მენეჯერის უფლებამოსილებისა და ქმედებების ლეგიტიმურად მიჩნევის შესაძლებლობას, რა შემთხვევაშიც, უფლებამოსილება ნავარაუდევად მინიჭებული იქნებოდა და საჭირო სრულებითაც არ იქნებოდა მისი ნამდვილობისა ან დადასტურების გარკვევა.

¹⁹¹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 121-122.

¹⁹² RGZ 103, 95, 98

შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, მოპასუხემ განაცხადა, რომ გარიგება არ დადებულა, ვინაიდან მათმა წარმომადგენელმა უფლებამოსილების გარეშე იმოქმედა. მოსარჩელემ წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გაგზავნა წერილი, რომელიც ხელშეკრულების შინაარსს შეეხებოდა, თუმცა პასუხი არ მიუღია. ხსენებულ საქმეში საინტერესოა სასამართლოს დასკვნა იმდენად, რამდენადაც მან აღნიშნა, რომ მართალია, სავაჭრო ურთიერთობებში დუმილი გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მიხედვით თანხმობად/მოწონებად ითვლება, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან მან თანხმობა თავისი გაგზავნილი წერილის მიხედვით მოპასუხისაგან ექსპლიციტურად მოითხოვა - ე.ი. თავად მოსარჩელემ განსაზღვრა თანხმობის ფორმა, ხოლო, თავის მხრივ, მოწინააღმდეგე მხარეს ამგვარი თანხმობა არ გაუცია.¹⁹³

შედარებითსამართლებრივი მიზნებისთვის საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის 3:208-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ წარმოდგენილი პირის მოქმედებები ან გარემოებები მესამე პირს აფიქრებინებს, რომ აგენტი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებს, მას შეუძლია პრინციპალისაგან მოითხოვოს უფლებამოსილების წერილობითი დადასტურება. თუმცა აღნიშნული ნორმა არ იძლევა განმარტებას იმის შესახებ თუ რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი უმოქმედობას იჩენს და პასუხს არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან, პირი ითხოვს ექსპლიციტურ დადასტურებას,¹⁹⁴ გონივრული იქნება, რომ უმოქმედობა დადასტურების წერილობით მოთხოვნაზე მივიჩნიოთ უარად, რაც მესამე პირს მიაჩნებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.

გ) მესამე პირის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება და წარმოდგენილისაგან მოწონების განცხადების მოთხოვნა

ჩვეულებისამებრ, უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების კონკლუდენტური მიღება ან ექსპლიციტურად მისი მოწონება წარმოდგენილი პირის მიერ, გამორიცხავს შემდგომში მესამე პირის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.¹⁹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 112-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის მიერ მოწონების განცხადებამდე მესამე პირის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, თუმცა ამგვარი უფლება გამორიცხულია თუ მესამე პირმა ხელშეკრულების დადების დროისათვის იცოდა წარმომადგენლობით უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. ამრიგად, პირს,

¹⁹³ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 121-122.

¹⁹⁴ შდრ: RGZ 103, 95, 98.

¹⁹⁵ *Procaccia*, On the Theory and History of Ratification in the Law of Agency, 4 Tel Aviv U. Stud. L. 9 (1978-1979). 10.

უფლებამოსილების ხარვეზის შეტყობის მომენტიდან, წარმოეშვა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. აღნიშნული ნორმა ანიჭებს გარიგების მხარეს უფლებას, არ დაელოდოს წარმოდგენილი პირის თანხმობას და თავად მიიღოს არამყარი სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ გადაწყვეტილება.¹⁹⁶ მსგავს ნორმას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 178-ე პარაგრაფიც. თუმცა ქართული სამოქალაქო კოდექსი გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებს მესამე პირის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურების შესახებ განცხადების მოთხოვნის შესაძლებლობას,¹⁹⁷ რა შემთხვევაშიც მოთხოვნამდე წარმომადგენლის მიმართ განცხადებული თანხმობა ან უარი თანხმობაზე სამართლებრივი ძალის არმქონეა. პირველი შემთხვევა მესამე პირს, რომელმაც გარიგების დადებისას ნაკლის შესახებ არაფერი იცოდა, ნებისმიერ დროს აძლევს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუმცა, თუ მესამე პირმა იცოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი შესაძლოა დაეყრდნოს გსკ-ის 177-ე პარაგრაფის მეორე ნაწილს და წარმოდგენილისაგან მოითხოვოს დადასტურების გაცხადება.¹⁹⁸ ბუნებრივია, თუ წარმოდგენილი ორი კვირის ვადაში არ დაადასტურებს უფლებამოსილებას, გარიგება ბათილი იქნება, ხოლო მესამე პირი დაკარგავს წარმომადგენლის მიმართ მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან მან თავიდანვე იცოდა უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მესამე პირისთვის მოწონების შესახებ განცხადების მოთხოვნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამგვარი უფლებით ვერ ისარგებლებს. რასაკვირველია, პირს შეუძლია მოსთხოვოს წარმოდგენილს თანხმობის შესახებ განცხადება და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა, რისი გასვლის შემდეგაც, საბოლოოდ გადაწყდება მერყევად ბათილი გარიგების ბედი.

ამის მიუხედავად, გსკ-ის 177 (2) პარაგრაფის მსგავსი ნორმის არსებობა მისასალმებელი იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც მესამე პირმა გარიგების დადების მომენტში არაფერი იცოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, რისი შეტყობის შემდეგაც, მას წარმოდგენილისაგან სურს უფლებამოსილების დადასტურება. ასეთ დროს, გსკ იცავს მესამე პირის ინტერესს და ამ მოთხოვნამდე წარმომადგენლის მიმართ განცხადებული თანხმობას ან უარს თანხმობაზე სამართლებრივი ძალის არმქონედ მიიჩნევს - ე.ი. მხოლოდ მოთხოვნის შემდეგ და მხოლოდ მესამე პირის მიმართ გაკეთებული მოწონება ან მასზე უარი წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.¹⁹⁹ ამგვარი დანაწესი იცავს მესამე პირს იმდენად, რამდენადაც იგი

¹⁹⁶ *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 112, მე-2 ველი, 636.

¹⁹⁷ ასეთივე ნორმა ევროპული კერძო სამართლის მოდელურ წესებსა და უნიდროას პრინციპებში, რომელიც მესამე პირს გაურკვეველი და ბუნდოვანი ურთიერთობის აღმოფხვრის მიზნით მესამე პირს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს წარმოდგენილისაგან დადასტურება გონივრულ ვადაში, რისი გასვლის შემდეგაც გაკეთებული მოწონება სამართლებრივი ძალის არმქონეა. ამასთან დაკავშირებით იხ. DCFR, 471

¹⁹⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 123.

¹⁹⁹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 123.

მოტყუებული/ნდობაგაცრუებული მხარეა და მასვე ანიჭებს არჩევანის უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმოდგენილი პირის წარმომადგენლისადმი გარიგების შენარჩუნების ნებას გამოხატავს.

5.2. Falsus procurator-ის პასუხისმგებლობა

უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის მიზანია სტიმულირებული და გაცრუებული ნდობის ზიანის ანაზღაურება.²⁰⁰ სსკ-ის 113-ე მუხლი (გსკ-ის 179-ე პარაგრაფი) განსაზღვრავს უფლებამოსილების ნაკლით მოქმედი წარმომადგენლის პასუხისმგებლობას, რომელიც ეყრდნობა წარმომადგენლის მიერ მესამე პირთათვის მიცემულ გარანტიას იმის შესახებ, რომ იგი სათანადოდ უფლებამოსილი პირია. მაშასადამე, წარმომადგენელი ატარებს როგორც ნამდვილი უფლებამოსილების არსებობის რისკებს, ისე მისი მტკიცების ტვირთს.²⁰¹ როდესაც წარმომადგენელი გარიგებას უფლებამოსილების გარეშე დებს, დასაცავია არამხოლოდ წარმოდგენილის, არამედ მესამე პირის ინტერესებიც,²⁰² რომელმაც კეთილსინდისიერად ივარაუდა ნამდვილი უფლებამოსილება და ამის საფუძველზე აღმოუცენდა ნდობა. აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან, უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი ნებით, მას აქვს ნების გამოვლენის შეცვლების უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ falsus procurator-ის ნების გამოვლენა გარიგების მეორე მხარის (მესამე პირის) შეცდომის ან მოტყუების შედეგია, უფლებამოსილია მოითხოვოს მისი ბათილობა,²⁰³ რაც გამორიცხავს სკ-ის 111-113-ე მუხლების მიხედვით პასუხისმგებლობას, ვინაიდან წარმომადგენელი აღარაა შებოჭილი მის მიერ გამოვლენილი ნებით.

ა) პასუხისმგებლობის წინაპირობები

წარმომადგენლის პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. უფლებამოსილების ნაკლი; 2. იმ გარიგების არსებობა, რომელიც, რომ არა ხარვეზიანი უფლებამოსილება, აუცილებლად შესრულდებოდა; 3. წარმოდგენილი პირის მიერ მოწონების არარსებობა.²⁰⁴

²⁰⁰ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 89.

²⁰¹ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 124.

²⁰² რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 88

²⁰³ მისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 289-ე და შემდგომი გვერდები.

²⁰⁴ Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 124.

ა) უფლებამოსილების ნაკლი

უფლებამოსილების ნაკლი მოიცავს არამხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც წარმომადგენლობით უფლებამოსილება საერთოდ არ არსებობს, არამედ ისეთ სიტუაციასაც, როდესაც წარმომადგებელი ამეტებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას ან როდესაც მინდობილობა შეწყდა ან ვადა გაუვიდა. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სახეზეა უფლებამოსილების ნაკლი, რომელიც წარმოშობს გარიგების მერყევად ბათილობის მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობის ნაკლად არ ჩაითვლება აშკარა უფლებამოსილებისა და თმენითი და მოჩვენებითი წარმომადგენლობის შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდს თავად წარმოდგენილ ბრალეულად ქმნის, რის გამოც იგი მოკლებულია მისი უარყოფის შესაძლებლობას.²⁰⁵

ბ) გარიგების დადება

აუცილებელია წარმომადგენლის მოქმედებას მოჰყვეს გარიგების დადება მესამე პირთან, ე.ი. პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს თუ სტიმულირებულ ნდობას შედეგი მოჰყვება. ასეთ დროს გარიგება მერყევად ბათილია და ნამდვილად ქცევისათვის საჭიროებს წარმოდგენილის პირის თანხმობას - მოწონებას.

გ) წარმოდგენილი პირის მოწონების არარსებობა

პასუხისმგებლობის მესამე აუცილებელი ელემენტია, რომ წარმომადგენელი არ იწონებდეს უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიერ დადებულ გარიგებას, საწინააღმდეგო შემთხვევაში, გარიგება ნამდვილი იქნება და წარმომადგენელი ვეღარ იქნება გაცრულებულ ნდობაზე პასუხისმგებელი. თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გარიგება, რომელიც რომ არა უფლებამოსილების ნაკლი, შესრულებოდა, ხოლო მესამე პირი გადაწყვეტს სსკ-ის 112-ე მუხლის (გსკ-ის 178-ე პარაგრაფის) მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე, წარმომადგენელი აღარ არის პასუხისმგებელი სკ-ის 113-ე მუხლის შესაბამისად.²⁰⁶

ლიად რჩება საკითხი, თუ რამდენად შეუძლია მესამე პირს გაცრუებული ნდობისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა culpa in contrahendo-ს პრინციპზე დაყრდნობით. ერთი მხრივ, არგუმენტად გამოდგება ის, რომ ხსენებული კონცეპტი გულისხმობს არამხოლოდ წარმომადგენლის ვალდებულებას არ იმოქმედოს უფლებამოსილების გარეშე და არ გამოიწვიოს მესამე პირთა ნდობა, არამედ ასევე

²⁰⁵ იხ. ნაშრომის მე-3 თავი აშკარა და კონსტრუქციულ უფლებამოსილებათა დოქტრინის შესახებ.

²⁰⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 125.

პრინციპალის ზოგად ვალდებულებასაც არ გააცრუოს კეთილსინდისიერი მესამე პირის ნდობა და ინტერესი. თუმცა, მეორე მხრივ კი საკამათოა ის, რომ წარმომადგენლობისა და culpa in contrahendo-ს მომწესრიგებელი ნორმები წარმოადგენს კოლიზიურ ნორმებს და lex specialis-ის პრინციპიდან გამომდინარე, სკ-ის 113-ე მუხლი მაინც უპირატესად გამოსაყენებელია წარმომადგენლობაში.²⁰⁷

განსხვავებული მიდგომაა არაუფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წარმოდგენილი გადახდისუუნაროა, ასეთ დროს სკ-ის 113 (2) მუხლის (გსკ-ის 179-ე პარაგრაფი) თანახმად პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა. მიზეზი კი ისაა, რომ არ შეიძლება მესამე პირი იმაზე მეტად იყოს დაცული, ვიდრე ნამდვილი გარიგების შემთხვევაში იქნებოდა.²⁰⁸

ბ) პასუხისმგებლობის სამართლებრივი შედეგები

სკ-ის 113-ე მუხლი (გსკ-ის 179-ე პარაგრაფი) წარმოდგენილის მიერ უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგებლის მიერ დადებული გარიგების არმოწონების შემთხვევაში ზუსტად და დეტალურად განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს.

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით განსხვავდება სამი შემთხვევა: 1. როდესაც მესამე პირმა იცის ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, რა შემთხვევაშიც მას არ აქვს წარმომადგენლის მიმართ მოთხოვნის უფლებები. 2. როდესაც არც წარმომადგენელმა და არც მესამე პირმა არ იცოდა რწმუნებულებითი უფლებამოსილების ხარვეზის თაობაზე.²⁰⁹ ასეთ დროს მესამე პირს მხოლოდ ნდობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება რჩება, რაც უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა მოხდებოდა გარიგება საერთოდ რომ არ დადებულიყო. (ნეგატიური ინტერესი, ნდობაზე დაფუძნებული); 3. მესამე ყველაზე სერიოზული შემთხვევა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც მესამე პირმა არაფერი იცის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, თუმცა წარმომადგენლისთვის ეს გარემოება ცნობილია და განზრახ მოქმედებს, რა დროსაც იგი ვალდებულია თავად შეასრულოს გარიგება ან აანაზღაუროს ზიანი, რომელიც განისაზღვრება

²⁰⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 125.

²⁰⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 125.

²⁰⁹ შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 437. ავტორი მიუთითებს, რომ წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებელი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან არ იცის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. რაც არ არის მართებული, ვინაიდან, სკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების ნაკლის არცოდნის პირობებში ზიანის ანაზღაურების (ნეგატიური ინტერესის ფარგლებში) მოთხოვნის უფლებაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ ის, ვინც სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში წარსდგება, როგორც ვინმეს წარმომადგენელი, უნდა ატაროს კიდევ უფლებამოსილების შესაძლო ნაკლის გამო დამდგარი რისკები და ნეგატიური შედეგები.

პოზიტიური ინტერესის მიხედვით, რაც გულისხმობს გარიგების მიმართ მესამე პირის მოლოდინის გამო დამგარი ზიანის სრულ კომპენსაციას.²¹⁰

ა) სპეციალური შესრულება

სკ-ის 113-ე მხულის საფუძველზე მესამე პირი უფლებამოსილია, არჩევანი გააკეთოს წარმომადგენლისაგან ზიანის ანაზღაურებასა და ხელშეკრულების სპეციალური შესრულების მოთხოვნებს შორის. სპეციალური შესრულება არ ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის ნამდვილი გარიგება დაიდო.²¹¹ წარმომადგენელი არც ამ შემთხვევაში ხდება ხელშეკრულების მხარე,²¹² მისი ვალდებულება კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას კანონის საფუძველზე წარმოიშობა. თუ მესამე პირი სპეციალურ შესრულებას არ აირჩევს, უფლებამოსილების გარეშე მოქმედ წარმომადგენელს არ აქვს თვითნებურად ხელშეკრულების შესრულების უფლება.²¹³ თუ მეორე მხარე მოითხოვს გარიგების შესრულებას, *falsus procurator*-ს აქვს იგივე უფლებამოვალეობები, რაც ექნებოდა მას, გარიგება თავიდანვე მასა და მესამე პირს შორის რომ დადებულიყო.²¹⁴ ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელს აქვს, მაგალითად, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკავების უფლება. თუ წარმომადგენელი მყიდველის პოზიციაზეა, მას ნივთის ნაკლიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის (მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა) უფლება აქვს. ხოლო, თავის მხრივ, წარმომადგენლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამოიყენება ვალდებულების შეუსრულებლობისა და მისგან გამოწვეული ზიანის მიმართ მოქმედი ზოგადი წესები.²¹⁵

ბ) ზიანის ანაზღაურება პოზიტიური ინტერესის ფარგლებში

მეორე ალტერნატივა მესამე პირისთვის არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს სრული შესრულების ინტერესს/პოზიტიურ ინტერესს. პოზიტიურია ისეთი ინტერესი, რომელიც პირს ხელშეკრულების შესრულების მიმართ აქვს - ასეთ დროს, ზიანის მოცულობის განსაზღვრისთვის პირი უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის აღმოჩნდებოდა, გარიგება რომ

²¹⁰ *Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract a comparative treatise*, 115.

²¹¹ შდრ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 412. ავტორი მიუთითებს, რომ მესამე პირის მიერ შესრულების არჩევის შემთხვევაში წარმომადგენელი ხდება ხელშეკრულების მხარე, რაც არასწორია, ვინაიდან, ხელშეკრულების მხარე ვერ გახდება ის, ვინც, მესამე პირს თავს წარუდგენს, როგორც წარმომადგენელი. ამგვარი დაშვება წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების, ისე წარმომადგენლობის ძირითად პრინციპთან. უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის ხელშეკრულების მხარედ მოაზრება კონტრაპირების იძულება იქნებოდა.

²¹² *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 90.

²¹³ *Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 125-126.

²¹⁴ *Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 125-126.

²¹⁵ *Schmidt-kessel, Baide, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 125-126.

შესრულებულიყო.²¹⁶ იგი შეზღუდულია ფულადი ანაზღაურებით და არ ითვალისწინებს ნატურით ანაზღაურების შესაძლებლობას.²¹⁷ ზიანის ანაზღაურების არჩევანი თავისთავად გულისხმობს სპეციალური შესრულების მოთხოვნის უფლების დაკარგვას²¹⁸ - ე.ი. ანაზღაურდება ხარჯები და ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც გარიგების ნამდვილობის პირობებში არ დადგებოდა.²¹⁹

გგ) შეზღუდული პასუხისმგებლობა - ზიანის ანაზღაურება ნეგატიური ინტერესის ფარგლებში

იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელმაც არ იცის თავისი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, შეზღუდულია ნეგატიური ინტერესით - მას მხოლოდ ნდობის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება. ზიანის მოცულობა შეზღუდულია შესაძლო შესრულების ინტერესით - ე.ი. ინტერესით, რომელიც პირს ჰქონდა ნამდვილი გარიგების მიმართ ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში. უფლებამოსილების ნაკლის შესახებ არცდონის მტკიცების ტვირთი ეკისრება უფლებამოსილების გარეშე მოქმედ წარმომადგენელს.²²⁰ გერმანულ სამართალში შეზღუდული პასუხისმგებლობისაგან არსებობს ორი საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც განსაზღვრულია გსკ-ის 179 (2) პარაგრაფში: 1. Wechselgesetz (თამასუქი) and 2. Scheckgesetz (ჩეკი). სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზების მიზნებისთვის ხსენებულ შემთხვევებში გამონაკლისის დაშვება შესაბამისობაშია ქენევის კონვენციასთან. ამ წესების მიხედვით, წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ, სრულადაა პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისთვის, რომელიც წარმოიშვა თამასუქის ან ჩეკის საფუძველზე.²²¹

5.3. დელიქტურ პასუხისმგებლობასთან კონკურენცია

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც დელიქტურ პასუხისმგებლობას მხოლოდ აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში ითვალისწინებს (გსკ-ის 823-ე მუხლი),²²² ქართულ სამართალში დელიქტური

²¹⁶ რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 197.

²¹⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 126.

²¹⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 126.

²¹⁹ *MüKo/Schubert*, BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 45. ციტ: *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 113, მე-16 ველი, 643.

²²⁰ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 126.

²²¹ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 126-127.

²²² გერმანულ სამართალში დელიქტური პასუხისმგებლობა არ მოიცავს წმინდა ეკონომიკურ დანაკლისს (Pure economic loss). მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სამართალი ქონებას შემცირებისაგან არ იცავს დელიქტის მიხედვით, მისი შემადგენლობა მაინც იქნება სახეზე, თუ ხელყოფილი იქნება დაზარალებულის ქონების დამცავი ნორმა. ამასთან დაკავშირებით იხ:

პასუხისმგებლობა დგება არამხოლოდ აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის, არამედ ქონების შემცირების შემთხვევაშიც,²²³ რა დროსაც უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის განზრახ ქმედება შესაძლოა ასევე აკმაყოფილებდეს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებს სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა ეს უკანასკნელი პრობლემურია ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც იმდენად, რამდენადაც სუფთა სახით ქონებრივი ზიანი ასევე არაანაზღაურებადია სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.²²⁴

ინგლისურ სამართალში, უფლებამოსილების ნაკლის ან გადამეტებით დადებულ გარიგებებში პრობლემის გადაჭრის გზა განსხვავებულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ პასუხისმგებლობა დგება, ვინაიდან, წარმომადგენელმა მესამე პირის მიმართ დაარღვია სათანადო უფლებამოსილების ფლობის გარანტია.²²⁵ თუმცა თუ აგენტი თაღლითურად მოიქცა, მას უკვე დელიქტური პასუხისმგებლობა დაეკისრება.²²⁶ ე.ი. ასეთ შემთხვევაში იგი გამკაცრებულად აგებს პასუხს. თუმცა, აღიარებულია, რომ გარკვეულ შემთხვევებში მიუხედავად გარანტიის დარღვევისა, გერმანული სამართლის მსგავსად აგენტი მაინც არ არის პასუხისმგებელი, თუ მესამე პირმა იცის უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ.²²⁷ ხსენებულ შემთხვევაში, მართალია, პასუხისმგებლობა განსხვავებული ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე დგება, აშკარაა, რომ განსხვავებული სამართლებრივი სისტემები პრობლემას განსხვავებული გზებით, თუმცა შედეგობრივად მაინც ერთნაირად აგვარებენ.

5.4. Culpa in contrahendo-ს საფუძვლები წარმომადგენლობაში

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მოლაპარაკებებში ერთი მხარე ერთპიროვნულად იწვევს მეორე მხარის ნდობას და აღუძრავს გარიგების დადების სურვილს, ხელშეკრულების არდადება და დასახული მიზნის მიუღწევლობა ანიჭებს მოტყუებულ და ნდობაგაცრუებულ მხარეს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რომელიც მომლაპარაკებლის მიმართ ნდობის გამო მიადგა.²²⁸ Culpa in

რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 214-202; *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 624-650; *Opoku*, Delictual Liability in German Law, *The International and Comparative Law Quarterly*, Vol. 21, No. 2 (Apr., 1972), 230-269. *Markesinis, Unberath*, *The German Law of Torts, A comparative treatise*, 44-74.

²²³ *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 214.

²²⁴ *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 199.

²²⁵ *Collen v Wright* (1857) 7 El & Bl 301; 119 ER 1259, affd 8 El & Bl 647; 120 ER 241 ციტ: *Markesinis, Unberath, Johnston*, *The german law of contract, a comparative treatise*, 115.

²²⁶ *Polhill v Walter* (1832) 3 B & Ad 114; 110 ER 43.

²²⁷ *Lilly, Wilson & Co v Smales, Eeles & Co* [1892] 1 QB 456; *Reynolds*, 'Personal Liability of an Agent' (1969) 85 LQR 92. ციტ: *Markesinis, Unberath, Johnston*, *The german law of contract, a comparative treatise*, 115.

²²⁸ March 3, 1925, *Oberster Gerichtshof*, 7 *Entscheidungen des Osterreichischen Obersten Gerichtshofes in Zivilsachen* 165, ციტ: *Kessler*, *Fine, Edith*, "Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study" (1964). *Faculty Scholarship Series*. 429.

contrahendo²²⁹ გერმანული სამართლის მონაპოვარი და მისთვის დამახასიათებელი კონცეპტია, რომელიც თავისი არსით ხელშეკრულებასა და დელიქტს შორის მერყეობს. ზოგჯერ ავლენს როგორც ერთს, ისე მეორესთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. იგი ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წინასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის კატეგორიას განეკუთვნება, რომლისთვისაც მთავარი დამახასიათებელი ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის არსებობაა.²³⁰

Culpa in contrahendo პირველად რუდოლფ ფონ იერინგმა შემოიტანა წინასახელშეკრულებო ეტაპზე წამომოხილი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.²³¹ მისი მთავარი მიზანი იყო ბათილი გარიგებების შემთხვევებში პირთა დაცვა.²³² დღესდღეობით წინასახელშეკრულებო ეტაპზე პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი ვალდებულების წარმომშობ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობაა.²³³ ამ კონცეპტის შემოტანის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დელიქტური პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო სტადიაზე ვერ იცავს ხელშეკრულების დადების მსურველთა ნდობას, ვინაიდან გერმანულ სამართალში დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია აბსოლუტური სიკეთის ხელყოფა,²³⁴ რასაც არ განეკუთვნება მესამე პირთა ნდობის დარღვევის გამო დამდგარი წმინდა ეკონომიკური ზიანი. სწორედ ამიტომ, ჩამოყალიბდა Culpa in contrahendo-ს დოქტრინა, რომელიც სხვისი ქონების დაცვის ზოგად ვალდებულებას განამტკიცებს და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს სწორედ სარგებლიანი ხელშეკრულების არდადებით დაზიანებული ქონების შემთხვევაში ითვალისწინებს.²³⁵ თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში დელიქტური პასუხისმგებლობა დგება არამხოლოდ აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით, არამედ ქონების შემცირების შემთხვევაშიც,²³⁶ თუმცა სუფთა სახით ქონებრივი ზიანი ქართულ სამართალშიც სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ასევე არაანაზღაურებადია მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.²³⁷

გსკ-ის 311-ე პარაგრაფის მესამე ნაწილი განამტკიცებს Culpa in contrahendo-ს პრინციპს იმ პირების მიმართაც, რომლებიც თავად არ უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები. ასეთი შესაძლოა იყოს ის პირი, რომელიც განსაკუთრებით მაღალი ნდობით სარგებლობს და ხელეწიფება, ხელშეკრულების პოტენციურ მხარეებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს.²³⁸ მესამე პირი,

²²⁹ სიტყვასიტყვით აღნიშნავს: „ბრალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას“.

²³⁰ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 197.

²³¹ ამასთან დაკავშირებით იხ. Kessler, Fine, Edith, "Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study" (1964). Faculty Scholarship Series. 401.

²³² Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract, a comparative treatise, 92.

²³³ Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract, a comparative treatise, 92

²³⁴ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 199.

²³⁵ შდრ. BGH, NJW, 1998, 302

²³⁶ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 214.

²³⁷ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 199.

²³⁸ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 200.

რომელიც შესაძლოა იყოს, მაგალითად, წარმომადგენელი, უნდა მოქმედებდეს არა წარმოდგენილის სახელით, არამედ პირადად მის მიმართ არსებული ნდობისა და მოლოდინების საფუძველზე - ე.ი. ზეგავლენის მოხდენა დაკავშირებული უნდა იყოს სწორედ ამ მესამე პირის (წარმომადგენლის) პიროვნებასთან და მის ძალაუფლებასთან.²³⁹ საკითხავია, თუ რა დანიშნულება აქვს გსკ-ის 311-ე პარაგრაფს წარმომადგენლობაში გსკ-ის 179-ე პარაგრაფის პარალელურად. აშკარაა, რომ მეორე წარმომადგენს სპეციალურ ნორმას და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც წარმომადგენელი უფლებამოსილების ნაკლის გამო აცრუებს მესამე პირის მოლოდინს, რის გამოც იგი პასუხისმგებელია ნდობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. თუმცა გსკ-ის 311-ე პარაგრაფი (სკ-ის 317-ე მუხლი) მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც არ შეეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წარმომადგენლის მიერ მესამე პირთათვის გარიგების შესრულების გარანტიის გაცემა, რაც გარკვეულ ნდობას იწვევს.²⁴⁰

გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა წარმომადგენლის პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმები: 1. აუცილებელია, წარმომადგენელი იქცეოდეს, როგორც წარმოდგენილი (რაც არ გულისხმობს წარმოდგენილი პირის გაუმჯღავნებლობას); 2. უნდა იწვევდეს განსაკუთრებულ ნდობას და 3. გარიგების დადებისა და შესრულების მიმართ საკუთარი ფინანსური ინტერესი უნდა ჰქონდეს,²⁴¹ მაგალითად, შესაძლოა იღებდეს დამატებით ანაზღაურებას. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ნდობის გამოწვევისთვის აუცილებელი არაა უშუალო კონტაქტი და პირისპირ ურთიერთობები, ვინაიდან, წინასახელშეკრულებო ეტაპზე გაკეთებული განცხადებები ან სარეკლამო ბროშურები, რომელიც კონკრეტული პირისკენ არაა მიმართული, ასევე შეიძლება იწვევდეს განსაკუთრებულ ნდობას.²⁴² თუმცა, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელი მესამე პირთან წარმოდგენილის სახელით დადებს გარიგებას, ხოლო შემდგომში აღმოჩნდება, რომ წარმოდგენილი გადახდისუუნაროა, მესამე პირი ანაზღაურებას წარმომადგენლისაგან ითხოვს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, culpa in contrahendo-ს კონცეპტი არ გამოიყენება, ვინაიდან, ხელშეკრულების მხარეები პრინციპალი და მოსარჩელე არიან და არა წარმომადგენელი და მესამე პირი.²⁴³ თუ წარმოდგენილის ვინაობა გამჟღავნებულია, ხოლო, თავის მხრივ, უფლებამოსილებაც უნაკლოა, წარმომადგენელთან არავითარი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს. ამგვარი დაშვება დაარღვევდა წარმომადგენლობის სიცხადის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი შედეგები მხოლოდ წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. ასევეა, კომპანიის დირექტორის შემთხვევაშიც, რომელიც პირადად არ არის პასუხისმგებელი კომპანიის სახელით

²³⁹ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 200.

²⁴⁰ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 107.

²⁴¹ BGHZ 87, 302; BGHZ 79, 281; BGHZ 63, 382, ციტ: *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 107.

²⁴² *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 105.

²⁴³ *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract, a comparative treatise, 105.

დადებული გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისა თუ მოთხოვნებისთვის.²⁴⁴

იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, არ დაირღვეს წარმომადგენლობის ინსტიტუტის პრინციპები, ხოლო მეორე მხრივ არ მოხდეს წმინდა ეკონომიკური დანაკლისისგან გამონაკლისის დაშვება, culpa in contrahendo-ს საფუძველზე წარმოშობილი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით უნდა შეიზღუდოს ცალკეულ შემთხვევებში. ამგვარად სასამართლოები წარმომადგენლის ნებისმიერ პასუხისმგებლობას culpa in contrahendo-ს საფუძველზე გამონაკლისად მიიჩნევენ.²⁴⁵ ხსენებული მაგალითისაგან განსხვავდება ისეთი მდგომარეობა, როდესაც წარმომადგენელი გარანტიას იძლევა ხელშეკრულების შესრულებაზე, სინამდვილეში კი მან იცის, რომ წარმოდგენილი გადახდისუუნაროა - ე.ი. იმთავითვე აცნობიერებს, რომ გარიგება აღუსრულებელი დარჩება. ვინაიდან, ხელშეკრულების მომავალი მხარის გადახდისუუნარობის ცოდნის შემთხვევაში, პირი მასთან გარიგებას არ დადებდა. გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის²⁴⁶ მიხედვით, წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოებისას, პოტენციური მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს გაანდონ ყველა ის გარემოება, რასაც ჩვეულებრივ სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესების მიხედვით შეუძლია გავლენა მოახდინოს გარიგების დადებაზე. ამრიგად, ნებისმიერ გარემოებას, თუკი მას მნიშვნელობა მიენიჭება პირის ნდობის ან გარიგების დადების სურვილის აღმოცენების თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა წარმოშობდეს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ვალდებულებას, რომელიც კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს ეხმიანება. თუმცა, ამისათვის, მნიშვნელოვანია, რომ პირი განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ამხელდეს მეორე მხარისთვის მნიშვნელოვან გარემოებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მხოლოდ დამცავი ვალდებულებები წარმოიშვება, ხოლო შესრულების ვალდებულება მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდება.

5.5. არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მინიჭება და სამართლებრივი შედეგები

ვერავინ გადასცემს სხვას იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე თავად გააჩნია, თუმცა ამგვარი რამ არ მოქმედებს ვალდებულებითსამართლებრივი/მავალდებულებელი გარიგების დადების მიმართ - ე.ი. პირს შეუძლია ვალდებულების ძალით თავი ნებისმიერ საკითხზე შეიბოჭოს, მიუხედავად იმისა, შესრულებადია თუ არა ესათუის

²⁴⁴ *Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract, a comparative treatise*, 105.

²⁴⁵ *Markesinis, Unberath, Johnston, The german law of contract, a comparative treatise*, 107.

²⁴⁶ BGH NJW 2010, 858.

ვალდებულება სამართლებრივი პოზიციის პირისათვის არამიკუთვნადობის გამო.²⁴⁷ მაშასადამე, თუ პირი ნასყიდობის ხელშეკრულებას სხვის ნივთზე დადებს, არ ნიშნავს, რომ ამგვარი გარიგება ბათილია²⁴⁸ - არამედ მისი შეუსრულებლობის რისკებს ატარებს პირი, ვინც „ბედავს“ და თავისი უფლებამოსილების სფეროს არმიკუთვნებულ საკითხზე დებს შეთანხმებას. ასეთ დროს ორი გამოსავალი არსებობს: 1. ვალდებულებითი გარიგების საფუძველზე შესასრულებელი განკარგვითი გარიგება მოიწონოს უფლებამოსილმა პირმა, ან 2. კონტრაქტმა მოითხოვოს მავალდებულებელი გარიგებიდან (ხელშეკრულებიდან) გასვლა მისი შეუსრულებლობის გამო და ყველა ის მოთხოვნა წაუყენოს არაუფლებამოსილ განმკარგავს, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ეკუთვნის, მათ შორის ზიანის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, თუ პირი წარმომადგენელს ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე აღჭურავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება და სანივთო გარიგება²⁴⁹ კონკრეტულ ნივთზე, ეს უფლებამოსილება ნამდვილია იმის მიუხედავად, რომ თავად პირი, ვისი სახელითაც მოქმედება სრულდება, არაუფლებამოსილი განმკარგავია. ამგვარ ვითარებაში არსებობს მხოლოდ ის დაშვება, რომ ის, ვინც დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, როგორც გამყიდველის წარმომადგენელი, მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ იგი მოქმედებს იმ პირის მითითებების შესაბამისად, რომელმაც უფლებამოსილება მიანიჭა და არა იმაზე, რომ ის ნამდვილად მესაკუთრეს განასახიერებს. ამდენად ის არ არის ნდობის ზიანისთვის/გარანტიის დარღვევისთვის პასუხისმგებელი იმის გამო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არანამდვილი მესაკუთრის მიერ იყო ნებადართული.²⁵⁰ ამრიგად, წარმომადგენლობით უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიმართ არსებული წესები არ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თავის მხრივ ნამდვილია, თუმცა არანამდვილია თავად რწმუნებულების მიმცემის მიერ ნივთის განკარგვა. ასეთ დროს სანივთო/განკარგვითი გარიგების მიმართ გამოსაყენებელია სკ-ის 99-102-ე მუხლები.

5.6. ცალმხრივ გარიგებებში არაუფლებამოსილი წარმომადგენლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება

ა) ცალმხრივ გარიგებებში არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის დასაშვებობა

²⁴⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 101, ველი 26, 579. ასევე იხ. რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 114.

²⁴⁸ რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 114.

²⁴⁹ სანივთო და ვალდებულებითი გარიგებების გამოჯვანის შესახებ დეტალურად იხ. რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 251-260.

²⁵⁰ BGH, 16 April 1957, ციტ: *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon*, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 921

გსკ-ის 180-ე პარაგრაფი, ქართული კოდექსისაგან განსხვავებით, ცალმხრივ გარიგებებში წარმომადგენლობის მიმართ განსხვავებულ წესს ადგენს. კერძოდ, ცალმხრივ გარიგებებში დაუშვებელია არაუფლებამოსილი წარმომადგენლობა, რის გამოც, განსხვავებით ხელშეკრულებებში წარმომადგენლობისაგან, რომელშიც არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება მერყევად ბათილია, ცალმხრივ გარიგებებში Falsus procurator-ის მოქმედება თავიდანვე ბათილად აქცევს გარიგებას.²⁵¹ გსკ-ის 180-ე პარაგრაფის პირველი წინადადების მიზნებისთვის ცალმხრივ გარიგებებში მოიაზრება არამიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა.²⁵² ამ წესისგან საგამონაკლისო შემთხვევას ითვალისწინებს გსკ-ის 180-ე პარაგრაფის მეორე და მესამე წინადადებები, რომელთა მიხედვითაც ცალმხრივი მიღებასავალდებულო გარიგების მიმართ გამოიყენება უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლობის მიმართ არსებული წესები,²⁵³ თუ მესამე პირმა, რომლის მიმართაც ნება გამოვლინდა, არ გასჩენია და არც შეეძლო გასჩენოდა რაიმე ეჭვი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ.²⁵⁴ იგივე წესი მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცალმხრივი გარიგება იდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიმართ ამ უკანასკნელის თანხმობით. აღნიშნული წესი განპირობებულია იმით, რომ ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში მესამე პირებს გამოკვლევის იმაზე მეტი ტვირთი დაეკისრებოდათ, ვიდრე ეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვისაა საჭირო. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი სიცხადის მიზნით, კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული ცალმხრივი გარიგების მოწონების მკაცრ შეზღუდვას, ნორმით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ეს უკანასკნელი დაიშვება იმდენად, რამდენადაც წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების მტკიცებისა და კეთილსინდისიერი მესამე პირის მოლოდინის შემთხვევაში, რომელიც არ არის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგი, არ არსებობს გამოკვლევის იმაზე მეტი ვადდებულება, ვიდრე ეს ხელშეკრულებებში წარმომადგენლობის შემთხვევებშია და, შესაბამისად, მესამე პირთა ნდობა კვლავაც იმსახურებს სამართლებრივ დაცვას.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან, ქართული სამოქალაქო კოდექსი არ ასხვავებს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ცალმხრივ არამიღებასავალდებულო და მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, ყველა შემთხვევაში გამოიყენება უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის

²⁵¹ *Schmidt-kessel, Baide*, The Unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 106. ასევე იხ. *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 30.

²⁵² *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 30. არამიღებასავალდებულო ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს მაგალითად საკუთრების უფლების მიტოვება.

²⁵³ *Schmidt-kessel, Baide*, perspectives from European and comparative law, 106-107.

²⁵⁴ *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 30.

მიმართ არსებული წესები (სკ-ის 111-113-ე მუხლები).²⁵⁵ ამგვარი დაშვება კრიტიკის ღირსია, ვინაიდან, კანონით რაიმეს გაუთვალისწინებლობა იმთავითვე არ გულისხმობს საკითხის ღიად დატოვებას. კანონმდებლის დუმილი რიგ შემთხვევაში გათვალისწინებულია განზრახვით და არა დაუდევრობით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მიზნიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს ამათუიშ საკითხზე დუმილი წარმოადგენს შემთხვევითობას თუ კანონმდებლის მიზანმიმართულ მოქმედებას.²⁵⁶

შედარებისთვის მნიშვნელოვანია სკ-ის 99 (3) მუხლის განხილვა, რომელიც განსაზღვრავს ცალმხრივ გარიგებაზე თანხმობას.²⁵⁷ გაბატონებული მოსაზრების მიხედვით წინასწარი ნებართვის გარეშე დადებული თანხმობასავალდებულო ცალმხრივი გარიგება არანამდვილია, რაც გამომდინარეობს სკ-ის 66-ე მუხლიდან, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს მიმღების ინტერესს, თავიდანვე ცალსახად იყოს გარკვეული იმ სამართლებრივ მდგომარეობაში, რომლის შეცვლაც მას თავად არ შეუძლია, რის გამოც, მიზანშეწონილია მან დადებისთანავე იცოდეს გარიგების ნამდვილობის შესახებ.²⁵⁸ სწორედ სამართლებრივი სიცხადისა და სტაბილურობის მიზნით არის ნაკარნახევი ცალმხრივი გარიგების მოწონების შეზღუდვა, რისი ქართულ სამართალში არგაზიარების საფუძველიც არ არსებობს.²⁵⁹ ამისგან გასხვავებით, როდესაც ნების გამომხატველი ამტკიცებს ნებართვის არსებობას, რასაც მიმღები ეთანხმება და არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს, გარიგების მოწონებაუნარიანობის საკითხი უპრობლემო უნდა იყოს.²⁶⁰

ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში მესამე პირებს გამოკვლევის იმაზე მეტი ტვირთი დაეკისრებოდათ, ვიდრე ეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვისაა გამართლებული. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი სიცხადის მიზნით, უმჯობესია, ცალმხრივი გარიგებები ზემოთხსენებული გამონაკლისების გარდა საერთოდ არ იყოს მოწონებაუნარიანი ან, სხვა შემთხვევაში, მესამე პირებს გამოკვლევის უფრო მეტი ვალდებულება უნდა ჰქონდეთ, რაც პრაქტიკულად იმავე სამართლებრივ შედეგამდე მიგვიყვანს, რაც ამგვარი გარიგების არანამდვილობის პირობებში. როგორც უკვე აღინიშნა გარიგების ბათილობა თავისთავად არ გულისხმობს მესამე პირთათვის მოთხოვნის უფლებების წართმევას - მათ შეუძლიათ ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ეტაპზე გამოჩენილი ბრალიდან ან დელიქტურ ნორმებზე დაყრდნობით მოითხოვონ.

²⁵⁵ ერქვანია, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 30.

²⁵⁶ რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი. სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, 301.

²⁵⁷ მუხლში ცალმხრივი გარიგება პირდაპირ ნახსენები არ არის, თუმცა იგი წარმოადგენს გერმანული მოწესრიგების (გსკ-ის 182 (3) პარაგრაფი) ანალოგს, რომელიც სწორედ ცალმხრივ გარიგებაზე საუბრობს ამასთან დაკავშირებით იხ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 45, 565.

²⁵⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 45, 565.

²⁵⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 45, 565.

²⁶⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 99, ველი 45, 565.

ბ) პასუხისმგებლობის დაკისრების საგამონაკლისო შემთხვევები

გერმანული მოწესრიგების პირობებში, არაუფლებამოსილი წარმომადგენლის განსხვავებული პასუხისმგებლობა დგება გსკ-ის 180-ე პარაგრაფის პირველი (ბათილი/არანამდვილი გარიგებები) და მეორე წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ბათილი გარიგებებთან მიმართებით, რადგანაც არ გამოიყენება წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმები, პასუხისმგებლობა გამომდინარეობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე წარმოშობილი ვალდებულებებისგან ან დელიქტური ნორმებიდან.²⁶¹ ვინაიდან, წარმომადგენელი, როგორც წესი, არ ხდება ხელშეკრულების მხარე, პასუხისმგებლობა წარმოიშობა არა გსკ 311 (2)-ე, არამედ 311 (3)-ე პარაგრაფიდან, რაც გულისხმობს მესამე პირთა/ხელშეკრულების არამონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობის შემთხვევას.²⁶² დელიქტური პასუხისმგებლობა, წმინდა ეკონომიკური ზიანის არაანაზღურებადობის გამო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს თუ ცრუ წარმომადგენლისგან სახეზე იქნება ისეთი განზრახი ქმედება, როგორცაა თაღლითობა.²⁶³ რაც შეეხება გკ-ის 180-ე პარაგრაფის მეორე წინადადებას, უცვლელად გამოიყენება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედებების მიმართ მოქმედი წესები, როდესაც მესამე პირი თანხმობას გამოთქვამს წარმომადგენლის მოქმედებებზე, რაც ამ უკანასკნელს წარმოუშობს გსკ-ის 177-179-ე პარაგრაფებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს.²⁶⁴ აღსანიშნავია, რომ ამგვარ ვითარებაში ერთი პრობლემური საკითხი წამოიჭრება: 179-ე პარაგრაფის გამოყენება გამორიცხულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. თუ მესამე პირი არ იკვლევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობას, გამოირიცხება მისი მოთხოვნის უფლებები, რაც განპირობებულია ცალმხრივი გარიგების სამართლებრივი ბუნებით.²⁶⁵ ამის მიუხედავად, ჯილდოს საჯაროდ დაპირების შემთხვევაში, პირს რჩება უფლება არაუფლებამოსილი წარმომადგენლისაგან პირდაპირ მოითხოვოს ნატურით შესრულება.²⁶⁶

ამრიგად, ცალმხრივი გარიგებების მიმართ, გამონაკლისების გარდა, დაუშვებელია არაუფლებამოსილი პირის წარმომადგენლობა და, მაშადასადამე, მის მიმართ არსებული წესების გამოყენება. ასევე საეჭვოა კონსტრუქციულ წარმომადგენლობათა არსებობის საკითხი. მართალია, ქართული სამოქალაქო კოდექსი ამგვარ გამონაკლისს პირდაპირ არ ითვალისწინებს, არ ნიშნავს, რომ ამგვარი აკრძალვის არარსებობა ავტომატურად მის დასაშვებობას გულისხმობს. როგორც ზემოთ

²⁶¹ *Larenz and Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, § 49, Rn. 17. ციტ: *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

²⁶² *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

²⁶³ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

²⁶⁴ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

²⁶⁵ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

²⁶⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 128.

აღნიშნა, სამართლებრივი სიციხადისა და ბრუნვის სტაბილურობის მიზნებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო სამართლის დოგმატიკისა და ძირითადი პრინციპების შესაბამისად სასამართლო პრაქტიკამ უნდა განმარტოს და შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავების გზით უნდა გადაწყვიტოს/მოაწესრიგოს ამგვარ გარიგებათა სამართლებრივი ბედი.

5.7. საკუთარ თავთან დადებული გარიგება

როდესაც წარმომადგენელი სხვისი სახელითა და საკუთარი ნებით მოქმედებს, არსებობს გარკვეული რისკები და ცდუნებები იმისა, რომ მან გარიგება მხოლოდ საკუთარი და არა წარმოდგენილი პირის ინტერესებისთვის დადოს²⁶⁷. ასეთ ვითარებაში დადებული გარიგება მერყევად ბათილია და წარმოდგენილის მოწონების გარეშე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს²⁶⁸, რაც განმტკიცებულია სკ-ის 114-ე (გსკ-ის 180-ე პარაგრაფში) მუხლში. ნორმის მიზანია წარმომადგენლისთვის იმის აკრძალვა, რომ იგი განასახიერებდეს ორივე მხარეს²⁶⁹. როდესაც წარმომადგენელი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში მოქმედებს, მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გააჩნია, რა დროსაც წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ზოგადი წესები გამოიყენება. წარმოდგენილი პირი უფლებამოსილია მოიწონოს ამგვარი გარიგება²⁷⁰. განსხვავებული მოწესრიგებაა ევროპული სახელმეკრულებო სამართლის 3:205-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ინტერესთა კონფლიქტის პირობებში დადებული გარიგება ნამდვილად მიიჩნევა, თუმცა შეცილების უფლება წარმოდგენილ პირს ეკუთვნის²⁷¹.

საკუთარ თავთან დადებული გარიგება თავიდანვე ნამდვილია ისეთ შემთხვევებში, როდესაც 1. წარმოდგენილმა პირმა წინასწარი თანხმობა²⁷² გასცა თვითკონტრაქტების ან მრავალხმრივი წარმომადგენლობის პირობებში²⁷³ და 2. როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად²⁷⁴. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოიაზრება ისეთი სიტუაცია, როდესაც

²⁶⁷ DCFR, 465.

²⁶⁸ სკ-ის 114-ე მუხლში სიტყვა “არ შეუძლია” არ გულისხმობს იმას, რომ გარიგება ბათილია, არამედ იგი მერყევად ბათილია მსგავსად სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების შემთხვევებში. ამასთან დაკავშირებით იხ. *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91. *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 436.

²⁶⁹ *ზოიდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 114, 298.

²⁷⁰ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 133.

²⁷¹ იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 413.

²⁷² ასევე იხ. Art 2.2.7. Unidroit principles 2010, 87.

²⁷³ ამასთან დაკავშირებით იხ. სუს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1655-1552-2012. გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ მინდობილობაში აღნიშნული საკუთარ თავზე გაფორმების უფლება ნიშნავს საკუთარ თავთან დადებულ გარიგებაზე თანხმობას, რა დროსაც არ დგება მისი მერყევად ბათილობის მდგომარეობა.

²⁷⁴ *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 436. სამოქალაქო კოდექსის ამ დებულების კრიტიკა იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 413.

ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფალ პირობებში დაიდო, მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა სამართლებრივი პოზიციების შეცვლის გამო, ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულება²⁷⁵ მიმდინარეობს ფორმალურად ერთსა და იმავე მხარეებს შორის. აღსანიშნავია, რომ სკ-ის 114-ე მუხლი გსკ-ის 181-ე პარაგრაფის ცულ ანალოგს წარმოადგენს, რომელიც შესრულების გარიგებაზე მიუთითებს - ე.ი. ისეთი გარიგების შესახებ, რომლის დადებითაც სრულდება სხვა გარიგება.²⁷⁶ ამგვარი კავშირი კი ვალდებულებით და სანივთო გარიგებებს შორის არსებობს (კაუზალობა)²⁷⁷. ამგვარად სკ-ის 114-ე მუხლი მიუთითებს სანივთო გარიგებაზე, რომლის დროსაც მხარეთა იდენტურობა აღარაა პრობლემური, რამდენადაც მისი კაუზა - ვალდებულებითი გარიგება - ამგვარი კონფლიქტისაგან თავისუფალ პირობებში განხორციელდა.

ევროპული კერძო სამართლის მოდელური წესები ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს ისეთ შემთხვევებში, როდესაც, წარმომადგენელმა ამის შესახებ განუცხადა პრინციპალს, თუმცა მას ამასთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გამოუხატავს²⁷⁸. ასეთ დროს, ივარაუდება, რომ არსებობს კონკლუდენტური თანხმობა, რაც გარიგებას სამართლებრივ ძალას ანიჭებს, ხოლო წარმოდგენილს ართმევს უფლებას, შემდგომში უარი განაცხადოს ამ გარიგებაზე.

ა) ინტერესთა კონფლიქტი და მისი ამოცნობადობა

სკ-ის 114-ე მუხლის გამოყენებისთვის მხოლოდ ინტერესთა დაპირისპირება საკმარისი არ არის,²⁷⁹ არამედ ნორმა უფრო მეტად მიმართულია პირის იდენტიფიკაციის ფორმალურ კრიტერიუმზე,²⁸⁰ ე.ი. საკუთარ თავთან დადებული გარიგება შეცნობადი უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტათვის, სხვაგვარად იგი ნამდვილი იქნება მესამე პირებისათვის (ინტერესთა კონფლიქტის ამოცნობადობა)²⁸¹ და წარმოდგენილს, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტის გამო ზიანი მიადგა, მხოლოდ მისი მოთხოვნის უფლება დარჩება ინტერესთა კონფლიქტში მოქმედი წარმომადგენელისაგან. თავის მხრივ, ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა გამოიხატოს, როგორც თვითკონტრაპირებისას - როდესაც ერთ მხარეს პირის მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი,²⁸² ხოლო მეორე მხარეს

²⁷⁵ რომელშიც, სავარაუდოდ, სანივთო გარიგების დადება იგულისხმება.

²⁷⁶ *რუსიაშილი/სირდაძე/ეგნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაუზების კრებული, 114.

²⁷⁷ *რუსიაშილი*, კაუზები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 234 და შემდგომი გვერდები.

²⁷⁸ DCFR, 466.

²⁷⁹ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁸⁰ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁸¹ *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 114, მე-15 ველი, 651.

²⁸² ინტერესთა კონფლიქტი/საკუთარ თავთან დადებული გარიგების საკითხი ასევე აქტუალურია კანონიერ წარმომადგენლობაში, როდესაც მშობლები თავიანთი შვილის სახელით დებენ გარიგებას, რომელის მეორე მხარეც თავად მშობლები არიან. ამასთან დაკავშირებით იხ.

პირადად, ისე ორმხრივი ან მრავალხმრივი წარმომადგენლობისას, როდესაც პირი წარმოადგებს ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეს ერთ სამართლებრივ ურთიერთობაში.²⁸³ ევროპის სახელმწიკრულებო სამართლის პრინციპები განსხვავებულად აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას, რა დროსაც ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ თვითკონტრაქტირებასა და ორმხრივ წარმომადგენლობაზე, არამედ ნებისმიერ მესამე პირთან ისეთი გარიგების დადებაზე, რომელიც წარმომადგენლის, და არა წარმოდგენილის, პირად ინტერესებშია.²⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 114-ე მუხლი ამგვარ შემთხვევას პირდაპირ არ მოიაზრებს, გამართლებულია იგი ასევე მოექცეს ხსენებული ნორმის რეგულირების სფეროში. ასეთ შემთხვევაში, საეჭვოა მესამე პირის დაცვის მექანიზმიც, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით წარმომადგენლის ინტერესებში მოქმედი იქნება და გამოირიცხება მისი კეთილსინდისიერება. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით ხშირია სამეწარმეო ურთიერთობაში. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც საზოგადოების დირექტორი და კონტრაქტის განზრახ მოქმედებენ, რათა ზიანი მიაღწეს მეწარმე სუბიექტს.

ქართული სასამართლო პრაქტიკა ინტერესთა კონფლიქტის გამოვლინებად მიიჩნევს ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის სახელით დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას საკუთარ (წარმომადგენლის) მეუღლესთან²⁸⁵. აღნიშნული მიდგომა ემყარება სკ-ის 1158-ე მუხლს (მეუღლეთა თანასაკუთრება). ვინაიდან, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, წარმომადგენლის მიერ მეუღლესთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მასაც წარმოეშვა ნივთზე საკუთრების უფლება მეუღლეთა ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის გამო. აქედან გამომდინარე, სასამართლო ამგვარ შემთხვევებს აიგივებს საკუთარ თავთან დადებულ გარიგებასთან.

ინტერესთა კონფლიქტისა და პირის იდენტიფიკაციის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ორი შემთხვევის გამოყოფა: 1. პირის იდენტიფიკაცია ინტერესთა კონფლიქტის გარეშე და 2. ინტერესთა კონფლიქტი პირის იდენტიფიკაციის გარეშე.

მაისურაძე/დარჯანია/ვაჟაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 295-ე და შემდგომი გვერდები.

²⁸³ *ერევანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 30.

²⁸⁴ იხ. 3:205-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ინტერესთა კონფლიქტად მოიაზრება შემთხვევა, როდესაც წარმომადგენელს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით პირადი ინტერესი აქვს.

²⁸⁵ იხ. სუს 2003 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე # 3კ-1439-02; სუს 2004 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-325-619-04. სუს 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-525-870-07; სუს 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე # ას-429-671-08; სუს 2011 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-369-349-2011.

ა) პირის იდენტიფიკაცია ინტერესთა კონფლიქტის გარეშე

როგორც უკვე აღინიშნა, ამოცნობადობა ერთ-ერთი მთავარი ელემენტია საკუთარ თავთან დადებულის გარიგების ბათილობისთვის. თუმცა მხოლოდ პირის იდენტიფიკაცია საკმარისი არ არის ინტერესთა კონფლიქტის თავისთავად არსებობისთვის. ასეთი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც გარიგება წარმოდგენილი პირისთვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის²⁸⁶ მომტანია²⁸⁷ და ამ მიზნით ხდება ნორმის გამოყენების ტელეოლოგიური რედუქცია.²⁸⁸ გარდა ამისა, ამოცნობადობის მიუხედავად, არ არსებობს გარიგების ბათილობის წინაპირობა თუ წარმოდგენილის მიერ თვითკონტრაქტირებაზე ან მრავალმხრივ წარმომადგენლობაზე წინასწარ გაცემულია თანხმობა.²⁸⁹ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საკუთარ თავთან დადებული გარიგების მდგომარეობა არ არსებობს მაშინ, როცა წარმომადგენელი ასრულებს არა შემხვედრ, არამედ პარალელური ნების გამოვლენას, მაგალითად როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში პირი ორი სხვადასხვა გამყიდველის წარმომადგენელია, თუმცა არ წარმოადგენს მყიდველის მხარეს.²⁹⁰

ბ) ინტერესთა კონფლიქტი პირის იდენტიფიკაციის გარეშე

სსკ-ის 114-ე მუხლი გამოსაყენებელია მაშინ, როდესაც პირთა სიმრავლე ხელოვნურად არის შექმნილი. ასეთი შემთხვევაა წარმომადგენლის მიერ ქვეწარმომადგენლის დანიშვნა, რომელთანაც საკუთარი სახელით აფორმებს გარიგებას.²⁹¹ ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მესამე პირთა დაცვის მიზანი არ არსებობს, რამეთუ კონტრაქტის საკუთარი სახელით მოქმედი ინფორმირებული წარმომადგენელია, რომლისთვისაც ინტერესთა კონფლიქტი თავისთავადი და შეცნობადი ფაქტია, ბუნებრივია, ვერც აშკარა ან პრეზუმირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ვერ შეიქმნება.²⁹²

5.8. არარსებული სუბიექტის წარმომადგენლობა

²⁸⁶ ასეთად მოიაზრება უფლებრივი სარგებელი. თუ პირი უფლებასთან ერთად ვალდებულებითაც აღიჭურვება, ამგვარი შემთხვევა სცდება სამართლებრივი სარგებლის კატეგორიას. ამასთან დაკავშირებით იხ. *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 114, მე-8 ველი, 649.

²⁸⁷ *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 114, მე-8 ველი, 649.

²⁸⁸ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁸⁹ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁹⁰ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁹¹ *კროპკოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 91.

²⁹² *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

დაურეგისტრირებელი/დაუფუძნებელი სამეწარმეო საზოგადოების ან არარსებული პირების წარმომადგენლობის მიმართ ანალოგიის გზით არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ მოქმედი წესები გარკვეული გამონაკლისებით ვრცელდება.²⁹³ მნიშვნელოვანია ორი შემთხვევის გამოჯვანა: 1. როდესაც წარმოდგენილი არსებობას იწყებს წარმომადგენლის ქმედებების შემდეგ და 2. როდესაც არარსებული სუბიექტი კვლავ არარსებულად რჩება.²⁹⁴ პირველ შემთხვევაში, წარმოდგენილს აქვს შესაძლებლობა სკ-ის 111-ე მუხლის მიხედვით მოიწონოს გარიგება ან უარყოს იგი. თავის მხრივ, განსხვავებით არსებული სუბიექტის არაუფლებამოსილი წარმომადგენლობისას, პრინციპალი ვერ გახდება პასუხისმგებელი აშკარა ან პრეზუმირებული უფლებამოსილების გამო. ვინაიდან, არარსებული პირი ვერც უფლებამოსილების ლეგიტიმაციას შექმნის. მეორე შემთხვევაში კი დღის წესრიგში დგება *falsus procurator*-ის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი წესების გამოყენების საკითხი, თუმცა ლიტერატურაში²⁹⁵ ამ წესების გამოყენების შემთხვევაში ორ ძირითად პრობლემაზე მიუთითებენ: 1. სკ-ის 113-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა წარმოდგენილის მოწონების არარსებობაა, ე.ი. მან უნდა უარყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და 2. სკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლის პასუხისმგებლობა არ დადგება თუ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. დასახელებული შემთხვევები არცთუ ისე შორს არის სკ-ის 113-ე მუხლისაგან, რის გამოც, ბუნდოვანია იმ პრობლემათა წარმოჩენა, რომელიც გამორიცხავს მათ პირდაპირ გამოყენებას. შესაძლოა ითქვას, რომ ანალოგიის გარეშეც პირდაპირ მოქმედების ძალა აქვს იმდენად, რამდენადაც სკ-ის 113-ე მუხლის მიზანი მესამე პირის ნდობის დაცვაა ისეთ პირობებში, როგორშიც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ნაკლიანია. მართალია, არარსებული სუბიექტის შემთხვევაში პრობლემა წარმოდგენილის პირის არარსებობაშია, იგი პირდაპირ და უშუალოდ მოქმედებს უფლებამოსილებაზეც, ვინაიდან, არარსებული პირი, ბუნებრივია სხვას ვერ გადასცემს რაიმე ტიპის უფლებას.

არარსებული სუბიექტის შემთხვევაში წარმომადგენლის პასუხისმგებლობა ასევე შესაძლოა დაეყრდნოს წინასახელშეკრულებო ეტაპზე გამოჩენილი ვალდებულების დარღვევას (*Culpa in Contrahendo*), რაც გამოიხატება იმაში, რომ წარმომადგენელმა გასცა ნამდვილი გარიგების დადების გარანტია/პირობა, რომელმაც გამოიწვია მესამე პირთა ნდობა და რომლის შეუსრულებლობის გამოც დადგა ზიანი.²⁹⁶ ამ დოქტრინის გამოყენება უფრო უპრიანია მაშინ, როცა სუბიექტი ურთიერთობის არცერთ ეტაპზე არ არსებობს, ხოლო იმ შემთხვევისთვის, როდესაც წარმომადგენლის ქმედების მერე სახეზეა პირი, რომლის სახელითაც მოქმედება განხორციელდა და უფლებამოსილია

²⁹³ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

²⁹⁴ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

²⁹⁵ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

²⁹⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 130.

მოწონებაზე, სკ-ის 111-113-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები სპეციალურ ნორმებს წარმოადგენს.

5.9. შემდგომში დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოების თანხმობა/მოწონება

არასოდეს დაფუძნებული და არსებული პირისაგან განსხვავებით, შემდგომში დაარსებული სუბიექტის მიმართ გამოიყენება სკ-ის 111-ე მუხლის ნორმები.²⁹⁷ თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, სამეწარმეო საზოგადოების მიმართ გამოიყენება სპეციალური წესები. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მეწარმე სუბიექტი, წარმოიშობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუმცა, ისეთი შემთხვევებში, როდესაც რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მეწარმე სუბიექტის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ არსებობს რაიმე ტიპის სამოქალაქო სუბიექტი, უბრალოდ კანონმდებელი ასეთი სუბიექტის ოფიციალურ დაფუძნებამდე ცვლის პასუხისმგებლობის ფარგლებს - ე.ი. რეგისტრაციას გააჩნია არამხოლოდ სამეწარმეო საზოგადოების, მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობის ფუნქცია,²⁹⁸ არამედ კორპორაციული საფარველის - პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფუნქცია²⁹⁹ (ბუნებრივია, ეს ფუნქცია არ ეხება ამხანაგური ტიპის საზოგადოებებს). ამდენად, განსხვავებით ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სუბიექტის არარსებობა არანამდვილად აქცევს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ხსენებულ ვითარებაში - უფლებამოსილება უნაკლოც შეიძლება იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხარვეზის სხვა წინაპირობები არსებობს, რის გამოც მესამე პირებს აღარ მოუწევთ სკ-ის 111-113-ე მუხლებზე დაყრდნობა და სახელშეკრულებო ბოჭკვა უდაოდ წარმოიშობა უშუალოდ დაურეგისტრირებელ, მაგრამ ფაქტობრივად არსებულ, სუბიექტსა და კონტრაქტს შორის.

²⁹⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 131.

²⁹⁸ *ბურდული/ეგნატაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 25, ველი 12, 200. კომენტარში ასევე მითითებულია, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის რეგისტრაციის მომენტიდან წარმოშობა განამტკიცებს სხვადასხვა მართლწესრიგი, სქ. 31 ციტ: *Ferid/Sonnenberger*, Das Französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., 1 D 344; ასევე, BGB §21.

²⁹⁹ იურიდიული პირის ცალკე სუბიექტად ჩამოყალიბებასა და კორპორაციული საფარველით შეზღუდვასა და მის ფუნქციებზე დეტალურად იხ. *მაბრობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, #2, 2011, 99 და მომდევნო გვერდები.

5.10. არასრულწლოვანის წარმომადგენლობის დასაშვებობა და პრობლემური ასპექტები

ქართულ სამართალში შვიდ წელს მიღწეული პირის წარმომადგენლობა დასაშვებია სკ-ის 105-ე და მე-14 მუხლების შესაბამისად. აღნიშნული წესი მოიცავს ასევე უფლებამოსილების გარეშე მოქმედი არასრულწლოვანი წარმომადგენლის შემთხვევებსაც - ე.ი. მასზე ვრცელდება ყველა ის ნორმა, რაც ჩვეულებრივ წარმომადგენლობის თავშია მოცემული, გარდა პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი წესისა, რომელიც არასრულწლოვანი წარმომადგენლის მიმართ შეზღუდულად გამოიყენება. პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველი არ არსებობს მაშინ, როდესაც კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ თანხმობას აცხადებს არასრულწლოვანის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქმედებებთან მიმართებით.³⁰⁰

ა) არასრულწლოვანის წარმომადგენლობის დასაშვებობის გონივრულობა

ვინაიდან, არასრულწლოვანი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება სამართლებრივ შედეგებს აყენებს მხოლოდ წარმოდგენილი პირის მიმართ, არ არსებობს ამგვარი წარმომადგენლობის აკრძალვის მიზანი, რადგან სამართალი არასრულწლოვანს იცავს მისთვის და არა სხვისთვის საზიანო ქმედებებისაგან. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არასრულწლოვანის დაცვის საჭიროება.³⁰¹ ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები ერთსა და იმავე შედეგს აღწევენ არასრულწლოვანის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვის საკითხთან დაკავშირებით.³⁰² გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, შესაძლებლობა იმისა, რომ იმოქმედო როგორც წარმომადგენელმა არ წესრიგდება ისევე, როგორც შესაძლებლობა, იმოქმედო, როგორც წარმოდგენილმა პირმა.³⁰³ ხსენებულ შემთხვევებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დამოუკიდებელია მის საფუძველად არსებული სამართალურთიერთობისაგან, ე.ი. არასრულწლოვანისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მის საფუძველად არსებული შიდა ურთიერთობის არანამდვილობის მიუხედავად, ნამდვილია თუ იგი ფსიქიკურად და ფიზიკურად ჯანმრთელია. აღნიშნულიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ

³⁰⁰ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 134.

³⁰¹ *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 105, 1-ლი ველი, 606.

³⁰² *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 204.

³⁰³ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 204.

დამოუკიდებლობის პრინციპი გამოყენებადი ჰიპოთეზაა, რომელიც ასევე კარგად ხსნის იმ ფაქტსაც, რომ არასრულწლოვანის მიერ შეუსაბამო და საზიანო წარმომადგენლობის რისკები უნდა ატაროს წარმოდგენილმა პირმა,³⁰⁴ რომელიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებს არასრულწლოვანს, თუ გარიგება მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დაიდო. ამგვარად წყვეტს ანგლოამერიკული სამართალი საკითხს არასრულწლოვანის წარმომადგენლობასთან მიმართებით - არასრულწლოვანის წარმომადგენლობა არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის, განსხვავებით იმ შემთხვევისა, როცა წარმოდგენილი პირია არასრულწლოვანი.³⁰⁵

ბ) უფლებამოსილების გარეშე მოქმედი არასრულწლოვანი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა

განსხვავებით არასრულწლოვანის ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა, პრობლემურია მესამე პირთა დაცვა არასრულწლოვანი *falsus procurator*-ის შემთხვევაში, ვინაიდან, თუ წარმოდგენილი არ მოიწონებს გარიგებას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სკ-ის 113-ე მუხლის გამოყენების საკითხი, ვინაიდან, იგი არ ითვალისწინებს შეზღუდულ ქმედუნარიანთა მიმართ საგამონაკლისო წესებს, მათი გამოყენება გამორიცხულია არასრულწლოვანის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, თუმცა, პასუხისმგებლობა, შესაძლოა დაემყაროს სკ-ის 994-ე მუხლს ისეთ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი განზრახ მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში და ამით ზიანს აყენებს მესამე პირს, თუმცა თუ აბსოლუტური სიკეთე არაა ხელყოფილი, ასევე პრობლემურია დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ არასრულწლოვანი არაუფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში მესამე პირი სრულიად დაუცველი რჩება, თუმცა ამის მიუხედავად, მას, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ჰქონდეს წარმოდგენილის მიმართ *Culpa in contrahendo*-ს საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თუ წარმომადგენლობითი ნაკლი წარმოდგენილის გამოწვეული იყო, ვინაიდან, გულისხმიერების დაცვა ასევე გულისხმობს წარმოდგენილის ვალდებულებას სათანადოდ უზრუნველყოს წარმომადგენელი უფლებამოსილებით.³⁰⁶

³⁰⁴ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 204.

³⁰⁵ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 204.

³⁰⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 125.

VI. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და მათ მიმართ არსებული პრეზუმფცია

6.1. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილებები

სამეწარმეო სამართლის სფეროში, წარმომადგენელთა უფლებამოსილებები გარკვეულ შემთხვევებში ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, ასეთია: 1. სამეწარმეო საზოგადოების დირექტორები და 2. პროკურის მფლობელები³⁰⁷.

ა) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები

დირექტორები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფიგურებს კომპანიის მართვისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის პროცესში.³⁰⁸ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლი განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს, რომელსაც წარმოადგენენ საზოგადოების დირექტორები თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ორგანული წარმომადგენლობას ემყარება, რაც განასხვავებს მას გარიგებთსამართლებრივი წარმომადგენლობისაგან.³⁰⁹ სწორედ ამიტომ, მეწარმეთა შესახებ კანონი განსხვავებულად ადგენს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სუბიექტებს კაპიტალური და ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში.³¹⁰ მესამე პირთათვის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული დირექტორი მიიჩნევა კომპანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად, რომელიც უფლებამოსილია დადოს ნებისმიერი ტიპის გარიგება, ხოლო თუ უფლებამოსილება შეზღუდულია საწარმოსა და დირექტორს შორის არსებული შეთანხმებით, მას რაიმე გავლენა ვერ ექნება მესამე პირთა უფლებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი შეზღუდვის შესახებ

³⁰⁷ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 112.

³⁰⁸ *ცერცვაძე*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, და ქართული სამართლის მაგალითზე), ქართული სამართლის ჟურნალი, 2013 (1), 257

³⁰⁹ ამასთან დაკავშირებით იხ. *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, ჟურნალი ადვოკატი, 2011, მარტი # 1, 84-86.

³¹⁰ ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში მოქმედებს საკუთარი ორგანოს კონცეფცია - ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები ეკუთვნით პარტნიორებს, ხოლო კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში პარტნიორთა ნების საფუძველზე საწარმოს წარმოადგენს მესამე პირი (უცხო ორგანოს კონცეფცია), თუმცა ამ დროსაც წარმომადგენლობა საზოგადოების მართვის ორგანოს მიერ ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით იხ. *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, ჟურნალი ადვოკატი, 2011, მარტი # 1, 86.

კონტრაქტისთვის ცნობილი იყო (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.4-ე მუხლი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე³¹¹ განმარტა: "მეწარმე სუბიექტთან გარიგების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწარმოს სახელით".

საწარმოს შესაძლოა წარმოადგენდეს ერთი (ერთპიროვნული წარმომადგენლობა) ან რამდენიმე დირექტორი. რამდენიმე დირექტორის შემთხვევაში, ისინი, შესაძლოა, მხოლოდ ერთად იყვნენ უფლებამოსილნი (ერთობლივი წარმომადგენლობა) ან მათ შორის გადანაწილებული იყოს სფეროები და ის ფარგლები, რომელშიც სამართლებრივი ქმედებების განხორციელების - გარიგებების დადების უფლებამოსილება გააჩნიათ (შერეული ან დამოუკიდებელი წარმომადგენლობა).³¹² თუმცა ამგვარი შეზღუდვა მესამე პირთათვის სამართლებრივი ძალის არმქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ან ამის შესახებ მესამე პირს პოზიტიური ცოდნა გააჩნია.³¹³ აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პოზიტიური ცოდნა, და არა უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა (ან ნებისმიერი შესაძლო ცოდნა), გამორიცხავს პირის კეთილსინდისიერებას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო იმასაც განმარტავს, რომ თავისთავად ამონაწერში ან წესდებაში დაფიქსირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც არ გულისხმობს ავტომატურად პოზიტიურ ცოდნას, რამდენადაც კეთილსინდისიერების გამოსარიცხად მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ინფორმაციის უშუალოდ ფლობა.³¹⁴ აღნიშნული გამომდინარეობს მესამე პირისა და ბრუნვის სტაბილურობის დაცვის მიზნიდან, კერძოდ, „თუ მივიჩნევთ, რომ საეჭვო შეიძლება გახდეს გარიგება, როდესაც კონტრაქტს უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, კონტრაქტი თავის დაზღვევის მიზნით, ვალდებული იქნება, ამოწმოს საზოგადოების შიდაკორპორაციული დოკუმენტები და დირექტორის

³¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #1/1/543, შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³¹² *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, *ჟურნალი ადვოკატი*, 2011, მარტი # 1, 81-82.

³¹³ *ცერცვაძე*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, ევროკავშირისა და ქართული სამართლის მაგალითზე), *სადისერტაციო ნაშრომი*, თბილისი 2015, 245

³¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #1/1/543, შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლო შემთხვევები“.³¹⁵ ამგვარ პირობებში კი საგრძნობლად და გაუმართლებლად გართულდებოდა სამოქალაქო ბრუნვა. ამრიგად, დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ამ პირობებში დადებული გარიგება ნამდვილია, რაც არ გამოირიცხავს მოთხოვნის უფლებებს შიდასამართლებრივი ურთიერთობებიდან. განსხვავებით სკ-ის 111-113-ე მუხლებისაგან, რა დროსაც, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება მერყევად ბათილია და საჭიროებს წარმოდგენილის თანხმობას, დირექტორის მიერ უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგება ნამდვილია მანამ, სანამ საზოგადოება ან პარტნიორი დერივატიული სარჩელით სადაოდ არ გახდის მას - ე.ი. სახეზეა საცილოდ ბათილი გარიგება. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ მეწარმეთა შესახებ კანონის ამგვარი მოწესრიგება ეხმიანება კონსტრუქციული/აშკარა უფლებამოსილების დოქტრინას, რაც ემყარება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს. თუკი პირი დირექტორად სათანადო წესით რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, ნიშნავს, რომ საზოგადოება კმნის ნამდვილი უფლებამოსილების პრეზუმფციას, რასაც მესამე პირთა მიმართ დამცავი ეფექტი გააჩნია.³¹⁶

ბ) პროკურა

სამეწარმეო საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობის გარდა, აქტუალურია გარიგებთსამართლებრივი წარმომადგენლობის ისეთი სახე, როგორცაა გენერალური სავაჭრო მინდობილობა - იგივე პროკურა.³¹⁷ პროკურა სამეწარმეო სამართლის ინსტიტუტია, რომელიც ეხება წარმომადგენლის უფლებამოსილებასა და მის წარმომადგენლობას მესამე პირებთან.³¹⁸ პროკურა წარმოადგენს მინდობილობის განსაკუთრებული სახეს, რომლის მოცულობა და ფარგლები ზუსტად განსაზღვრულია კანონით³¹⁹ და პირადი შეთანხმებით მისი შეცვლა დაუშვებელია.³²⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს პროკურის ფარგლებს, მისი გაცემისა და რეგისტრაციის წესს, რაც ნაკარნახევია მესამე პირთა დაცვის მიზნებით. პროკურის უფლებამოსილება

³¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #1/1/543, შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³¹⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 114.

³¹⁷ *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, *ჟურნალი ადვოკატი*, 2011, მარტი #1, 86.

³¹⁸ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 113.

³¹⁹ *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, *ჟურნალი ადვოკატი*, 2011, მარტი #1, 86.

³²⁰ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 208.

საკმაოდ ფართოა, რამდენადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირთათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის ხელმისაწვდომობა საზოგადოების კონტრაქტთა დაცულობის გარანტიას წარმოადგენს.³²¹ პროკურის შეზღუდვა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი, მაგალითად, როცა სახეზეა ერთი კონკრეტული კომპანიის სხვადასხვა ფილიალი. პროკურისტს ნებისმიერი გარიგების დადების უფლებამოსილება აქვს, ერთადერთი გამონაკლისია გარიგებების დადება უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მას დამატებითი უფლებამოსილება ესაჭიროება.³²² ვინაიდან, პროკურის მოცულობა პირდაპირ კანონით არის განსაზღვრული, მისი ფარგლების შეზღუდვა დაუშვებელია და ამგვარი შეზღუდვის პირობებში იგი სამართლებრივი ძალის მქონე ვერ იქნება მესამე პირთათვის.³²³ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-10 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ პროკურის გაცემაზე უფლებამოსილი პირი პარტნიორთა კრება ან საზოგადოების დირექტორია, ხოლო პროკურის მფლობელი (პროკურისტი) უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში (მეწარმეთა შესახებ კანონის 10.3 მუხლი), სხვაგვარად იგი მესამე პირთა მიმართ ვერ იმოქმედებს. თავის მხრივ, რეგისტრაცია არ არის უფლებამოსილების არსებობის წინაპირობა, იმისათვის, რომ არსებობდეს წარმომადგენლის უფლებამოსილება, უნდა არსებობდეს რეგისტრაცია, საჯაროობა და რეალური/ნამდვილი უფლებამოსილება.³²⁴ ამ შემთხვევებში, წარმომადგენელი უფლებამოსილია იმოქმედოს კონსტრუქციული (პრეზუმირებული) წარმომადგენლობის შესაბამისად. მთავარი წესი არის ის, რომ მესამე პირი ენდობა ნამდვილ ფაქტს და არ აქვს იმის გამოკვლევის ვალდებულება, რამდენად კანონიერია რეგისტრაცია, ხომ არ არის იგი თაღლითობის შედეგი ან ხომ არ არსებობს რაიმე ხარვეზი.³²⁵ თუ რეგისტრირებულ პროკურისტს აქვს უფლებამოსილება, წარმოდგენილი სამეწარმეო საზოგადოება მესამე პირის მიმართ ვალდებული იქნება რეგისტრაციის შინაარსის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ თუ პრეზუმირებული უფლებამოსილება გამომდინარეობს რეგისტრაციიდან, თუმცა წარმომადგენელს არ გააჩნია იგი, მესამე პირს შეუძლია აირჩიოს, გამოიყენოს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ მოქმედი ნორმების გამოყენება თუ მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული წესი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.³²⁶ პროკურის გაუქმებისთვის აუცილებელია მის საფუძვლად არსებული მინდობილობის დოკუმენტის გაუქმება და შესაბამისი ცვლილების შეტანა სამეწარმეო რეესტრში, რაც ასევე განპირობებულია მესამე

³²¹ სუს 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-310-294-2011.

³²² *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 113.

³²³ *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, ჟურნალი ადვოკატი, 2011, მარტი #1, 86.

³²⁴ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 113.

³²⁵ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 113.

³²⁶ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 113.

პირთა დაცვის მიზნებით.³²⁷ თუ პროკურა გაუქმებული, თუმცა სამეწარმეო რეესტრში კვლავ რეგისტრირებული იქნება, გამოიყენება კონსტრუქციული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ არსებული წესები.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მესამე პირისთვის, რომელიც პროკურისტის მეშვეობით დებს გარიგებას, ზუსტად განსაზღვრული და ეჭვგარეშეა, რომ პირი ნამდვილად წარმომადგენს საზოგადოებას. ამგვარ ვითარებაში პროკურა იცავს ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას, ხოლო მესამე პირთა მიმართ ასრულებს შეტყობინებისა და გაფრთხილების ფუნქციას.³²⁸

6.2. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის მიმართება მინდობილობის ნამდვილობის ვარაუდთან

რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას (სკ-ის 312-ე მუხლი) მესამე პირთა დაცვის მიზანი აქვს, რომელთაც არ ევალებათ და არც შეიძლება მოეთხოვებოდეთ იმის ცოდნა - რეესტრში არსებული მონაცემი შესაბამისი წესების დაცვით არის თუ არა რეგისტრირებული ან მისი საფუძველი რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხომ არ არის.³²⁹ ბუნებრივია, პრეზუმფციის დაცვის მიზანი აღარ არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც პირმა იცის რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ. ამდენად, ნამდვილობის პრეზუმფცია იცავს უძრავი ნივთის იმ კეთილსინდისიერ შემძენს, რომელიც ენდო რეესტრში არსებულ ჩანაწერს³³⁰ და შეიძინა ნივთი. აღსანიშნავია, რომ პრეზუმფცია არ მოიცავს განკარგვისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს (გარდა ისეთისა, რომელიც რეესტრშია რეგისტრირებული). საჯარო რეესტრის მიმართ ნდობა ასევე არ ვრცელდება რეგისტრირებული და გამსხვისებელი პირის იდენტირობის ვარაუდზე.³³¹ საჯარო რეესტრის პრეზუმფცია ძალას იძენს იმ მომენტიდან, როდესაც დარეგისტრირდება არამესაკუთრე პირი (ან თუნდაც მესაკუთრე), ხოლო ყალბი დოკუმენტაცია, მათ შორის ყალბი მინდობილობა, არ ექცევა რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის ქვეშ,³³² რადგან პირი ცდება არა რეგისტრირებული პირის ვინაობაში, არამედ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდში, რის მიმართაც მოქმედებს სკ-ის 103-114-ე მუხლები. თუ მესამე პირი კეთილსინდისიერად ენდობა ყალბ მინდობილობას ან უფლებამოსილების გარეშე

³²⁷ *ყანდაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, *ჟურნალი ადვოკატი*, 2011, მარტი # 87.

³²⁸ *Muller-Freientfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 209.

³²⁹ შდრ. სუს 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-189-182-2013.

³³⁰ აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრეზუმფცია მოქმედებს მაშინაც, როცა მესამე პირი არც ამოწმებს ჩანაწერს, თუმცა ფაქტობრივი გამსხვისებელი რეესტრში რეგისტრირებული პირია.

³³¹ *რუსიაშვილი/სირდაძე/ევნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 327

³³² *რუსიაშვილი/სირდაძე/ევნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 327.

მოქმედი წარმომადგენლის ქმედებებს, მას ვერ დაიცავს საჯარო რეესტრის მიმართ არსებული პრეზუმფცია,³³³ თუმცა, შესაძლოა, მისი ნდობა და ლეგიტიმური მოლოდინები დაცული იყოს სკ-ის 104-ე მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი პირი ხელშეკრულების შესრულებაზე ვალდებულია მაშინაც, როცა, მართალია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მას წარმომადგენლისთვის არ მიუნიჭებია, თუმცა იმგვარი გარემოებები შექმნა, რომ მესამე პირს კეთილსინდისიერად ეგონა ამ უფლებამოსილების უნაკლობისა და შეუზღუდაობის შესახებ. თუმცა, ყალბი მინდობილობის შემთხვევაში, მეტად საეჭვოა თუ როგორ უნდა შექმნას წარმოდგენილმა უფლებამოსილების ლეგიტიმაცია და მისი ნამდვილობის ვარაუდი. ამრიგად, მესამე პირს სკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებები რჩება, ხოლო კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი მას ვერ დაიცავს.

6.3. მოძრავი ნივთს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია და წარმომადგებლობითი უფლებამოსილებისადმი ნდობა

ზემოთგანვითარებული მსჯელობა უნდა გავრცელდეს ასევე მოძრავი ნივთის შემთხვევაში მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციაზეც (სკ-ის 158-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ. თუ, პირმა იცის, რომ მფლობელი მესაკუთრე არაა და კეთილსინდისიერად ენდობა მხოლოდ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ბუნებრივია იგი დაცული ვერ იქნება სკ-ის 187-ე მუხლის საფუძველზე და ვერ მიიღებს კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსს, ვინაიდან, შემძენის კეთილსინდისიერება უნდა არსებობდეს მესაკუთრისა და მფლობელის იდენტურობის ვარაუდზე და არა უფლებამოსილების ნამდვილობის მიმართ.³³⁴ ამის მიუხედავად, სკ-ის 104-ე მუხლი აქაც აქტუალური რჩება, ვინაიდან, შესაძლოა სახეზე არ იყოს უფლებამოსილების მინიჭება, თუმცა არსებობდეს აშკარა უფლებამოსილების ან თმენითი და მოჩვენებითი წარმომადგენლობის შემთხვევა,³³⁵ რაც მესაკუთრეს წაართმევს გარიგების უარყოფის უფლებას.

³³³ ამასთან დაკავშირებით იხ. სუს 2007 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე # ას-452-843-06; სუს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე # ას-203-622-06; სუს 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-595-554-2017. სუს 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-813-764-2015.

³³⁴ *რუსიაშვილი/სირდაძე/ევნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 185.

³³⁵ იხ. *რუსიაშვილი/სირდაძე/ევნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 185. შდრ. სუს 2002 წლის 9 სექტემბერი გადაწყვეტილება საქმეზე # 3კ-624-02.

6.4. სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის ნამდვილობის პრეზუმფციის გონივრულობა მესამე პირთა დაცვის კონტექსტში

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის ნამდვილობის პრეზუმფციის საკითხი ერთგვარ კამათის საგნად იქცა, რისი მიზეზიც უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება³³⁶ გახდა, რომელშიც განიმარტა: „სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას: სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი“. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით გამოითქვა კრიტიკა, რომელიც ჟღერს ასე: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მართლაც არ იცნობს „სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას“ ისევე როგორც არ იცნობს ბევრ ისეთ ნორმას, რომელსაც უნდა იცნობდეს, მაგრამ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას არ იცნობს არცერთი განვითარებული სამართლის მქონე ქვეყნების სამოქალაქო კოდექსი, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისასგან განსხვავებით ამ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები (ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსები) იცნობს საჯარო (ოფიციალური) დოკუმენტის ცნებასა და ამგვარი საჯარო (ოფიციალური) დოკუმენტის ნამდვილობისა და კანონიერების პრეზუმფციას. ცხადია, საჯარო აქტის ნამდვილობისა და კანონიერების პრეზუმფცია მოიცავს რწმუნებულების მინიჭების შესახებ სანოტარო აქტის „სისწორისა და უტყუარობის“ პრეზუმფციასაც“.³³⁷

აღსანიშნავია, რომ ის, რომ რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ოფიციალური დოკუმენტის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას იცნობს, იმთავითვე არ გულისხმობს მის ქართულ რეალობაში გადმოტანის გონივრულობას. ამასთან, კანონმდებელმა მესამე პირთა დაცვის მექანიზმად და მასზე შესაბამისი გარანტიების გაცემად მხოლოდ რეესტრის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია მიიჩნია. ის ფილტრი და გარანტიები, რაც ამათუიმ ინსტიტუტმა უნდა მიიღოს მაღალი ლეგიტიმაციისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის საგანია. ბუნებრივია, სასამართლოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევაში გარემოებათა და მტკიცებულებათა გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ესათუის პრეზუმფცია,³³⁸ თუმცა მას ამის

³³⁶ სუს 2002 წლის 9 სექტემბერი გადაწყვეტილება საქმეზე # 3კ-624-02.

³³⁷ ზოიძე *ო.*, *ჭეჭელაშვილი*, კომენტარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი 2004, 177.

³³⁸ მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/4686-13, განმარტა, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგების მიმართ კანონშესაბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმფცია მოქედებს, აღნიშნული პრეზუმფცია კი შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი

გაკეთება მხოლოდ მტკიცების ტვირთის განაწილების³³⁹ თვალსაზრისით შეუძლია და არა მესამე პირთა დამცავი პრეზუმფციის შექმნით, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. სანოტარო აქტის მიმართ ნამდვილობის პრეზუმფციის დაშვებით შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ მესამე პირთა ნდობა იმაზე მეტად იქნება დაცული, ვიდრე ამის საჭიროება არსებობს და ამასთან ამგვარი წესი მნიშვნელოვნად ხელყოფს წარმომადგენლობაში არსებულ სამმხრივ ურთიერთობაში ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას. უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის ქმედებების ნამდვილობისთვის მოწონება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში არაა საჭირო, როდესაც სახეზე კონსტრუქციული (თმენითი და მოჩვენებითი) წარმომადგენლობაა ან წარმოდგენილმა მესამე პირის მიმართ თავისი ქმედებებით აშკარა უფლებამოსილების ლეგიტიმაცია შექმნა. სხვა ყველა შემთხვევაში წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადება იმ პირობებში, როცა მესამე პირის ნდობის გამოწვევაზე წარმოდგენილს არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, წინააღმდეგობაში მოდის, როგორც წარმომადგენლობის ინსტიტუტთან, ისე ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპთან. ამასთან, მესამე პირს რჩება სკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებები, რომელიც განპირობებულია წარმომადგენლის ქმედებებისადმი ნდობით. მესამე პირთა დაცვის მიზანი გამოიხატება იმაში, რომ პირი, ვისაც ეკუთვნის სამართლებრივი პოზიციები (წარმოდგენილი), უნდა მოქმედებდეს იმგვარად, რომ მესამე პირს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეუქმნას უფლებამოსილების ნამდვილობის ვარაუდი იქ, სადაც ამგვარი უფლებამოსილება არ არსებობს ან როცა უფლებამოსილების ფარგლები წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის არსებული შიდა ურთიერთობით სხვაგვარადაა განსაზღვრული, რაზეც მესამე პირს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს წვდომა.³⁴⁰ ხოლო, ისეთ შემთხვევაში, როცა პირი სხვისი სახელით მოქმედებს, ამ უკანასკნელმა კი არ იცის და არც შეიძლება იცოდეს ამგვარი ქმედების შესახებ, გაუმართლებელია არსებობდეს მესამე პირთა დაცვის მიზანი. შესაძლოა კონტრარგუმენტი იყოს რეესტრის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია, რომელიც ასევე იცავს კეთილსინდისიერ მესამე პირს - კეთილსინდისიერ შემძენს³⁴¹ და მიღმა ტოვებს ასევე ისეთ პირს, რომელმაც არ იცის საკუთრების დაკარგვის შესახებ. ერთი შეხედვით მსგავს კოლიზიურ მდგომარეობაში ერთი მნიშვნელოვანი დეტალია - საჯარო რეესტრი ყველასთვის ხელმისაწვდომია და პირისთვის, რომელსაც სათანადო წესით

ბრუნდება. აღნიშნულიდან კარგად ჩანს სასამართლოს როლი პრეზუმფციების განსაზღვრასა და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესში. გადაწყვეტილება შესაძლოა ხარვეზიანი იყოს ამგვარი პრეზუმფციის დადგენის თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნული სცილდება წინამდებარე ნაშრომის თემატიკას.

³³⁹ *North*, Presumption Rules Try to Indicate if Fact Can, Should Be Inferred, 53 Neb. L. Rev. (1974), 349-353; *Hall B.*, "Practitioners' Notes: Evidentiary Presumptions" (1998). Journal Articles. 1323-1325. *Yablon*, A theory of presumptions, Law, Probability and Risk 2003 (2), 228-229.

³⁴⁰ *Muller-Freienfels*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. 193 (1964), 199.

³⁴¹ შდრ: სუს 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-189-182-2013.

რეგისტრირებული აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, უფრო მარტივია სამართლებრივი პოზიციების გადამოწმება, ვიდრე სანოტარო აქტის შემთხვევაში, რომელიც მართალია სანოტარო აქტების რეესტრში³⁴² რეგისტრირდება - იგი ყველასთვის თანაბრად არაა ხელმისაწვდომი, რამდენადაც მას მინიჭებული აქვს ინდივიდუალური რეგისტრაციის ნომერი და მესამე პირთათვის მათი არცოდნის შემთხვევაში მოკლებულია სანოტარო აქტის გაცნობის შესაძლებლობას. ამასთან, ფიზიკურად შეუძლებელია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილემ თითოეულ მის მოძრავ (ან თუნდაც უძრავ) ნივთზე ამოწმოს, ხომ არ არის გაცემული მინდობილობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდობილობის უტყუარობის პრეზუმფციის მხარდამჭერთა არგუმენტი არცთუისე მყარია და, ამასთან, დღესდღეობით მისი ქართულ რეალობაში დამკვიდრება რთულად აღსაქმელია.

VII. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა

7.1. ზოგადი საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის ზუსტად განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელთა შინაარსის ზუსტად დადგენასა და განმარტებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლისა და მესამე პირთა ინტერესების დაცვის კონტექსტში. განსხვავებით ქართული მოწესრიგებისაგან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 168-ე პარაგრაფი დეტალურად არ ჩამოთვლის უფლებამოსილების გაუქმების საფუძვლებს, არამედ მისი გაუქმება დამოკიდებულია თავად მინდობილობის შინაარსზე ან სხვა საფუძვლებზე,³⁴³ როგორცაა: 1. ძირითადი ურთიერთობის შეწყვეტა; 2. მინდობილობის მოქმედების ვადის გასვლა და 3. უფლებამოსილების გაუქმების პირობა.³⁴⁴ აღსანიშნავია, რომ მინდობილობა უნდა გაუქმდეს იმავე წესით, რითაც იგი გაიცა - ე.ი. თუ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ განცხადება გაკეთდა მესამე პირის ან წარმომადგენლის მიმართ, მისი გაუქმებაც ამ ფორმით უნდა მოხდეს, სხვაგვარად გაუქმების ნება სამართლებრივი ძალის მქონე არ იქნება.³⁴⁵ ასეთივე წესი ვრცელდება ქართულ სამართალშიც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი ამგვარ პირობას პირდაპირ არ ითვალისწინებს, იგი გამომდინარეობს სკ-ის 107-ე და 108-ე მუხლებიდან და წარმომადგენლობის ზოგადი პრინციპებიდან.

³⁴² <https://notary.reestri.gov.ge/public/> (12.06.2019).

³⁴³ *ერეკანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 35.

³⁴⁴ *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 87. ასევე იხ. *Markesinis, Unberath, Johnston*, The german law of contract a comparative treatise, 116.

³⁴⁵ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 111.

ქართული სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 170-ე პარაგრაფისა და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მსგავსად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტისათვის გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, მაგალითად, როცა მესამე პირმა იცის, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადითაა გაცემული და რეალურად არ იცის, რომ ამგვარი უფლებამოსილება შეწყდა, ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლის მოქმედება მხოლოდ ძალის იქნება წარმოდგენილი პირის მიმართ³⁴⁶ და ვალდებულება კონსტრუქციული უფლებამოსილების საფუძველზე, მოჩვენებითი ძალით წარმოიშობა.³⁴⁷

საქმეზე *Waugh v. H.B Clifford*,³⁴⁸ ადვოკატს, ჰქონდა ნაგულისხმევი/ნავარაუდები წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მოწინააღმდეგე მხარესთან დავა მორიგებით დაესრულებინა. როდესაც ადვოკატმა მეორე მხარისაგან გარკვეული სახის შეთავაზება მიიღო, ამის შესახებ აცნობა თავის კლიენტს და ჰკითხა, რამდენად მისაღები იყო პირობა და, შესაბამისად, იყო თუ არა თანახმა. კლიენტმა მას გაუგზავნა შეტყობინება უფლებამოსილების გაუქმებისა და შემოთავაზების უარყოფის შესახებ. შეტყობინება ადვოკატამდე არ მისულა, რომელიც თავის მხრივ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე დაეთანხმა წინადადებას. ვინაიდან, მეორე მხარემ არაფერი იცოდა უფლებამოსილების გაუქმების შესახებ, ხოლო ადვოკატს კი წარმოდგენილის განცხადების საფუძველზე აშკარა უფლებამოსილება გააჩნდა, დაიდო ნამდვილი ხელშეკრულება - კლიენტის მიმართ განხორციელდა სახელშეკრულებო ბოჭვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ცხადყოფს უფლებამოსილების გაუქმების შესახებ განცხადების მნიშვნელობას და მისი მოქმედების ფარგლებს კეთილსინდისიერ მესამე პირთა მიმართ.

ჟენევის კონვენცია განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველებს. ვინაიდან, კონვენცია საერთაშორისო აქტია, იგი ერთგვარი შემაჯამებელი დოკუმენტია ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების პრობლემების გადაჭრის გზებისა,³⁴⁹ რის გამოც მოხმობა გონივრულია. კონვენციის მე-17 მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველებს, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილების შეწყვეტა დამოკიდებულია პრინციპალსა და აგენტს შორის დადებულ შეთანხმებაზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა დამოკიდებულია შიდა

³⁴⁶ *Beale, Hartkamp, Kötz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 933*

³⁴⁷ *მასურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 266.*

³⁴⁸ [1982] Ch. 374, ციტ: *Beale, Hartkamp, Kötz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 933*

³⁴⁹ *Beale, Hartkamp, Kotz, Tallon, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, 914*, აქ საუბარია იმაზე, რომ ჟენევის კონვენცია საერთო სამართლის უფრო ფართო მიდგომას განამტკიცებს, თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონვენციაში გვხვდება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არარეითი მიდგომა.

ურთიერთობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-19 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ შეწყვეტას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მესამე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ იციან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტა მისასაღმებელია იმდენად, რამდენადაც თუ შიდა ურთიერთობა შეწყდა, აღარ არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საჭიროება, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრინციპალსა და აგენტს სხვა წესის გათვალისწინებაც შეუძლიათ, მათ შორის იმის, რომ შიდა ურთიერთობის შეწყვეტა არ იწვევს უფლებამოსილების გაუქმებას/გაქარწყლებას. ამგვარი შეთანხმება, როგორც ორმხრივი აქტი, მხოლოდ ორ პირს - წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის მოქმედებს და მესამე პირებს მხოლოდ იმდენად ეხება, რამდენადაც ისინი ამ ფაქტის შესახებ ინფორმირებულნი არიან. ამგვარად, ორმხრივი და ცალმხრივი აქტების გამიჯვნის შედეგად მესამე პირები დაცულნი არიან, ხოლო არაინფორმირებულობისა და შესაბამისი ზომების არმიღების გამო დამდგარი შედეგები მხარეებმა (წარმომადგენელმა და წარმოდგენილმა) უნდა იტვირთონ.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის არსებულ შიდა ურთიერთობას განეკუთვნება და შესაბამისი წესები ვრცელდება.³⁵⁰ მიუხედავად იმისა, უფლებამოსილება შეწყვეტილია თუ შეზღუდული, მესამე პირებისთვის იგი მაინც გრძელდება, ძალის მქონეა, მანამ, სანამ მათთვის ცნობილი არ გახდება ან გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავიდანვე უნდა სცოდნოდათ უფლებამოსილების გაუქმების შესახებ. აღნიშნული გამომდინარეობს აშკარა/კონსტრუქციული უფლებამოსილებიდან, რომელიც მესამე პირებს უქმნის იმის ლეგიტიმურ ვარაუდს, რომ წარმომადგენლობით უფლებამოსილება რეალურად არსებობს.³⁵¹

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის 6:112-ე მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელშიც მითითება კვლავ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მესამე პირის პოზიტიურ ცოდნაზეა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეზღუდვის შემთხვევებში. მესამე პირმა, რომელმაც იცის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე, შესაძლოა, საერთოდ არ იცოდეს ამ უფლებამოსილების შეწყვეტის/შეზღუდვის შესახებ, ან სულაც, შესაძლებელია, რომ უფლებამოსილების შეწყვეტა/შეზღუდვა გამორიცხული ან აკრძალული იყოს თავად წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმებით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლოა იმდენად უეცარი იყოს, რომ პრინციპალს არ ჰქონდეს საკმარისი დრო ცვლილებისთვის. ამგვარად, წინამდებარე ნორმის მიზნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს რა არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზი, თავის მხრივ, მიზეზი

³⁵⁰ DCFR, 473

³⁵¹ DCFR, 473

შესაძლოა იყოს, მაგალითად, უფლებამოსილების გადაცემის ბათილობა, უფლებამოსილების ვადის გასვლა ან წარმოდგენილის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტა/შეზღუდვა. ასეთ შემთხვევებში მესამე პირებისა და წარმოდგენილი პირის ინტერესთა დაცვის მიზნით, გამართლებულია გარკვეული ვადით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაგრძელება.

7.2. წერილობით გაცემული მინდობილობის გაუქმების/შეწყვეტის წესი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლი (ანალოგიური წესია გსკ-ის 175-ე პარაგრაფში) განსაზღვრავს უფლებამოსილების გაქარწყლების³⁵² შემდეგ საბუთის უკან დაბრუნების უფლებამოსილებას.³⁵³ ამ ნორმის მიზანი მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების პრევენციაა.³⁵⁴ როდესაც უფლებამოსილება რაიმე საფუძვლით წყდება, დოკუმენტის წარმომადგენელთან დატოვება ქმნის მისი გამოყენების საფრთხეს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილმა უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სავარაუდო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებისთვის. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ, მიუხედავად უფლებამოსილების გაქარწყლებისა, მინდობილობის დოკუმენტი დარჩება წარმომადგენელთან. ამ კითხვაზე გერმანული სამოქალაქო კოდექსი, ქართულისაგან განსხვავებით, პირდაპირ პასუხობს, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შენარჩუნდება მანამ, სანამ მინდობილობის დოკუმენტი წარმოდგენილ პირს არ დაუბრუნდება ან ძალადაკარგულად არ გამოცხადდება (გსკ-ის 172 (2)-ე პარაგრაფი). ამგვარი წესი კონსტრუქციულ წარმომადგენლობით უფლებამოსილებათა კატეგორიას განეკუთვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილება გრძელდება მიუხედავად მის საფუძვლად არსებული ურთიერთობის დასრულებისა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ აღარ არის სამართლებრივი ძალის მქონე თუ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მისი გაქარწყლების შესახებ.³⁵⁵ მიუხედავად ამგვარი წესის არქონისა, მისი გაზიარება მიზანშეწონილია ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც, რამდენადაც სხვაგვარად შეუძლებელია სკ-ის 112-ე მუხლის მიზნების უზრუნველყოფა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ საბუთის დაბრუნების ვალდებულება გააჩნია წარმომადგენელს, თავის მხრივ, წარმოდგენილსაც გააჩნია საბუთის მოთხოვნის არა

³⁵² გაქარწყლებაში მოიაზრება ნებისმიერი საფუძველი, რომელიც უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს სკ-ის 109-ე მუხლის საფუძველზე.

³⁵³ უფლებამოსილების ნაცვლად უნდა ეწეროს ვალდებულება, რამდენადაც ნორმის მეორე წინადადებაში აღნიშნულია, რომ საბუთის დატოვების უფლება მას არ აქვს, რაც მოწმობს მისი დაბრუნების უპირობო ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 411.

³⁵⁴ *ჯორბენაძე/ვაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 112, 1-ლი ველი, 625.

³⁵⁵ *Schmidt-kessel, Baide*, The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, 112.

უფლება, არამედ ვალდებულება. წარმოდგენილი პირი ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს მის დასაბრუნებლად. მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საბუთის გადმოცემის მოთხოვნით. გსკ-ის 176-ე პარაგრაფი პირდაპირ ითვალისწინებს მინდობილობის დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობას, რისი ქართულ სამოქალაქო კოდექსში გადმოტანა ასევე სასარგებლო იქნებოდა როგორც წარმოდგენილის, ისე მესამე პირთა ინტერესთა დაცვის თვალსაზრისით.

ვინაიდან საბუთის არსებობა (მიუხედავად წარმოდგენილის ნებისა) და მისი დაუბრუნებლობა მესამე პირთათვის ქმნის ნამდვილი უფლებამოსილების ვარაუდს, რაც ნამდვილი გარიგების საფუძველია, წარმოდგენილს ართმევს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მას შეუძლია ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი მოსთხოვის წარმომადგენელს, როგორც დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე,³⁵⁶ ისე სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

7.3. გარდაცვალება, როგორც მინდობილობის შეწყვეტის საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია გარდაცვალება. საკითხის ამგვარი მოწესრიგება გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს, როგორც, მესამე პირთა, ისე წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვის კონტექსტში, ვინაიდან, თუ მინდობილობის დოკუმენტი გარდაცვალებით შეწყდება, გამოდის, რომ მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებები მესამე პირთა მიმართ ვერც სამართლებრივი ძალის მქონე იქნება,³⁵⁷ ხოლო მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაგრძელებას, შესაძლოა, ჰქონდეს წარმოდგენილისა და მისი მემკვიდრეების ინტერესთა დაცვის მიზანი,³⁵⁸ მისი ავტომატური შეწყვეტა კი აბრკოლებდეს ამ ინტერესთა უზრუნველყოფას.

ა) წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური შეწყვეტის კრიტიკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა იმგვარადაა ფორმულირებული, რომ რთულია მასში იმის ამოკითხვა, რომ გარდაცვალებით მინდობილობის შეწყვეტა მესამე პირების მიმართ გარკვეულ შემთხვევებში არ მოქმედებს.³⁵⁹ აღსანიშნავია, რომ

³⁵⁶ *ჯორბენაძე/გაწერელია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 112, მე-6 ველი, 626.

³⁵⁷ ამგვარად განმარტავს საკასაციო პალატა წარმომადგენილი პირის გარდაცვალების შემდეგ დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, იხ. სუს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას 39-486-06.

³⁵⁸ DCFR, 474

³⁵⁹ შდრ. DCFR, 475,

არც სასამართლო პრაქტიკა განმარტავს ნორმას იმ მიმართულებით, რომელიც მესამე პირთა ინტერესებს დაიცავდა.³⁶⁰ ამგვარად, ერთი მხრივ, ქართული სამოქალაქო კოდექსის მოწესრიგება ხარვეზიანია იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებული არაა წარმომადგენლობის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი მესამე პირთა დაცვის პრინციპი და უგულებელყოფილია ლაზანდის თეორიის დანიშნულება, ხოლო, მეორე მხრივ, კი საკანონმდებლო ხარვეზს არც სასამართლო ასწორებს განმარტების გზით. მოხმობილ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ გარდაცვლილის სახელით გარიგების დადება დაუშვებელი იყო, ვინაიდან მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება.³⁶¹ კრიტიკის ღირსია სასამართლო იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხისტად მიყვება სკ-ის 109-ე მუხლით დადგენილ წესს და არ განმარტავს მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პრინციპების შესაბამისად. სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა წარმოდგენილი პირის გარდაცვალების ფაქტზე, არამედ მესამე პირის მიერ ამ ფაქტის რეალურ ცოდნაზე. სხვაგვარად მესამე პირთა დაცვის მიზანი უგულებელყოფილი იქნება.

აღნიშნული პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით კარგად ჩანს დავალების ხელშეკრულების მაგალითზე, რომელიც დავალების ხელშეკრულების გაგრძელებას გარდაცვალების შემდეგაც ითვალისწინებს (სკ-ის 721-ე მუხლი).³⁶² რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მინდობილობის გაცემას საფუძვლად დავალების ხელშეკრულება უდევს. მართალია, შიდა და გარე ურთიერთობა აბსტრაქტულია, თუმცა, რიგორც უკვე აღინიშნა აბსტრაქციის მიზანი მესამე პირთა დაცვაა. თუ დავალების ხელშეკრულება მარწმუნებელის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდება, ხოლო მინდობილობა შეწყდება, გაუგებარია, როგორ შეიძლება განხორციელდეს დავალებით ნაკისრი ვალდებულებები რწმუნებულებითი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში, თუ რწმუნებულის უფლება-მოვალეობებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ დავალების ხელშეკრულების მიზანი მინდობილობის გარეშე განუხორციელებელი დარჩება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური შეწყვეტა ხშირად წარმოდგენილი პირის ინტერესებსაც აზარალებს.³⁶³ მაგალითად, ევროპული კერძო სამართლის მოდელური წესების 6:112-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პრინციპალის ინტერესების დაცვის მიზნით გონვრული ვადით უნდა გაგრძელდეს.³⁶⁴

³⁶⁰ იხ. სუს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება # ას 39-486-06.

³⁶¹ იხ. სუს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება # ას 39-486-06.

³⁶² შდრ: ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 107, 291. ავტორი საუბრობს წარმოდგენილის პირის გარდაცვალების შედეგად მინდობილობის ავტომატური შეწყვეტისაგან გამონაკლისზე - ე.ი. თუ მინდობილობას საფუძვლად დავალების ხელშეკრულება უდევს, მაშინ წარმოდგენილის გარდაცვალების მიუხედავად, რწმუნებულმა უნდა განაგრძოს მოქმედებათა განხორციელება მარწმუნებლის ინტერესებში.

³⁶³ ამასთან დაკავშირებით იხ. DCFR, 474

³⁶⁴ DCFR, 475, შდრ. *Koib*, Indiana Power of Attorney Act, 25 Ind. L. Rev. 1348, საუბარია ინდიანას შტატის მინდობილობის შესახებ აქტზე, რომელიც საერთო სამართლის მანამდე არსებული წესისგან

ამგვარად, სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი, რომ მინდობილობა გარდაცვალებით უპირობოდ წყდება, სხვადასხვა სირთულეს წარმოქმნის. პრობლემა და მესამე პირთა ინტერესის დაცვის საჭიროება განსაკუთრებით კარგად ჩანს წერილობით გაცემული მინდობილობის მაგალითზე,³⁶⁵ რომელსაც თავისი მოქმედების ვადა (ან განუსაზღვრელი ვადა) გააჩნია. მესამე პირის ნდობა ნამდვილი ვადიანი მინდობილობისადმი, რომელიც ქმნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ლეგიტიმაციას, დაცვის ღირსია და იგი არ უნდა გაუტოლდეს იმ შემთხვევას, როდესაც მინდობილობის დოკუმენტი ყალბია ან რწმუნებულებითი უფლებამოსილება საერთოდ არც არასოდეს ყოფილა, რა დროსაც წარმოიშობა გარიგების მერყევად ბათილობის მდგომარეობა.

ამ თვალსაზრისით მისასალმებელია გერმანული მოწესრიგება, რომელიც პირდაპირ მითითებას არ აკეთებს იმასთან დაკავშირებით, გარდაცვალებით წყდება თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.³⁶⁶ თუმცა, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წყდება მის საფუძვლად არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, გამოიყენება გსკ-ის 169-ე პარაგრაფი, რომელიც თავის მხრივ მითითებას აკეთებს გსკ-ის 662-ე, 705-ე და მის შემდგომ პარაგრაფებზე. ხსენებული ნორმების მიხედვით კი ამ სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტა დამოკიდებულია იმაზე არსებობს თუ არა მისი გაგრძელების ფიქცია ან მენეჯერული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა.³⁶⁷ უფლებამოსილების გაგრძელების ფიქცია ნიშნავს იმას, რომ დავალება ან მენეჯერული უფლებამოსილებები გაგრძელებულია მანამ, სანამ წარმომადგენელი შეიტყობს ან უნდა შეეტყო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. გაგრძელების ფიქცია იცავს როგორც წარმომადგენლის, ისე მესამე პირის ინტერესებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი უფლებამოსილება პრეზუმირებულია და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა თუ მესამე პირმა არ იცის და არც შეეძლო სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ.³⁶⁸

ბ) მესამე პირის პოზიტიური ცოდნა

გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური შეწყვეტა არ გამოირიცხება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმოდგენილი პირის გარდაცვალების შესახებ, ვინაიდან, ასეთ ვითარებაში არ არსებობს მესამე პირთა დაცვის ინტერესი.

განსხვავებით განსაზღვრავს მინდობილობის მოქმედების გაგრძელებას პრინციპალის გარდაცვალების შემდგომაც, მანამ, სანამ მესამე პირი არ გაიგებს აღნიშნული ფაქტის შესახებ.

³⁶⁵ *Bos*, *The Durable Power of Attorney*, 2 Mich prob & Tr LJ 73 (1983), 75.

³⁶⁶ *Markesinis, Unberath, Johnston*, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, 118.

³⁶⁷ *Schmidt-kessel, Baide*, *The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 110.

³⁶⁸ *Schmidt-kessel, Baide*, *The unauthorised agent, perspectives from European and comparative law*, 111.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, როგორც წესი, წარმომადგენლის უფლებამოსილება, სახელშეკრულებო ბოჭვაში მოაქციოს პრინციპალი ან მისი ქონება, არსებობს წარმოდგენილი პირის გარდაცვალების შემდეგაც მანამ, სანამ მესამე პირი არ შეიტყობს პრინციპალის გარდაცვალების ან მისი ქმედუნარიანობის ნაკლის შესახებ.³⁶⁹

ჟენევის კონვენციის მე-17 მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელშიც გარდაცვალება მითითებული არაა, თუმცა აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ უფლებამოსილების შეწყვეტა დამოკიდებულია პრინციპალსა და აგენტს შორის დადებულ შეთანხმებაზე. თუმცა კონვენციის მე-19 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მესამე პირთათვის ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ იციან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 3:209-ე მუხლის მიხედვით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაგრძელდება მანამ, სანამ მესამე პირი არ შეიტყობს ან უნდა შეეტყო, რომ შეწყდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შეწყვეტის საფუძვლად მოაზრებულია ასევე წარმოდგენილი პირის გარდაცვალების ფაქტის შესახებ ცოდნა.

ევროპული სახელშეკრულებო პრინციპების ხსენებული ნორმები ეხმიანება მესამე პირთა დაცვის მიზანს, რომლის მიხედვითაც გარდაცვალებით უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგები მხოლოდ წარმომადგენელი-წარმოდგენილი პირის ურთიერთობას ეხება და ისიც იმ პირობებში, როდესაც მესამე პირისთვის ცნობილი არ არის პირის გარდაცვალების ფაქტი.

საინტერესოა, რომ წარმომადგენლის მიერ პრინციპალის გარდაცვალების შესახებ ცოდნაზე აღნიშნული აქტი მითითებას არ აკეთებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით წარმომადგენელი უკეთესადაა დაცული ჟენევის კონვენციით, რომელიც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს არამხოლოდ მესამე პირის, არამედ თავად წარმომადგენლის რეალურ (პოზიტიურ) ცოდნასაც.

გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური და უპირობო შეწყვეტის წინააღმდეგ მიდგომა ასევე განვითარდა ანგლო-ამერიკულ სამართალშიც. მინდობილობის შესახებ ინდიანას შტატის აქტის მიხედვით წარმომადგენლის მიერ პრინციპალის გარდაცვალების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არცოდნის შემთხვევაში მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა დამდგარი ზიანის გამო.³⁷⁰ მიჩიგანის სამოქალაქო კოდექსი/სტატუტი თავდაპირველად მისდევდა საერთო სამართლისთვის დამახასიათებელ წესს, რომ გარდაცვალებით მინდობილობა წყდება, თუმცა რედაქტირებულ ვარიანტში განისაზღვრა, რომ პრინციპალის გარდაცვალებით მინდობილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეყდება და არ იქნება

³⁶⁹ *Bos*, *The Durable Power of Attorney*, 2 *Mich prob & Tr LJ* 73 (1983), 74.

³⁷⁰ *Kolb*, *Indiana Power of Attorney Act*, 25 *Ind. L. Rev.* 1354

ძალის მქონე, თუ გარდაცვალების ფაქტის შესახებ ეცნობა თავად აგენტს ან პოზიტიური ცოდნა აქვს მესამე პირს.³⁷¹ თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი წესი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაცემულ მინდობილობაზე,³⁷² რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მინდობილობის მოქმედების ვადებს და ქმნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ლეგიტიმაციას. ინგლისურ სამართალში, პრინციპალის გარდაცვალებით, როგორც წესი, მინდობილობა წყდება, გარდა ისეთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა, რომელიც წარმომადგენლის ინტერესებსაც ემსახურება.³⁷³

გ) გარდაცვლილი პირის ნების გამოვლენის პრობლემა

უფლებამოსილების მინიჭება (მინდობილობის გაცემა), როგორც არაერთხელ ითქვა, ცალმხრივი გარიგებაა, ე.ი სახეზეა წარმოდგენილის პირის ცალმხრივი ნების გამოვლენა. სსკ-ის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან იმ შემთხვევამ, როცა წარმომადგენელი გახდა მხარდამჭერის მიმღები ან შეზღუდული ქმედუნარიანი.³⁷⁴ სიტყვა „შეიძლება“ თავის თავში მოიაზრებს იმ შემთხვევასაც, როდესაც შესაძლებელია გარდაცვალებამ გავლენა მოახდინოს ნების გამოვლენის შედეგებზე, თუმცა ეს უნდა გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად დააზიანებს როგორც ნების გამომვლენის, ისე მესამე პირთა ინტერესებს. ხოლო, როცა საქმე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ეხება, ამ უფლებამოსილების უპირობოდ შეწყვეტა შესაძლებელია უფრო მეტად აზარალებდეს პირთა ინტერესებს, ვიდრე იცავდეს მათ.³⁷⁵ თუ წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უპირობოდ შეწყდება, მაშინ საინტერესოა როგორ განაწილდება მხარეთა შორის უფლება-მოვალეობები. ფაქტია, რომ ასეთ დროს დადებული გარიგება მერყევად ბათილია, რისი ნამდვილობაც სსკ-ის 111-ე მუხლის მიხედვით დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის მიერ მოწონებაზე. ვინაიდან, სახეზე აღარაა უფლებამოსილების გამცემი სუბიექტი, ცალსახაა, რომ ეს უფლებამოსილება ეკუთვნით მის მემკვიდრეებს, რომელთაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარი განაცხადონ გარიგების მოწონებაზე, რის გამოც წარმოდგენილ პირს

³⁷¹ *Bos*, *The Durable Power of Attorney*, 2 Mich prob & Tr LJ 73 (1983), 74.

³⁷² *Bos*, *The Durable Power of Attorney*, 2 Mich prob & Tr LJ 73 (1983), 75.

³⁷³ *Gausson v Morton* (1830). 10 B & C 731; 109 ER 622.

³⁷⁴ შდრ: *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 51, ველი 30, 301.

³⁷⁵ მაგალითად, ევროპული სახელმწიფოების სამართალი 3:209-ე მუხლის მიხედვით პრინციპალის გარდაცვალების შემთხვევაში, წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს გონივრული ვადით, წარმოდგენილი პირისა და მისი მემკვიდრეების ინტერესთა უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მოქმედებების შესასრულებლად. აღნიშნული ნორმა მოწმობს იმას, რომ გარდაცვალებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტის გამორიცხვა არამხოლოდ მესამე პირთა, არამედ ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი პირისა და მისი მემკვიდრეების ინტერესებსაც შესაძლოა იცავდეს.

დაეკისრება პასუხისმგებლობა სსკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მართალია, ნეგატიური ინტერესის ფარგლებში ზიანის ანაზღაურების სახით, თუმცა ნაკლებად გამართლებულია პასუხისმგებლობა იმ პირისთვის, რომელიც ინფორმირებული არ არის წარმოდგენილი პირის გარდაცვალებაზე. თუმცა, წარმომადგენლობის სამართალი წარმომადგენელს პასუხისმგებლობას ანიჭებს უფლებამოსილების ნაკლის არცოდნის შემთხვევაშიც, რის გამოც ეს არგუმენტი არცთუ ისე მყარად გამოიყურება. ზემოთხსენებული პრობლემა წარმოიშობა იმის გათვალისწინებით, რომ გარიგება ნამდვილი იქნებოდა, წარმოდგენილი პირი კვლავაც ცოცხალი რომ ყოფილიყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, მართალია წარმოდგენილი პირი, როგორც პიროვნება, აღარ არსებობს და მისი უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა შეწყვეტილია, არასწორია იმის თქმა, რომ მის მიერ გამოვლენილ ნებასაც არ უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ძალა.³⁷⁶ პირველ რიგში ამგვარი მითითება არასწორია იმიტომ, რომ წარმოდგენილი პირი ნებას ავლენს თავის სიცოცხლეში და იგი ეხება მხოლოდ უფლებამოსილების მინიჭებას,³⁷⁷ ხოლო იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისი სახელით უნდა დაიდოს, ნებას ავლენს არა წარმოდგენილი, არამედ წარმომადგენელი, რაც შესაძლებელია ასევე გარდაცვალების შემდეგაც განხორციელდეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანულ სამართალში არსებული პოსტმორტალური და ტრანსმორტალური მინდობილობების ცნება. წარმოდგენილს შეუძლია წარმომადგენელს გადასცეს ისეთი მინდობილობა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგაც ძალმოსილი იქნება. ტრანსმორტალურია მინდობილობა, რომელიც წარმომადგენელს ანიჭებს სიკვდილის შემდეგ მოქმედების უფლებამოსილებასაც, ხოლო პოსტმორტალური გარდაცვალების შემდეგ გადაეცემა პირს და სწორედ ამ მომენტიდან ხდება ძალის მქონე.³⁷⁸

ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე იმაზეც, რომ პირის გარდაცვალება არ იწვევს მისი ვალდებულებებისა და უფლებების სრულად შეწყვეტას. მარტივად რომ ვთქვათ, სიკვდილი რიგ შემთხვევებში სამართლებრივად უმნიშვნელოა, სწორედ ამიტომ არსებობს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა, რომლის ძალითაც მემკვიდრეები მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეები ხდებიან³⁷⁹ და ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში ანაცვლებენ მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულების შესრულება ან სამართლებრივი ურთიერთობა მამკვიდრებლის

³⁷⁶ ამასთან დაკავშირებით იხ. *ჯორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 109-ე მუხლი, ველი 6, 622.

³⁷⁷ შრდ. *Seavey*, *Rationale of Agency*, 894. სადაც ავტორი მიუთითებს ლორდ ელენბოროვის სიტყვებზე: „სასაცილოა, რომ მკვდარ კაცს შეეძლოს გარიგების დადება“, თუმცა ამ მოსაზრების წინააღმდეგ წინამდებარე ნაშრომშიც და არაერთ წყაროშიც (მათ შორის გერმანულ სამართალში არსებული ტრანსმორტალური და პოსტმორტალური მინდობილობათა ცნებები) მითითებულია, რომ გარდაცვლილი ადამიანის მიმართ მინდობილობის ნამდვილობის, თუნდაც მცირე ვადით, შენარჩუნებას ბევრად უფრო სასარგებლო ფუნქცია აქვს, როგორც წარმომადგენლის, ისე მესამე პირთა დადვის კონტექსტში, ვიდრე მის ავტომატურად შეწყვეტას.

³⁷⁸ *MiKoBGB/Schubert*, 8. Aufl. 2018, BGB § 168 Rn. 39

³⁷⁹ *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 10, ველი 14, 56-57.

პიროვნებას ისე უკავშირდება, რომ მხოლოდ მისი პირადად მოქმედებაა აუცილებელი.³⁸⁰ აქედან გამომდინარე, მემკვიდრეები უცვლელად იკავებენ მამკვიდრებლის ადგილს ურთიერთობებში, მათ შორის, ისინი ვალდებული არიან პასუხი აგონ მამკვიდრებლის ვალებზე (სსკ-ის 1484-1488-ე მუხლები) თავიანთი წილის პროპორციულად და მიღებული აქტივის ფარგლებში. ამიტომაც, უმჯობესია, სწორედ მემკვიდრეებმა დაიკავონ წარმოდგენილი პირის ადგილი წარმომადგენელი-წარმოდგენილი პირის ურთიერთობაში და სურვილის შემთხვევაში, მათვე შეწყვიტონ მინდობილობა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ემსახურება ინტერესთა სამართლიან განაწილებას, რა პირობებშიც - წარმომადგენელს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ უწევს ნდობის ზიანის ანაზღაურება მესამე პირის წინაშე და თავის მხრივ, მესამე პირიც დაცულია გაცუდებული მოლოდინისგან.

ამგვარად, წარმოდგენილი პირის მიერ უკვე გამოვლენილ ნებაზე მისი გარდაცვალება გავლენას აღარ ახდენს. საკითხავია, გარდაცვალების შემდეგ მინდობილობის გაგრძელებას რა ეფექტი ექნება მემკვიდრეებზე.³⁸¹ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ მემკვიდრეთა ინტერესი სამართლებრივად არ ნიშნავს რაც შეიძლება მეტი ქონებისა და ნაკლები ვალდებულების მიღებას. მემკვიდრეთა ქონებრივი ინტერესები შემოიფარგლება მამკვიდრებლის შეხედულებით განკარგული სამკვიდრო ქონების მიღებით. სამკვიდრო მასა კი თავის მხრივ აქტივებისა და პასივების ერთობლიობაა. სწორედ ამიტომ, მემკვიდრეებისთვის საზიანო არ შეიძლება იყოს გარიგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი შესრულება უფლებრივ სარგებელთან არაა დაკავშირებული. აქ ამოსავალი წერტილი არის ის, მამკვიდრებლის სიცოცხლეში ამგვარი გარიგება იქნებოდა თუ არა ნამდვილი, ე.ი. წარმომადგენლის მოქმედება (გარიგების დადება) განხორციელებულია თუ არა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუ სახეზეა სკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება და წარმომადგენელი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ამტკებს, ეჭვგარეშეა, რომ მოწონების უფლებამოსილება მხოლოდ მემკვიდრეთა ხელშია.³⁸²

ამრიგად, წარმოდგენილის გარდაცვალებით მინდობილობის შეწყვეტა, მართალია, ზოგადად არ ეწინააღმდეგება სამართლის დოგმატიკასა და წარმომადგენლობის პრინციპებს, პრობლემურია მისი ავტომატურად შეწყვეტის საკითხი, რა დროსაც უფლებელყოფილია როგორც წარმომადგენელთა, ისე კეთილსინდისიერ მესამე

³⁸⁰ მაგალითად, წარმომადგენლის გარდაცვალება უპირობოდ იწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტას, რაც ლოგიკურია, ვინაიდან პირი, რომელიც აღჭურვილია გარკვეული უფლებამოსილებით, ფიზიკურად აღარ არსებობს. ამასთან დაკავშირებით იხ. *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34) 12, 35.

³⁸¹ ამასთან დაკავშირებით იხ. *გორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 109-ე მუხლი, ველი 6, 622. ავტორი დავალების ხელშეკრულებასთან მიმართებით სვამს კითხვას იმის შესახებ დავალების ხელშეკრულების გარდაცვალების შემდეგ გაგრძელება რამდენად შეესაბამება მემკვიდრეთა ინტერესებს, თუმცა სამწუხაროა, რომ ხსენებულ ნაშრომში კითხვაზე პასუხი არ არის.

³⁸² შდრ: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 100, ველი 10, 569.

პირთა ინტერესი და, რიგ შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტა წარმოდგენილის ინტერესსაც უგულებელყოფს. ამდენად, ყოველ კონკრეტული შემთხვევა გარემოებების გათვალისწინებით წარმომადგენლობის სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს და გადაწყდეს.

VIII. დასკვნა

წინამდებარე კვლევამ გამოკვეთა წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები და საბაზისო დებულებები, რაზეც მთლიანად წარმომადგენლობის ინსტიტუტი დგას. სწორედ ამ პრინციპების სწორი გაგება და აღქმა შეუწყობს ხელს წარმომადგენლობის სამართალში წარმოშობილ პრობლემათა დოგმატურსამართლებრივად სწორ გადაწყვეტას. შედარებითსამართლებრივმა კვლევის მეთოდმა აჩვენა, რომ მიუხედავად სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში წარმომადგენლობის სამართლის განსხვავებული მოწესრიგებისა, საბოლოოდ ამ ინსტიტუტში წარმოშობილი პრობლემები მაინც ერთნაირია, რის გადაწყვეტასაც სხვადასხვა მართლწესრიგი ფუნქციურად, და არა საგნობრივად, მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტების შემოტანით ახერხებენ. აღნიშნვის ღირსია წარმომადგენლობის სამართლისთვის დამახასიათებელი წარმომადგენლობის სიცხადის/ღიაობის პრინციპი, რომელიც არ მოიპოვება ანგლოამერიკულ სამართალში, თუმცა მის ფუნქციას ასრულებს მესამე პირის უფლება, სარჩელი წარუდგინოს არამხოლოდ აგენტს, არამედ პრინციპალს, სურვილისამებრ.

კვლევამ ცხადყო სამხრივ ურთიერთობაში არსებული მთავარი პრობლემები, კერძოდ, უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის საფუძვლებიც ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაში იძებნება. წარმომადგენელი პასუხს აგებს ნდობის გაცრუებისთვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან უფლებამოსილების ნაკლის შესახებ არაფერი იცის. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია მესამე პირთა დაცვის ფუნქციით, რომელთაც არაფერი იციან და არც შეიძლება იცოდნენ მხარეთა შიდა ურთიერთობით განსაზღვრული უფლებამოსილების არსებობისა და მისი ფარგლების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, წარმომადგენლის ფიგურით, რომელიც მიუხედავად ბრალისა, პასუხისმგებელია იმდენად, რამდენადაც სხვისი სახელით მოქმედება, სხვის ალტერ ეგოდ ყოფნა, ერთგვარ სამართლებრივ რისკს წარმოადგენს. ნაშრომში გამოვლინდა ის პრობლემა, რაც დადგებოდა იმ შემთხვევაში, უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის ნორმები რომ არ არსებობდეს. პრობლემა კი ცალსახაა - მესამე პირი მართლწინააღმდეგობის ელემენტის არარსებობის გამო ვერ მოითხოვდა დელიქტური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით *Falsus procurator*-ის „დასჯას“. თუმცა ალტერნატივად შესაძლოა მას გამოეყენებინა *Culpa in Contrahendo*-ს კონცეპტის მიხედვით ნდობის ზიანის ანაზღაურება, რომლის საფუძვლებიც სკ-ის

316-ე, 317-ე და მე-8 მუხლებში გვხვდება. მიუხედავად ამისა, ხსენებული ნორმებისაგან განსხვავებით, სკ-ის 111-113-ე მუხლები ზუსტად განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის მოცულობასა და ფარგლებს, რაც ემყარება სამხრივ ურთიერთობაში ინტერესთა სამართლიანი გადანაწილების მიზნებს იმდენად, რამდენადაც, ნორმით გათვალისწინებულია ბრალეულად და არაბრალეულად მოქმედი წარმომადგენლის განსხვავებული პასუხისმგებლობის ფარგლები. ეს უკანასკნელი შუალედურ გადაწყვეტას იძლევა მესამე პირთა ნდობასა და არაბრალეულად მოქმედ წარმომადგენლის ინტერესებს შორის, რომელიც პასუხს, ბრალეულად მოქმედი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, შეზღუდულად აგებს. თავის მხრივ, არც წარმომადგენელი რჩება დაუცველი. ბრალეულად უფლებამოსილების გარეშე მოქმედების შემთხვევაში, ბუნებრივია, იგი სამართლებრივ დაცვას არ იმსახურებს, თუმცა თუ მისი არაუფლებამოსილება წარმოდგენილი პირის ბრალითაა განპირობებული, ბუნებრივია, წარმომადგენელს მის წინააღმდეგ შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე რჩება მოთხოვნის უფლებები. ასეთივე მოთხოვნის უფლებებითაა აღჭურვილი წარმოდგენილი პირი, რომელიც ვერ უარყოფს შიდა ურთიერთობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლების გადამეტების გამო გარიგების სამართლებრივ შედეგებს, უფლებამოსილების გარე ურთიერთობაში შეუზღუდაობის გამო, თუმცა მას შეუძლია წარმომადგენელს მოსთხოვოს არასასურველი გარიგების დადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შიდა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის.

ნდობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარდა, კვლევამ ასევე გამოავლინა მესამე პირთა დამცავი მთავარი მექანიზმები: მოწონების ინსტიტუტი, რომელიც მერყევად დადებული გარიგების მიმართ გამოიყენება და მისი გადარჩენის საშუალებას იძლევა, თუმცა ეს ნაკლებად მყარი მექანიზმია იმდენად, რამდენადაც მისი შედეგები მთლიანად წარმოდგენილის ნებაზეა დამოკიდებული და ამ შესაძლებლობით არაკეთილსინდისიერად მოქმედი მესამე პირიც სარგებლობს.³⁸³ სამაგიეროდ ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია აშკარა/კონსტრუქციულ უფლებამოსილებათა კონცეპტი, რომელიც, მიუხედავად უფლებამოსილების არანამდვილობისა ან მისი ფარგლების გადამეტებისა, წარმომადგენლობა პრეზუმირდება იმდენად, რამდენადაც უფლებამოსილების ნამდვილობის ლეგიტიმაცია სწორედ წარმოდგენილის მოქმედებებმა ან უმოქმედობამ შექმნა. იგივე წესი ვრცელდება მინდობილობის შეწყვეტაზე, რომელიც მესამე პირის წინაშე გაცხადების შემთხვევაში, იმავე წესით, კვლავ მესამე პირის წინაშე გაცხადებით, უნდა გაუქმდეს/შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილების გაუქმება სამართლებრივი ძალის არმქონეა გარე პირთათვის და მათთვის ისეთივე შედეგები დგება, როგორც მოქმედი მინდობილობის შემთხვევაში.³⁸⁴ ამ საკითხთან

³⁸³ *მაისურადე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 268.

³⁸⁴ მინდობილობის მოჩვენებითად გაგრძელება მესამე პირთათვის. იხ. *მაისურადე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, 266.

დაკავშირებით მეტად მსგავსი მიდგომებია სრულიად განსხვავებულ მართლწესრიგებში. კვლევამ აჩვენა, რომ აშკარა უფლებამოსილების კონცეპტი თითქმის ყველა სამართლებრივ კულტურას ახასიათებს. იგივე შეიძლება ითქვას გაურკვეველი სამართლებრივი მდგომარეობის მოწონების მეშვეობით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით მინდობილობის ავტომატური შეწყვეტის პრობლემატიკაზე. კვლევამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევაში, გარდაცვალებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტა უფრო მეტად აზარალებს თავად წარმოდგენილისა ან მისი მემკვიდრეების ინტერესებს, ვიდრე პირიქით. ამგვარი წესი ასევე საზიანო შეიძლება იყოს წარმომადგენლისთვისაც. თავისთავად გარდაცვალებით მინდობილობის შეწყვეტა დასაშვებია, თუმცა პრობლემურია მისი ავტომატური შეწყვეტა, რომელიც აღარ იძლევა მისი დროებით გონივრული ვადით გაგრძელების საშუალებას, რის შესაძლებლობასაც არაერთი მართლწესრიგი, მათ შორის, ევროპული რბილი სამართალი და საერთაშორისო მოდელური კანონები იძლევა. თავად საკანონმდებლო ჩანაწერი იმდენად პრობლემას არ ქმნის, რამდენადაც, სასამართლოს მიერ მისი ბრმად გამოყენების შემთხვევები და შემდგომში კვლავ გაზიარების მაღალი ალბათობა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მესამე პირთა, წარმოდგენილისა და წარმომადგენლის ინტერესების შეპირისპირებისა და დაბალანსების მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წარმომადგენლობის სამართლის ძირითადი და ამოსავალი პრინციპები.

წინამდებარე ნაშრომში ასევე ყურადღება დაეთმო პრეზუმფციების როლს მესამე პირთა დაცვის კონტექსტში, რომელმაც აჩვენა, რომ საჯარო რეესტრის მიმართ ნდობა არ ვრცელდება რეგისტრირებული და გამსხვისებელი პირის იდენტურობის ვარაუდზე.³⁸⁵ იგივე წესი მოქმედებს მოძრავი ნივთის მესაკუთრის პრეზუმფციასთან მიმართებითაც. მესამე პირი უფლებამოსილი მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ გაჩენილი ნდობის შესაბამის მოთხოვნებზეა, როგორცაა ნდობის ზიანი. ნაშრომში გაკრიტიკებულია სანოტარო აქტის ნამდვილობის პრეზუმფცია, რომელიც წარმომადგენლობის სამართალში გამოსაყენებელი არაა იმდენად, რამდენადაც იგი გაუმართლებლად ხელყოფდა წარმომადგენლის ინტერესს ყალბი მინდობილობის შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც, იგი ვერ უარყოფდა სამართლებრივ შედეგებს ისეთი ქმედების გამოც კი, რომელთანაც მინიმალური შემხებლობაც კი არ ჰქონია.

კვლევაში ასევე გაანალიზდა სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები, რაც განპირობებულია წარმომადგენლობის ინსტიტუტის მეტ-ნაკლებად არასწორი გაგებით. წარმომადგენლობის სამართლებრივი ფიგურა, მონათესავე ინსტიტუტებთან მსგავსების მიუხედავად, არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ პრინციპებსა და მესამე პირთა დაცვის საშუალებებს ემყარება.

³⁸⁵ *რუსიაშვილი/სირდაძე/გნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, 327.

სწორედ ამიტომ, მისი საკუთრების მინდობასთან ან წარმომადგენლის არაუფლებამოსილი განმკარგავის სამართლებრივ სტატუსთან გაიგივება დოგმატურსამართლებრივად გაუმართლებელ შედეგებს იწვევს.

წინამდებარე ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილდა სამოქალაქო კოდექსის ნორმების ენობრივ ხარვეზებზე, რაც, რიგ შემთხვევებში, ბუნდოვანს და რთულად აღქმადს ხდის ნორმის მიზანს, სამართლებრივ მოწესრიგებას. ნაშრომში შეთავაზებულია მისი შესაძლო სტრუქტურირების ვარიანტები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს წარმომადგენლობის სამართლის დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ფონზე წარმომადგენლობის სამართალში არსებული პრობლემებისა და ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა გადაწყვეტის გონივრულობის შეფასების ერთგვარ ცდას წარმოადგენს, რისთვისაც უმეტესწილად კვლევის შედეგების სამართლებრივი მეთოდია გამოყენებული. წინამდებარე ნაშრომი ასევე ეხმიანება ავტორის მოკრძალებულ სურვილს შეძლებისდაგვარად შეევესო ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ლიტერატურის სიმწირე და გარკვეულწილად სიცარიელე.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

- *ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ.*, ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, თბილისი 2014
- *ერეკანია თ.*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი # 3 (34)
- *ზოიძე ო., ჭეჭელაშვილი ზ.*, კომენტარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი 2004
- *კროპკოლერი ი.* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: დარჯანია თ./ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი 2014
- *კერესელიძე დ.* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009
- *მაისურაძე დ./ დარჯანია./ პაპუაშვილი შ.*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, თბილისი 2017
- *მახარობლიშვილი გ.*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, #2, 2011
- *რუსიაშვილი გ./სირდაძე ლ./ევნატაშვილი დ.*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი 2019
- *რუსიაშვილი გ./ევნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016
- *რუსიაშვილი გ.*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, თბილისი 2015

- *ყანდაშვილი ი.*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან, *ჟურნალი ადვოკატი*, 2011, მარტი # 1
- *ცერცვაძე ლ.*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიის შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, ევროკავშირისა და ქართული სამართლის მაგალითზე), *სადისერტაციო ნაშრომი*, თბილისი 2015
- *ცერცვაძე ლ.*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, და ქართული სამართლის მაგალითზე), *ქართული სამართლის ჟურნალი*, 2013 (1)
- *ცვაიგერტი კ./კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი 2001
- *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011
- *ჭანტურია ლ. (რედ.)* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი 2017
- *ჭანტურია ლ./ახვლედიანი ზ./ზოიძე ბ./ჯორბენაძე ს. (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2001

უცხოური ლიტერატურა:

- *Busch D., Macgregor L., (eds)* The unauthorised agent, perspectives from European and comparative law, Cambridge University Press 2009
- *Beale, Hartkamp, Kötz, (eds), Tallon*, Casebooks on the common Law of Europe, Contract law, Oxford/Portland, Oregon 2002
- *Britt C.R.*, Agency – Apparent authority and Agency by Estoppel: Emerging Theories of Oil Company Liability for Torts of Service Station Operators, 50 N.C.L. Rev. (1972)
- *Bos J.E.*, The Durable Power of Attorney, 2 Mich prob & Tr LJ 73, 1983

- *Cartwright J.*, Protecting Legitimate Expectations and Estoppel in English Law, report to the XVIIth International Congress of Comparative Law, July 2006
- *Dalley P. J.*, A theory of Agency Law, University of Pittsburgh 2011
- *Hall B.*, "Practitioners' Notes: Evidentiary Presumptions" (1998). Journal Articles
- *Kolb J.*, Indiana Power of Attorney Act, 25 Ind. L. Rev. 1992
- *Kessler F.*, Fine, Edith, "Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study" (1964). Faculty Scholarship Series
- *Lando O.*, Salient features of European Contract Law, Copenhagen, 1999
- *Markesinis B.S., Unberath H., Johnston A.*, The german law of contract, A comparative treatise, Second Edition, Oxford/Portland, Oregon 2006
- *Markesinis B.S., Unberath H.*, The German Law of Torts, A comparative treatise, Oxford/Portland 2002
- Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch hrsg. von Franz Jürgen Säcker, Roland Rixecker, Hartmut Oetker, Bettina Limperg, Band 1: Allgemeiner Teil §§ 1-240, AllgPersönlR, ProstG, AGG. 8. Aufl., München, 2018 (303: MüKoBGB/Autor, 8. Aufl, 2018, Rn.)
- *Muller-Freienfels W.*, Legal relations in the Law of Agency, Power of Agency and Commercial Certainty, 13 Am. J. comp. L. (1964)
- *North J.E.*, Presumption Rules Try to Indicate if Fact Can, Should Be Inferred, 53 Neb. L. Rev. (1974)
- *Opoku K.*, Delictual Liability in German Law, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 21, No. 2 (Apr., 1972)
- *Petersen J.*, Das Offenkundigkeitsprinzip bei der Stellvertretung, JURA Heft 3/2010
- Power of attorney, 18 Temp, L.Q. (1944)
- *Procaccia G.*, On the Theory and History of Ratification in the Law of Agency, 4 Tel Aviv U. Stud. L. 9 (1978-1979).

- *Seavey W.A.*, The rationale of agency, the Yale Law Journal, vol 29, No 8, (1920)
- UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, International institute for the Unification of Private Law, Rome 2010
- *Von Bar C., Eric C., Schulte-Nölke H, (eds)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Full version, December 2008 (ციტ: DCFR)
- *Weber Ralf*, Sachenrecht I - bewegliche Sachen, 1. Auflage, Nomos Verlag, Baden-Baden 2005
- *Yablou C.M.*, A theory of presumptions, Law, Probability and Risk 2003 (2)

გადაწყვეტილებები:

ა) ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები

- სუს 2014 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-375-352-2014
- სუს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე საქმეზე # ას-798-763-2014
- სუს 2015 წლის 06 მაისის განჩინება საქმეზე # ას-254-241-2015
- სუს 2013 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1655-1552-2012
- სუს 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე # ას-429-671-08
- სუს 2011 წლის 6 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-369-349-2011
- სუს 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-310-294-2011
- სუს 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-189-182-2013
- სუს 2007 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე # ას-452-843-06
- სუს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე # ას-203-622-06
- სუს 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-595-554-2017

- სუს 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-813-764-2015
- სუს 2002 წლის 9 სექტემბერი გადაწყვეტილება საქმეზე # 3კ-624-02
- სუს 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-189-182-2013
- სუს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012
- სუს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე # ას-194-181-2015
- სუს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-788-745-2015
- 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-398-377-2012
- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/4686-13
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #1/1/543, შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ბ) უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები

- Greer v. Downs Supply Co. [1927] 2 KB 28
- Jennings v. Pitts. Mercantile Co. 414 Psa. 641 (1964)
- Property Advisory Group, Inc. v. Bevona, 718 F. Supp. 209 (S.D.N.Y. 1989)
- E.F. Hutton & Co. v. First Florida Securities, Inc., 654 F. Supp. 1132, 1142 (S.D.N.Y. 1987)
- Songbird Jet Ltd. v. Amax Inc., 581 F. Supp. 912. 919 (S.D.N.Y. 1984)
- Freeman & Lockyer v. Buchkhurst Park Properties (Mangal) Ltd. [1964] 2 QB 480
- Collen v Wright (1875) 8 E. & B. 647.
- Lord Sterndale MR's statement in Koenigsblatt v Sweet ([1923] 2 Ch 314, at 325.

- Boston Deep Sea Fishing and Ice Co Ltd v Farnham (Inspector of Taxes) ([1957] 1 WLR 1051
- Bolton Partners v Lambert (1889) 41 Ch D 295
- Fleming v Bank of New Zealand [1900] AC 577
- Dodge v Hopkins 14 Wis 630 (1861)
- Gausson v Morton (1830). 10 B & C 731; 109 ER 622
- Polhill v Walter (1832) 3 B & Ad 114; 110 ER 43
- RGZ 103, 95, 98
- BGH, NJW, 1998, 302
- BGH NJW 2010, 858

საკანონმდებლო აქტები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
- საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი
- ჟენევის 1983 წლის 17 თებერვლის კონვენცია წარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო ნასყიდობის ურთიერთობებში
- ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL)
- ევროპული კერძო სამართლის მოდელური წესები (DCFR)
- საერთაშორისო კომერციული ხელმეკრულების პრინციპები (უნიდროას პრინციპები) UNIDROIT Principles, 2010
- Restatement of the Law, Second, Agency 3 d (2006)